

ვერსიი მანერაჲ

საქონლად

მედი

საქონლად



მედი მედი ქვეყნისთვის

საქონლად

**გულითად მადლობას მოვახსენებ კოლეგებს  
ბიორკმი ჯოსაქს  
და  
გოლდრკმი ტაგაბაქს**

**ამ წიგნის გამოცემის დაფინანსებისთვის**

**რედაქტორი  
შაღიზან შოსხვერია**

**ტექნიკური რედაქტორი  
არჩილ ლარჩია**



**კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
ილნარ გორალიშვილი  
ნათელა ტალახაძე**

კუქლენი შეღთაშეღლებს

ანას

კლენეს

სანჯრის

ღღღღღღ

წინამდებარე წიგნი ავტორისათვის მეთოთხმეტია. იგი ორი ნაწილისგან შედგება: პირველში ავტორი მკითხველს სთავაზობს ნარკვევებს საზღვარგარეთ კომპაქტურად მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებზე, რაც უურნალ „გზაში“ 2008 წელს თორმეტ ნაწილად რამდენადმე შემოკლებული სახით გამოქვეყნდა, საერთო სათაურით „უცხოეთის ცის ქვეშ“. წიგნი იგივეა, რაც შევსებული და ამრიგად განახლებული „უცხოეთის ცის ქვეშ“.

მეორე ნაწილში („ისევ ჩემი უურნალისტური სამზარეულო“) შევიდა 2003-2008 წლებში უურნალგაზეთებში გამოქვეყნებული წერილები, მათ შორის რამდენიმე ადრე გამოცემულ კრებულიდან, ზოგი - უცვლელად, ზოგიც („ასტეროიდი“, „ნაპოლეონის პირადი მცველი რუსტაში“, „ჩვენ და ბასკები“) - შევსებული.

ამავე ნაწილში შეტანილია რამდენიმე გამოუქვეყნებელი მასალა, რომელთა მზის სინათლეზე გამოტანა რედაქციებმა არ ინებეს ან ვერ შეძლეს, ხოლო ავტორის აზრით ისინი მკითხველისათვის, შესაძლოა, გარკვეულ ინტერესს წარმოადგენდნენ.



**ԼՃԿՈՅՅԵՐՆ  
ՁԵՐԸ  
ԼՃԿՈՅՅԵՐՆ**



# საქართველოს ძეგლი საქართველო\*

Я знаю:  
грядущность - эдемы и рай!  
Но если  
пелось про это  
Должно быть  
Грузию, радостный край,  
Подразумевали поэты.

*Владимир Маяковский*

მე ვიცი უძღერდნენ ედემს და სამოთხეს,  
მაგრამ თუ ლექსავდნენ ოცნებით,  
აღბათ საქართველო ედემად გამოჰყვეს  
მასზე თუ გალობდნენ მგოსნენი.

*თარგმნა ირაკლი აბაშიძემ*

დიდი ილია წერდა:

„ჩვენებური მკვიდრი ყოველგვარ უბედურებას გაუძლეობს.  
ყოველგვარ უბედურებას აიჭანს მარტო იმ ყოველადშემძლეობ-“

---

\* ჟურნალმა „გზამ“ 2008 წელს №16-26 თორმეტ წერილად შესთავაზა მკითხველს საერთო სათაურით „უცხოეთის ცის ქვეშ“, რამდენადმე შემოკლებული სახით.


ლის გრძნობის ძალით. რომელსაჲ სამშობლოს ადგილის და  
ზინის სიყვარულის ეძახიან”

ქართველების ეს თვისება შესანიშნავად შეუმჩნევია ალექ-  
სანდრე დიუმა-მამას, რომელიც XIX საუკუნის 50-იანი წლების  
მინურულის სტუმრობდა საქართველოს. ქართველ ხალხს, აღ-  
ნიშნავდა ის, საქართველოს გარეთ თითქმის ვერსად ნახავთ.

მხოლოდ ისტორიული ზედუკუღმართობას, ძალმომრეობას,  
წხოვრების სიმუხტლეს თუ შექცელო მშობლიური მინა-წყლისა-  
გან ქართველი კაცის მოგლეჯა.

# ნოვოივანოვკა

შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ ჩვენს დედა მდინარე მტკვარს სტაეროპოლიეთში ჰყავს სეხნია, რომლის სანაპიროზე გაშენებულია რაიონული ცენტრი კურსკაია (მდინარის სახელწოდებიდან „კურა“). ამ რაიონში არის ქართული სოფელი ნოვოივანოვკა, რომელსაც არსებობის 96 წელი შეუსრულდა (სურ.



სურ. №1  
ნოვოივანოვკა

№1).

დაღესტნის სოფელ ხასავ იურტაში მცხოვრები ქართველები 1912 წელს გამოჩნდნენ სტაეროპოლიეთის ველებში თავშესაფრის საპოვნელად. დაღესტნელმა პატრონმა მიწები გაყიდა, ხოლო ახალმა ქართველი გლეხები სოფლიდან გამოაძევა.

ამბობენ, კეთილ ადამიანებს ქვეყანაზე რა გამოლევსო. უსახლ-

ქაროები გადამდგარმა პოლკოვნიკმა ვინმე ივანოვმა შეიფარა განსაკუთრებული დამსახურებისთვის მთავრობის მიერ ნაბობები მამული მან ქართველებს უსასყიდლოდ გადასცა და დაფუძნდა აქ პირველი ორი ათეული კომლი.

მადლიერმა ქართველებმა სოფელს ნოვოივანოვკა დაარქვეს. მისი არსებობის შესახებ არაეინ იცოდა.

...მიდიოდა გენიალური შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეები. თბილისში მოვიდა ნოვოივანოვკელი პავლე წამლაიძის წერილი, რომელშიც მორიდებით ითხოვდა მათთანაც გაგვემართა დიდი შოთა რუსთაველის საიუბილეო საღამო, თუ შესაძლებელი იქნებოდა ჩაგვეტანა რუსთაველის ბიუსტი, ქართული წიგნები და გვეჩვენებინა ქართული კინოსურათები.

ყოველივე ამის შესახებ მოგვითხრობდა ძწერალი გივი გოგიჩაიშვილი 1966 წელს გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე (სურ.




სურ. №2

ნოვოივანოვკის ხედი სოფელში მისასვლელიდან. 1974 წ.

№2).

შემდეგ, სოფლისა და მის მცხოვრებთა შესახებ გამოჩნდა სხვათა წერილებიც, რომლებშიაც მოგვითხრობდნენ ნოვოვიანოვკის ისტორიაზე, სოფლის მცხოვრებლებთან შეხვედრებზე, შრომით საქმიანობაზე, ნოვოვიანოვკელი ქართველების სტუმარ-



სურ. №3

ნოვოვიანოვკელ ალექსი გოგიჩაშვილის ეზო-კარშიდამო. 1974 წ.

თმოყვარეობაზე (სურ. №3).

ნოვოვიანოვკაში, ძირითადად, ოთხი გვარი ცხოვრობს, დუშეთისა და ახალგორის მკვიდრნი წამალაიძეები, კობაიძეები, გოგიჩაშვილები, ნაზლაიძეები. შეხვედრით ბაშარულებსაც, სვიანაძეებს, ზაქაიძეებს, ყველაშვილებს, თამარაშვილებს, ხადელაშვილებს, ელოშვილებს, ჯამრიშვილებს, ბუთხუზებს, სეთურიძეებს...

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, სოფელი გაიზარდა, მოღონიერდა, იმატა მოსახლეობამაც; 1976 წლისათვის აქ უკვე

ცხოვრობდა 500-700 ქართველი.

აქაური ქართველები ცხოვრობენ რუსულ ხატებში. ძირითადად მისდევენ მეცხოველეობას, მოჰყავთ ხორბალი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი, გაახარეს ვაზიც. სოფელს აქვს თავისი კლუბი, სამკითხველო, მალაზია. იგი რადიო და ელექტროფიცირებულია.

ზემოხსენებულ 1966 წელს ნოვოივანოვკა ხვდებოდა სტუმრებს. შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით თბილისიდან აქ ჩამოვიდა მეცნიერთა, ლიტერატორთა და კულტურის მუშაკთა ჯგუფი. მასპინძლები სიხარულის ცრემლებს ვერ მალავდნენ. ამაში გასაკვირი არც არაფერია, 1912 წლის შემდეგ ისინი პირველად მასპინძლობდნენ ქართველთა ასეთ მრავალრიცხოვან ჯგუფს. ისმენდნენ მშობლიურ სიტყვას სცენიდან, ეკრანიდან.

ნოვოივანოვკელ თანამემამულეებს საჩუქრად გადაეცათ შოთა რუსთაველის ბიუსტი, „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემები, თანამედროვე მწერალთა 300-ზე მეტი წიგნი, სამკერდე ნიშნები. შოთა რუსთაველის სურათები და ფირზე ჩაწერილი ქართული ხალხური სიმღერები. სტუმრებმა თან ჩაიტანეს დოკუმენტური ფილმები „თბილისი“. „რუსთაველი და მისი დრო“, მხატვრული ფილმი „ბაში აჩუკი“

საბჭოთა წლებში ნოვოივანოვკელები პოლტავსკოეს საბჭოთა მეურნეობაში იყვნენ გაერთიანებული, მანამდე ნოვოივანოვკის კოლმეურნეობა მოწინავედ ითვლებოდა რაიონში. ნოვოივანოვკელი ივანე წამალაიძე ომამდე კურსკაიას რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა. სამამულო ომის დაწყებისთანავე ი. წამალაიძე ფრონტზე წასულა და მამაცთა სიკვდილით დაცემულა ბრძოლის ველზე. მასთან ერთად ორმოცდაათამდე ნოვოივანოვკელი ქართველი დაღუპულა ფრონტზე. მათ ხსოვნას ეძღვნება სამშო საფლავი და ძეგლი.

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ინფორმაციის შემდეგ ნოვოივანოვკელებს სტუმრები საქართველოდან არ მოჰკლებიათ. ყველას ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ აღვნიშნავთ ახალციხის პირვე-



ლი საშუალო სკოლის პედაგოგთა მრავალრიცხოვან დელეგაციას, რომელიც ნოვოივანოვკას ხელდამშვენებულები ესტუმრნენ 1970/71 სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ. დელეგაციას



#### სურ. №4

ქ. ახალციხის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი გ. ივანიძე (მარცხნიდან პირველი)

სკოლის დირექტორი გ. ივანიძე ხელმძღვანელობდა (სურ. №4).

ნოვოივანოვკაზე უურნალ „გზაში“ ნარკვევის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჩემს ბინაში სატელეფონო ზარი გაისმა.

წავიკითხე ნოვოივანოვკაზე, ყველაფერი სწორია. მე ალექსი გოგიჩაშვილის სიძე ვარ ვარდო (რატომღაც ქალის სახელი მქვია!) ხუციშვილი, ქალიშვილის ქმარი.

საიდან, როგორ?

ჩვენ ხუციშვილები ვლადიკავკავში ვცხოვრობთ, გოგიჩაშვილებს იქ ნათესავეები ჰყავთ, მეათეკლასელი სვეტლანა (მეუღლის სახელია) მათთან ჩადიოდა. იქ შეხვდნენ მომავალი მეუღლეები ერთმანეთს. მაშინ ვარდო ერთი საწარმოს მთავარი ინჟინერი იყო (იგი მეუღლეზე ათი წლით უფროსი ყოფილა), შემ-

დეკ კი ღირექტორად დაუწინაურებიან.

ზემოთ, საქართველოდან პირველი დელეგაციის სტუმრობაზე მოგახსენეთ. „ჩატანილი წიგნებიდან რამდენიმე ცალი (მახსოვს, ერთი მათგანი ბათუმელი კაცისა იყო) ჩვენც, უფრო სწორად გოგიჩაშვილის ოჯახს ერგო. ახლა თბილისში გვაქვს, წავიკითხეთ და სათუთად ვინახავთ,“ მითხრა ვარდო ხუციშვილმა.

წარმოებაში წიგნის ჩაშვების წინ გადმოძვეს კურსკაიაში შარშან გაგზავნილი ჩემი წერილის პასუხი. სხვათა შორის, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამ წერილის „მოგზაურობის“ ისტორია: წერილი გაგზავნე 2007 წლის 11 აპრილს ერევნის გავლით (რუსეთის მიერ საქართველოსთან საფოსტო კავშირის შეწყვეტის გამო), წერილი ადგილზე მისულა შარშანვე იენისში, გაზეთის რედაქტორს (ვის სახელზეც იყო გაგზავნილი) მხოლოდ... ერთი წლის შემდეგ გადაუცია (კიდევ კარგი, კალათში არ გადაუძახაო მოსწრებულად შენიშნავს პასუხის ავტორი). ნოვოივანოვკელი ნოდარ სეთურიძისათვის ჟურნალისტისთვის, რომელიც 38 წელია სათავეში უდგას რაიონულ რადიოგადაცემებს, მისმა საპასუხო წერილმა ჩემამდე ერთი თვის შემდეგ ჩამოაღწია...

თქვენმა წერილმა მაგრძობინა 1966 წლის იმ დაუეიწყარი დღეების და ამბების სიო, რასაც მომდევნო წლებშიც იგონებენ ნოვოივანოვკელები, თუმცა მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა დიდ ქართულ მტკვარსა და ჩვენს პატარა მდინარე მტკვარში. მაშინდელი საზეიმო დღეები საკუთარი თვალებით არ მინახავს (სტავროპოლში ვსწავლობდი), მაგრამ მე მინახვს საქართველოდან ჩამოსულ ძვირფას სტუმრებთან უაღრესად თბილი შეხვედრების შთაბეჭდილებების ანარეკლი ჩემი ნოვოივანოვკელი თანამემამულეების მოზრდილებისა თუ ბავშვების ბედნიერ სახეებზე მწერს ბატონი ნოდარი.

ნოვოივანოვკელებს ყველაფერი აინტერესებთ, რაც მათზე იწერება. ამ ზაფხულს ქალბატონი სვეტლანა კურსკაიაში ჩასულა, თან წაუღია ჟურნალ „გზის“ ის ნომერი ნოვოივანოვკელებზე რომ

იყო მოთხრობილი. ჟურნალი, თურმე, ხელიდან ხელში, ბინიდან ბინაში გადადიოდა, სიამაყით ამცნობდნენ ერთმანეთს არ გვივიწყებენ, ვახსოვართ საქართველოშიო. ერთს, გვარად ხადელაშვილს



სურ. №5

ნოვოივანოვკელები დმიტრი ხადელაშვილი (მარცხნივ) და შალიკო ფარსალაშვილი

გორც მაგალითად, ალექსი გოგინაშვილის ერთი ვაჟიშვილი), ვარდოს ოჯახმა თბილისში გააგრძელა ცხოვრება. ზოგი მეზობელ სოფლებში (ტარასოვკა, ბოგდანოვკა და ა.შ.) უკეთეს პირობებში მოეწყო. ნოვოივანოვკაში ოცი-ოცდახუთი კომლი თუ იქნება შემორჩენილი, სოფელს უგზობა ძალიან აწუხებდნენ, მითხრა ბატონმა ვარდომ.

ინფორმაციას ნ. სეთურიძეც ადასტურებს და დამატებით შენიშნავს, საბჭოთა კავშირის დაშლას სოფლის საწარმოო ობიექტების დაშლაც მოჰყვა, ხალხი უმუშევრად დარჩა. ნოვოივანოვკელების ძირითადი მასა რაიონულ ცენტრში კურსკაიაში გადასახლდა, სადაც კომპაქტურად ვცხოვრობთ და კეთილმეზობლური ურთიერთობა გვაქვს სხვა ეროვნების ადამიანებთან, მწერს ბატონი ნოდარი.

ნოვოივანოვკაში ერთი მეტად საინტერესო ტრადიცია დამკვი-

წყენა გამოუთქვამს, მოხსენებული არ ვართ, ნოვოივანოვკაში ჩვენი გვარიც ცხოვრობსო (მეც ეს შენიშვნა ყურად ვიღე, ხადელაშვილიც მივუმატე იქაურებს) (სურ. 5).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცხოვრება გაჭირდა, თავი იჩინეს მიგრაციულმა პროცესებმა, ზოგი კურსკაიაში გადავიდა (რო-

დრებულა: სადაც არ უნდა იყოს იქაური ქართველი, მიცვალებულს, თურმე, ნოვოივანოვკის სასაფლაოზე ასაფლავებს.

ნოვოივანოვკელები აღნიშნავენ წმინდა ლომისობას. სოფელში ახალგაზრდა მეწარმეებმა ვიქტორ ხადელაშვილმა, იური გოგიჩაშვილმა და მათმა მეგობრებმა ააშენეს სამების სამლოცველო.

ნოვოივანოვკელებმა ქართული სალაპარაკო ენა იციან, ქართულად წერა-კითხვა არა, რადგან სკოლაში არ ისწავლებოდა. „მე ქართულად წერა-კითხვა ახალგაზრდობაში ვისწავლე დამოუკიდებლად, ქართული წიგნებისა და გაზეთების დახმარებით, მწერს ნოდარ სეთურიძე, - დედაც მასწავლიდა გრამატიკას და არითმეტიკას. დედაჩემი ახლა 104 წლისაა“.

დიდხანს სიცოცხლე ვუსურვოთ ბატონ ნოდარის ჭარმაგ დედას.

# პლასტუნკა


ქლაქ სოჭიდან 15 კილომეტრით დაცილებულ ამ სოფელს ადრე ქართული სახელი ქოლბანი რქმევია, შემდეგ კი პლასტუნკა შეურქმევიათ (სურ. 6).

სახელწოდება პლასტუნკის წარმოშობის რამდენიმე ვერსია არსებობს და ყველა საჯარისო ნაწილთან ე.წ. პლასტუნებთან არის დაკავშირებული. სხვათა შორის, სოფლის მიმდებარე ადგილებს დღემდე ეძახიან „პერვიაა როტას“, „ეტორაია როტას“, ტურისტულ სქემაზეც გარკვევით მოსჩანს „ტრეტიაია როტა“, „ჩეტვერტაია როტა“.

ქართველები თავიდან სოჭის მიდამოებში დასახლდნენ, სადაც ახლა ულამაზესი კურორტი სოჭია გაშენებული. ეს ადგილები იმ დროს გაუვალი ტყე-ჭაობებით და ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. დროთა განმავლობაში რაჭა-ლენხუმელებმა ისევ მთებს მიაშურეს და მდინარე სოჭელას ნაპირებზე დასახლდნენ. ე.ი. იმ ადგილებში, სადაც ახლა სოფელი პლასტუნკაა. დანარჩენი ქართველები კი უმთავრესად სამეგრელოდან და დასავლეთი საქართველოს სხვა რაიონებიდან გადმოსახლებულნი, თვით სოჭში დასახლდნენ.

პლასტუნკაში ქართველობა 1879 წელს გამოჩენილა. პირველ მოსახლეებად მალხაზ უჩაძეს, პავლე კაპანაძეს, გიორგი ფრუიძეს, ტარიელ სილაგაძეს და მოსე კუპრაშვილს ასახელებენ. 1881 წელს ლენხუმელთა ახალი ჯგუფი შემატებია პლასტუნკელებს.

მდინარე სოჭის (სოჭელას, სოჭისწყლის) ორივე ნაპირზე გაშენებულ ქართველთა სოფელ პლასტუნკაში, რომელიც ხუთ კილომეტრზეა გადაჭიმული, გასული საუკუნის 70-იან წლებში 250-ზე მეტი კომლი ცხოვრობდა. სოფელში იყო ბიბლიოთეკა, აფთიაქი, მაღაზიები, საფერშლო პუნქტი, კულტურის ორასადგილი-



სურ. №6  
სოფელ პლასტუნკის ნაწილი



სურ. №7  
პლასტუნკელთა ახალი ხიდი მდ.  
სოკზე, რომელიც აშენდა 1972  
წელს



სურ. №8  
სკოლის ეზოში. 1974 წ.

ანი სახლი და სკოლა. რომელიც 1972/73 სასწავლო წლიდან რუსულ რვაწლიანად გადაკეთდა. 1974 წლის ზაფხულში ბოლო ქართული გამოშვება ჰქონდა სკოლას. სწორედ იმ წელს მქონდა ბედნიერება საკუთარი თვალით მენახა ქართველთა ეს სოფელი მდინარე სოჭელაზე.

ამდენი დრო გავიდა, მაგრამ პლასტუნკასთან და პლასტუნკელებთან შეხვედრის მაშინდელ „მოთბეჭდილებათა ემოციური მუხტი ჯერაც არ გამწვანებია (ასევე დღემდე შემომრჩა იქვე, სკოლის ეზოში დაკრეფილი თხილით სავსე პატარა ტოპრაკი, რომელიც სკოლაში სამახსოვროდ გადმომცეს).

პლასტუნკელებისადმი ინტერესი საქართველოში მუდამ იგრძნობოდა, მაგრამ განსაკუთრებით გაძლიერდა სამამულო ომის დამთავრების შემდეგ – მიმოწერა, მიმოსვლა (პლასტუნკელი პიონერები თბილისს პირველად 1957 წელს ესტუმრნენ. მასპინძლება მათ დიდებული შეხვედრა მოუწყვეს) სახელმძღვანელოებისა თუ მხატვრული ლიტერატურის გაგზავნა თუ ჩატანა სკოლისა და სოფლის ბიბლიოთეკებისათვის, პუბლიკაციები ჟურნალ-გაზეთებში პლასტუნკისა და პლასტუნკელების შესახებ, ნარკვევები, მოთხრობები მათზე.



სურ. №9

ქენია ცხაკია

არაერთ პლასტუნკელ ქართველს გაუთქვამს სახელი ჩვენს ქვეყანაში თუ ქვეყნის გარეთ. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მცენარეთა ანატომიისა და ზოოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი ქსენია ცხაკია, 1962-79 წლებში საქართველოს სამხედრო კომისარი გენერალ-მაიორი ვახტანგ მურუსიძე, ქ. სოჭის ქართული კულტურის ცენტრის „ივერიის“ გამგეობის თავმჯდომარე ბიზნესმენი და ქველმოქმედი სიმონ უჩაძე, ბიზნეს-



სურ. №10

ვახტანგ მურუსიძე



### სურ. №11

პლასტუნკის ცნობილი ადამიანები  
(მარჯვნიდან მარცხნივ) სიმონ უჩაძე, რადი  
ჯოლოფუა, როზა მუსყერიძე, რაულ  
ჯინჭარაძე

მელთაყ უფასო კვების ჩათვლით პატრონობს პლასტუნკელი ბიზ-  
ნესმენი და საზოგადო მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი  
სიმონ უჩაძე.

...მთავარზე არ გვითქვამს.

1918 წლის ივლისიდან 1919 წლის თებერვლამდე სოჭის  
ოლქს საქართველო აკონტროლებდა, მაგრამ დიდი მცდელობის  
მიუხედავად მისი შენარჩუნება ვერ შესძლო. მოგვიანებით, 1920  
წლის აპრილში ოლქი რუსეთის წითელმა არმიამ დაიკავა. ხოლო  
შემდგომ 1920 წლის მაისში საბჭოთა რუსეთთან გაფორმებული  
სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე სოჭის ოლქი რუსეთს  
გადაეცა.

...ამ დროისათვის პლასტუნკაში ქართველობა ორმოცზე მეტი  
წლის წინათ დასახლებული იყო.

მენი და ქველმოქმედი  
სერგო ჩხეტიანი და  
მრავალი სხვა.

აგრესიული სეპარა-  
ტიზმით გამოწვეულ  
პრობლემებს არც სოჭი-  
პლასტუნკის ქართული  
მოსახლეობა ასცდა.  
სოჭში დაახლოებით 20  
ათასი ლტოლვილია,  
პლასტუნკაში კი გან-  
სახლებულია ლტოლვი-  
ლთა 150 ოჯახი, რო-





სურ.12  
საინგილო

## საინგილო

ქართველთა უკვე რამდენი თაობა ეზიარა დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის უკვდავ მოთხრობას „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, რომელშიაც ასე მიმზიდველად არის გადმოცემული ხალხური თქმულება პატარა ინგილო ქალის შესახებ.

ჩვენმა თანამედროვე პოეტმა გიორგი კალანდაძემ ნათელი მხატვრული ფერებით გადმოგვცა თქმულება ოთხსტროფიან ლექსში, რომლის სათაურია

„საინგილოში“

ის როგორ იყო, მამბე, როგორ?

*ნუ გამიჩინე სულში ჭკადარა!*

*ერეკლე მეფეს ინგილო ვოგომ,*

*თავს რომ ქლიავი გადმოაყარა?*

*მსვავსი თქმულება გახსოვს მრავალი?!*

*მიტომ მოძწყურდა დღეს შენი ნახვა.*

*მიტხარ, იმ ვოგოს შთამომავალი,*

*საინგილოში თუ სახლობს ახლა.*

ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან დღევანდელ საინგილოს ტერიტორია ქართველებითა და ქართველთა მონათესავე ტომებით ჰერებით ყოფილა დასახლებული.

უკვე V საუკუნეში ჰერეთი საქართველოს სახელმწიფო ფარგლებში მოექცა და მისი ერთ-ერთი საერისთავო გახდა. ჰერეთი ჯერ XI საუკუნეში, შემდეგ კი XV საუკუნიდან კახეთის სამეფო საზღვრებშია. XV საუკუნიდან ამ ტერიტორიას (კახეთ-ჰერეთი-სას) მდ. არაგვიდან მდ. გიშისწყლამდე კახეთი ეწოდება (გ. ჩანგაშვილი). მანამდე კი, XII საუკუნის დასაწყისში დიდმა დავით აღმაშენებელმა კახეთის სამეფო კვლავ საქართველოსთან გააერთიანა. XIII საუკუნეში საქართველოში მონგოლები შემოიჭრნენ. 17 წლის მანძილზე რვაჯერ შემოესიენ ქართველთ თემურ-ლენგის ურდოები, რომლებიც ყველაფერს წვაგდნენ და ანგრევდნენ. მოსე ჯანაშვილის ცნობით მონგოლთა სახელები შერჩათ საინგილოს სოფლებს (ალათემური, ემირ-ჯანლო, მულანლო, ფალდარლო, ალიაბათი და სხვ.). მონგოლთა შემოსევებს მოჰყვა შაჰ-აბასის არაერთგზის ლაშქრობები, მან საქართველოს მიწასთან გასწორება მოუწოდოდა.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საინგილო საქართველოს ჩამოაცილეს. საქართველოსთვის აღმოსავლეთ კახეთის დაბრუნება ვერ შეძლო თვით ერეკლე მეფემაც კი. მიუხედავად იმისა, რომ მან სასტიკად დაამარცხა დაღესტნელი ფეოდალების გაერთიანებული ლაშქარი და ჭარ-ბელაქნელი ლეკებიც. საქმეს ვერ უშველა რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წლის 24 ივლისს ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ (ე.წ. „გეორგიევსკის ტრაქტატი“).

საბოლოოდ, ეს საკითხი გადაიჭრა 1803 წლის გაზაფხულზე, როცა რუს-ქართველთა ერთობლივმა ჯარმა (მ. დუმბადის ცნობით, ამ ბრძოლებში 4500 ქართველი და 1482 რუსი ჯარისკაცი მონაწილეობდა) ჭარ-ბელაქნის შემოერთებისათვის ბრძოლა გამარჯვებით დააგვირგინა, ხოლო 1830 წელს მთლიანად გაათავისუფლა საინგილო ლეკთა ბატონობისაგან. იგი ჯერ გაერთიანებული იქნა ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქში, ხოლო შემდეგ (1860 წელს)

ზაქათალის ოლქში, რომელიც აბილისის გუბერნიაში შედიოდა.

როგორც მკვლევარი და ჟურნალისტი ს. კილაძე შენიშნავდა მომდევნო პერიოდში საქართველოს ქონდა ზაქათალის ოლქის დაბრუნების რამდენიმე შესაძლებლობა, რომლებიც ვერ გამოიყენა: ხან აზერბაიჯანთან ურთიერთობის გამწვავებას მოერიდა, ხან კიდევ მასთან დამატებით კონფლიქტს. მართალია, 1920 წლის 7 მაისს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებაში ჩაიწერა, რომ რუსეთი ზაქათალის ოლქს აღიარებდა საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ ბაქოს რეკომის წევრთა საპროტესტო მოთხოვნით შეიქმნა მეორე დოკუმენტიც, რომელშიაც ჩაიწერა, რომ რადგან ეს ტერიტორია სადავოა, საკითხი მოგვარდეს მოლაპარაკებით. აქედან კი არაფერი გამოვიდოდა, რადგან აზერბაიჯანელი მეზობლები სანაცვლოდ ითხოვდნენ ბორჩალოს რაიონს, დღევანდელ გარდაბანსა და მარნეულს.

1921 წლის ნოემბერში საქართველომ ოფიციალურად განაცხადა უარი ზაქათალის ოლქზე (კახი, ზაქათალა, ბელაქანი), მიუ-



სურ.13

ისტორიული კაკლის ხეივანი ლაგოდებ-ნუხის გზაზე

ხედავად იმისა, რომ საკუთრივ აზერბაიჯანული მოსახლეობა იქ არ არსებობდა, ხოლო სახლობდა 35 ათასი ქართველი (სურ. №12).

XIX საუკუნის დასაწყისისთვის ქართველთა უმრავლესობა ირანის, თურქეთის დამპყრობთა და ლეკ მოთარეშეთა ხანგრძლივი ბატონობის შედეგად გამაჰმადიანებული იყო. მათი უმრავლესობა სხვათა დასანახად ლოცულობდა მაჰმადს, ფარულად კი ქრისტიანულ ადათ-წესებს მისდევდა და ქრისტიანობის აღდგენაზე ოცნებობდა.

1849 წელს პერეთიდან ივან-ბაბა ბულუღაშვილის წინამძღოლობით რვა კაცი კახიდან თბილისში ჩამოვიდა და სიონში მოინათლა, ხოლო მომდევნო წელს სიონში მოინათლა კიდევ 72 კაცი, რის შემდეგ სასულიერო ხელისუფლებამ კახში მღვდელი დანიშნა.

საინგილოში ქრისტიანობა აღდგა.

ინგილოთა მონათულამ დიდი რეზონანსი გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში. მათ ნათლიებად იყვნენ ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა, მეფის ძე ოქროპირი, თავადი ანდრონიკაშვილი, გენერალი რეუტი და სხვანი.

1851 წლიდან 1860 წლამდე მთელი საინგილო შეუერთდა საქართველოს ეკლესიას და გაიხსნა სამრევლო სკოლები (სურ. №14).

სახელწოდება „ინგილოს“ სხვადასხვაგვარად ხსნიან. ერთ-ერთი ვარიანტით „ინგილო“ თურქულად ნიშნავს ახალს, ახალ-



სურ.14

ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესიის  
საერთო ხედი გზიდან



სურ.15

ივან ბაბა ბულულაშვილი

მიხეილ ყულომშვილი

მორჯულებულს. სხვა ვარიანტით ყველაზე მართებულად მიაჩნიათ „სახელწოდების დაკავშირება ცნობილ სოფელ ენგიანთან (სა-ენგილო)“.

საინგილოს ქრისტიანი ქართველები, ძირითადად, კახის რაიონის სოფლებში კახი, თოფახი, ალიბეგლო, ქოთოქლო, დიდლათეძური, პატარაალათეძური, მუშაბა, ყორაღანი, ქეშხუთანი, ხარაბთალა, ყიძურუ ცხოვრობენ.

მაჰმადიანი ინგილოები სამივე რაიონში ცხოვრობენ. მათგან სოფლების ალიაბადის, მოსულის (სხვათა შორის, XVIII საუკუნის პირველ ნახევარამდე აქ ჰქონია სამკვიდრო ჭავჭავაძეთა გვარს) ითითაღას ინგილოთა სალაპარაკო ენა ქართულია, მაგამსა და თასმალოში ქართული მხოლოდ ბავშვებმა არ იციან, ხოლო ჰენგიანსა (ენგიანსა) და ჭაფანახჩში მოხუცები დღესაც ქართულად ლაპარაკობენ, მაჰმადიან ინგილოებს ამჟამად გვარიც მაჰმადიანური აქვთ.

1950-60-იან წლებში ზოგმა ინგილომ თავისი ქართული გვარი და ეროვნება „ქართველი“ აღიდგინაო, წერს გ. ჩანგაშვილი.

განსაკუთრებით ბელაქნის რაიონში, ბევრი დღევანდელი ლეკის წინაპარი ქართველი იყო. ისტორიამ შემოგვინახა ცნობა, რომ ყოფილი ვაჩნაძეები დღეს გალაგოევის გვარს ატარებენ, ერისთავები ნასტალგოვის და სხვ. საინგილოში ბევრმა ლეკმა იცის, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ, იციან თავიანთი ქართული გვარებიც.

ცნობილია, რომ ქართულად მოლაპარაკე მაკჰადიანი ინგილოები უფრო სალიტერატურო ქართულით ლაპარაკობენ, ვიდრე ქრისტეანი ინგილოები, რასაც იმით ხსნიან, რომ მუსულმან ინგილოთა სოფლები საქართველოსთან უფრო ახლოს არიან და ქართველებთან მეტი კონტაქტი აქვთ.

საბჭოთა წლებში მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსა და საინგილოს რაიონებს (კახი-ყვარელი), რაც, სამწუხაროდ, დღევანდელ პერიოდში სრულიად დაუმსახურებლად მივიწყებულია. ასევე მინილებულია ინტენსიობა ერთმანეთთან მიმოსვლაში, რაც არანაირი თვალსაზრისით არ არის სასურველი. ამ პროცესის სარგებლიანობის საილუსტრაციოდ გავიხსენებ ერთ მაგალითს:

1960 წელს მახარაძის (დღევანდელი ოზურგეთის) რაიონის წარმომადგენლები პირველად ესტუმრნენ კახის რაიონს. ორი წლის შემდეგ მახარაძელები კვლავ ჩავიდნენ საინგილოში, დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ დამსახურებული ინჟინერი. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი სალუქვაძე და დამსახურებული მასწავლებელი ვანო სალუქვაძე (სურ. №16).

ისტორიული ძეგლების გაცნობა-დათვალიერების შემდეგ სტუმრები ეწვივნენ სკოლებს და საჩუქრებიც გადასცეს ორ საშუალო, ორ რვაწლიან და ორ შეიდწლიან ქართულ სკოლებს.

მარტო ამით არ შემოფარგლულა მახარაძელთა ქველმოქმედება: ერთ-ერთ სკოლაში მათ ნახეს სკოლის სიმღერისა და ქორეოგრაფიული წრეები და გ. სალუქვაძემ წრის ხელმძღვანელს, მასწავლებელ ნანა ჯანაშვილს შეასწავლა სიმღერა „ფარიკაობა“. კოლმეურნეობაში კოლმეურნეებს ასწავლეს ჩაის უკეთ გასხვლის



### სურ.16

#### მარცხნიდან მესამე გიორგი სალუქვაძე

წესები: გ. სალუქვაძემ აღადგინა ძველი ინგილოური ცეკვა „შიპრობა“, შეიტანა იგი რეპერტუარში და წარმოადგინა კიდევ ბავშვთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე (რამდენი წელია ბავშვთა ოლიმპიადა ჩვენთან აღარ ჩატარებულა!).

საინტერესოა, ამ ძირძველი ინგილოური ცეკვის აღდგენის ისტორია. გიორგი სალუქვაძე ერთი კვირით ჩავიდა საინგილოში. გულთბილად მიიღეს, მასთან ერთად დადიოდნენ სოფლებში, სკოლებში, ნახულობდნენ ადგილობრივთა მიერ შესრულებულ ცეკვებს. სამწუხაროდ, ცეკვის ილეთები არაქართული აღმოჩნდა. ბოლოსდაბოლოს, მიაგნეს ქართული ხასიათის სამოთხ ილეთს. მიაგნეს მამაკაცის ძველ ჩოხას, ტანსაცმელი თბილისში შეაკერინეს თეატრალურ სამკერვალოში, ბეწვიანი ქუდები ვლადიკავკაზში შეიძინეს, საცეკვაო ქალამნები ოზურგეთში შეაკერინეს, ცეკვას

„შიპრობა“ (რაც ინგილოურად ცეკვას ნიშნავს) დაერქვა, მუსიკა აკაკი წერეთლის „განთიადის“ ტექსტზე ოვიონ გიორგი საღუქვაძემ დაწერა.

ასე შეიქმნა ცეკვა „შიპრობა“



სურ.17

ე. გომიაშვილი საჩუქრებს გადასცემს სოფელ ალიბეგლოს მშრომელებს

საინგილოში საქართველოს არაერთი უწყება, ორგანიზაცია და კოლექტივი მონაწილეობდა საშეფო საქმიანობაში: თეატრები, მუზეუმები, გამომცემლობები, უმაღლესი სასწავლებლები, სპორტული ორგანიზაციები... (სურ. 17)

საჭიროა აღდგეს ეს კეთილშობილური ტრადიცია...

დასასრულს, ორი მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ.

კახის რაიონის ალიბეგლოს კულტურის სახლოან 1981 წელს, თბილისის, რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტი-



ტუტის კურსდამთავრებულის ანზორ დოლენჯაშვილის თავკაცობით ჯერ დრამატულა წრე ჩამოყალიბდა. რომელიც ოთხ წელიწადში სახალხო თეატრად გადაკეთდა. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ წერდა – მივიდა ანზორ დოლენჯაშვილი და გამოიჩინა „მსახიობები“: გ. შიოშვილი, ვ. ძალუმაშვილი, ბ. შიოშვილი, დ. ბაჩალიაშვილი, შ. ესრაშვილი, ბ. ჭაჭაშვილი, ჰ. ყიყიშვილი, ლ. შიოშვილი...

დაიდგა გიორგი ერისთავის, ალექსანდრე ჩხაიძის, ნოდარ დუმ-



სურ.18

ინგლო სცენისმოყვარეები თბილისში

ბაძის პიესები, ყველა სპექტაკლი დიდად წარმატებული იყო, მაგრამ განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად სპექტაკლს „ალაზხანს აქეთ“, რომელშიაც ხმამაღლა იყო ნათქვამი სიმართლე საინგილოს შესახებ. (სურ. №18).

ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა ანზორ დოლენჯაშვილმა საინ-

გილოში, კახში, რის შედეგადაც, როგორც გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ წერდა – კახის რაიონი, ეს მივიწყებული მხარე, ყველასათვის მოულოდნელად ქართული კულტურის კერად გადაიქცა (სურ. №19).



სურ.19

ანზორ დოღუნჯაშვილი

დიდად სამწუხაროა, რომ თვრამეტ-ცხრამეტწლიანი თავდაუზოგავი შრომა ხელოვნების დამსახ. მოღვაწეს ანზორ დოღუნჯაშვილს ბოლომდე მანც არ დაუფასდა, მოგონილი მიზეზით მცირე ხნით (სულ რაღაც

ორიოდე კვირით) პატიმრობაშიაც მოუხდა ყოფნა, იძულებული გახადეს ცოლთან, ინგილო მანანა გოჯიაშვილთან და შვილებთან ერთად მძიმე ავადმყოფს დაეტოვებინა კახი და თბილისში დაბრუნებულიყო. 2007 წელს გაზეთი სინანულით მიუთითებდა, რომ თეატრალური დასი კახში თითქმის არ არსებობს, დაიკარგა თეატრის აკადემიური სახე და მის სცენაზე უმეტესად პოპმუსიკის კონცერტები იმართება, თურმე.



სურ.20

ილიაობა კახში

უმაღურობის სავალალო მაგალითია, ჭეშმარიტად!

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი საქართველოსათვის საინ-

გილოს დაბრუნებას უკავშირდება.

როგორც 2005 წლის ბილოს გიორგი მამულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე წერდა 1946 წლის დასაწყისში, როდესაც ჩრდ. აზერბაიჯანისთვის (ანუ ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანისთვის) ირანის ე.წ. სამხრეთ აზერბაიჯანის შეერთება სავსებით რეალური ჩანდა, გამოჩნდა შანსი საქართველოს დაბრუნებოდა საინგილო. 1946 წლის ივნისში, როცა აზერბაიჯანისათვის სამხრეთ აზერბაიჯანის შეერთების ალბათობა საბჭოთა ხელმძღვანელებს რეალობაზე მეტად მიაჩნდათ, აზერბაიჯანის ქართული რაიონების საინგილოს წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს ი. სტალინს ამ ტერიტორიის საქართველოს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ.

ერთი ვერსიის მიხედვით, საბჭოთა აზერბაიჯანის მაშინდელი ხელმძღვანელობა, თითქოს, თანახმა იყო საქართველოსთვის საინგილო დაეთმო, თუ კი თვითონ ირანიდან სამხრეთ აზერბაიჯანს მიიღებდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, მოვლენებს ასე განვითარება არ ეწერა.

1946 წლის 11 დეკემბერს, დასავლეთელ მოკავშირეთა მხარდაჭერით, ირანის ჯარები სამხრეთ აზერბაიჯანში შევიდნენ და სასტიკად ჩაახშეს პროსაბჭოური სეპარატისტული მოძრაობა.

ამრიგად, ყველაფერს წერტილი დაესვა.

\* \* \*

ნარკვევს საინგილოზე დავამთავრებთ აქაური მკვიდრის, ლექსების რამდენიმე წიგნის ავტორის პოეტ თამარ პაპიაშვილის ლექსით:



ს.შრ.21

თამარ პაპიაშვილი


ო, საინგილოვ, ვერ მოვსპო ვერვინ,  
არ მოვიხზია მტრების წინ ქელი

და ვითქვამს ბევრი სიმღერა კარგი,

მერამ არასდროს სიძულერა გელის!


# აფნიკლი ანუ უაზტკელ-უჯღკლი ქაზთკლები

1897 წელს ჟურნალ „მოამბის“ მიმოსილვაში სათაურით „ჩვენსა და სხვაგან“ გამოქვეყნდა ცნობა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ აფრიკაში საჰარის უდაბნოს პირას ქალაქ უარგლაში, გამოჩენილი მოგზაურის დოქტორ ელისევეის სიტყვით, ცხოვრო-



სურ.22

სოფ. ბერიუთას მისასვლელი ქ. ალყირის მხრიდან



სურ.23

ბენ ქართველები...

ცნობამ ქართულ საზოგადოებრიობაში, ბუნებრივია, დიდი ინტერესი გამოიწვია. (სურ. №23)

უურნალი ქალაქ უარგლას ლაკონურ დახასიათებასაც თავაზობს მკითხველს:

უწინდელ დროში დიდად სახელოვანი ყოფილა წმინდა ქალაქად წოდებული უარგლა. ახლა კი შესანიშნავს აღარას წარმოადგენს, რადგან უდაბნო სჯაბნის და ნელ-ნელა

თავის ქვიშის ქვეშ მარხავს.

უწინ ქალაქი მდ. იხარხარის სიახლოვეს მდგარა და დიდი ვაჭრობა ჰქონია სუდანთან და სხვა ქვეყნებთან.

მდ. იხარხარს ჰეროდოტეც იხსენიებს თავის ისტორიაში. ახლა იხარხარი გამშრალია და ლამის უდაბნომ წალეკოს თვით ქ. უარგლაც“

ამომშრალი (დროებით) მდინარეები ალყირში ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა. ალყირში თითქმის არ არის მუდმივად მიმდინარე მდინარეები, მაგრამ არის მრავალი უედი (არაბულად მდინარე), რომელთაც ზაფხულობით პატარ-პატარა ნაკადულების სახე აქვთ.

ცნობები აფრიკელ ქართველების შესახებ გამოქვეყნდა იმავე პერიოდის გაზეთ „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელშიაც“, მაგრამ გაცილებით უფრო კონკრეტული და მეტად საინტერესო მონათხრობი იქაურ ქართველთა შესახებ 1939 წელს გამოაქვეყნა გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“ უურნალისტ გრიგოლ კუტუბიძეს ფოთში შეხვედრია ქართველი მეზღვაური სიორიძე,

რომელსაც უამბნია:

ამ რამდენიმე თვის წინათ საბჭოთა სატვირთო გემი მიაღ-  
გა ჩრდილოეთ აფრიკის ნავსადგურს (მოგვიანებით ჟურნალისტ  
მ. მამულაშვილთან საუბარში მეზღვაურ სიორიძეს დაუზუსტებია,  
რომ ეს ნავსადგური ალჟირი იყო, - გ.მ.) გემზე ორი ქართველი  
მეზღვაური ვიყავით. ძალზე გვანტერესებდა აქაური შავკანიანი  
მოსახლეობის ყოფა. ამიტომ გემის კაპიტანს ვთხოვე, რამდენიმე  
საათით ქალაქში გასეირნების უფლება მოეცა. ნავსადგურში ჩვენი  
ყურადღება მიიპყრო მტვირთავი მუშების არაადამიანურმა შრო-  
მამ. ფრანგი ზედამხედველი, რომელსაც რეზინის მათრახი ეჭირა,  
ხან ერთს გადაუჭერდა ზურგში, ხან მეორეს. ვეებერთელა ყუთე-  
ბის სიძიძით წელში გაწყვეტილი შავკანიანები, რომელთაც წამ-  
დაუწუმ ხვდებოდათ კოლონიზატორის მათრახი, თავიანთ აღშფო-  
თებას მხოლოდ კბილთა ღრჭენით თუ გამოხატავდნენ. ჩემმა თა-  
ნამემამულემ ვეღარ გაუძლო ამ საშინელ სურათს და ქართულად  
მომაცხა: დიპლომატიური სკანდალის რომ არ მეშინოდეს, ამ  
არამზადა ფრანგს ცხვირ-პირს ამოვემტკვრედიო.

უცებ მოხდა წარმოუდგენელი რამ: ერთ-ერთმა შავკანიანმა,  
რომელიც ჩვენთან ყველაზე ახლოს იყო, მძიმე ყუთი ძირს დააგ-  
დო, ჯიქურ მოგვეჭრა და აქლოშინებულმა ქართულად მოგვაყა-  
რა: „ბიჭებო, ქართველები ხართ?“

ჩვენთვის უფრო ადვილი დასაჯერებელი იქნებოდა, ეს ზანგი  
რაღაც სასწაულით უცებ რომ გათეთრებულიყო, ვიდრე მისი ქარ-  
თული ლაპარაკი!

რამდენსამე წუთს გაშტერებით შეეცქეროდით შავკანიანს, რო-  
მელსაც სახე უღიმოდა და თეთრი კბილები მოუჩანდა.

ჩვენ კი ქართველები ვართ, მაგრამ შენ, შავკანიანმა საიდან  
იცი ქართული? თითქმის ერთხმად მივაძახეთ ორივემ:

მეც ქართველი ვარ, თქვენისთანა! ხომ ხედავთ, ჩვენს ენაზე  
ლაპარაკი არ დამეინწყებია, აქ ბევრი ქართველი ცხოვრობს, რამ-  
დენიმე სოფელი გვაქვს, ძველი ღროიდან აქ ვსახლობთ. მართლა  
შავკანიანები არ გეგონოთ, კანი აფრიკის მცხუნვარე მზემ გაგვი-


შავა. ენა და ქართველობა თუ აქამდე შევინარჩუნეთ, ეს იმის წყალობით, რომ სხვა ერის კაცებს ჩვენს ქალს ცოლად არ ვატანთ, არც თვითონ ვირთავთ უცხო ტომის შვილებს, - დაასრულა საუბარი შავკანიანმა ქართველმა.

მუშაობას ასე დემონსტრაციულად თავი რომ გაანება, ეს, რა თქმა უნდა, ჭკუაში არ დაუჯდა ფრანგ კოლონიზატორს, მოვარდა, მტვირთავს მათრახი გადაუჭირა.

ჩემი მეგობარი ძლივს შევაკავე.

„ახალგაზრდა კომუნისტის“ ამ ცნობამ მეზღვაურის ნახვის სურვილი აღუძრა გაზეთის თანამშრომელს მ. მამულაშვილს, რომელმაც უკვე მოთხრობილი უცნაური შეხვედრის ახალი ეპიზოდები დააზუსტა.

შავკანიანმა მტვირთავმა რომ ნახა, მისმა ქართველობამ ჩვენში ეჭვი გამოიწვია, გვითხრა: არა გვერათ, რომ ქართველი ვარ? აი, იქ ყუთებს რომ ეზიდებიან, ჩემს გარდა, ათი ქართველი მუშაობს, ყველა ერთი სოფლიდანა ვართ. ქალაქ უჯდასთან (ახ-



ლა მაროკოს საზღვრისპირა ქალაქია, გ.მ.) ქართველების რამდენიმე სოფელია, მოსახლეობის მეტი წილი გუგუნარის გვარს ატარებს, აი ის მაღალი კაცი კი ჭანუყვარია, გუგუნარი და ჭანუყვარი ჩვენს სოფელშიც მთავარი გვარებია. მეტისმეტად ლატაკად ვცხოვრობთ, ჩვენი ბავშვები ჩამოგლეჯილი და ფეხშიშველები დარბიან, ადგილიც ძალზე უნაყოფოა, უღაბნოს ხვატი ჩვე-

ნამდებ აღწევს... (სურ. №24).

- ჭანუყვარი, გუგუნარი! - ეს ხომ ჩვენი ჭანუყვადეების და გუგუნადეების შორეული წინაპრები არიან! შევძახებ გაოგნებულმა...

ხომ არ გაიხსენებთ მათი ქართული სოფლების სახელებს, ან რა იციან თავიანთი წინაპრების შესახებ?

სოფლების სახელების კითხვა ვერ მოვასწარი, ვერც მათი წინაპრების თაობაზე გავიგე რამე, რადგან ფრანგმა ზედამხედველმა, როგორც გითხარით, მალე შეწყვიტა ჩვენი საუბარი.

საიდან და როდის მოვიდნენ ისინი ამ ადგილებში?

ჟურნალი „მოამბე“ ამ საკითხითაც დაინტერესდა.

„დ-რ მოსტოვიჩის აზრით, ქართველების გადასახლება აფრიკაში შეიძლება ორნაირად მომხდარიყო: ეგვიპტელ ფარაონებს ხშირად გამოუღაშქრებიათ მცირე აზიაში და კავკასიასაც ხშირად სწევებიან, ბევრჯერ გაუმარჯვნიათ და ბევრი ტყვეც გაუყვანიათ. გარდა ამისა, ძველ ქართველთ დიდი ვაჭრობა ჰქონდათ აფრიკულ ქალაქებთან და შეიძლება მაშინდელთა შთამომავალნი დარჩენილიყვნენ.“

ბ-ნ განის აზრით, ქართველთა გადასახლება აფრიკაში აგრე დიდი ხნისა არ უნდა იყოს. პლინი (აღბათ, პლინიუსი, - გ.მ.) თავის ბუნებრივ ისტორიაში წერს: ვარონი გვარწმუნებს, რომ იბერნი, სპარსნი და სხვა ხალხნი დასახლდნენ მთელს ესპანეთში და ესპანეთიდან აფრიკაში გადასვლა ხომ ადვილზე უადვილესია.

მაგრამ ეს მხოლოდ ჰიპოთეზააო, - წერს ჟურნალი და იქვე შენიშნავს „სამწუხაროა, რომ დ-მა ელისეევმა უარგულ ქართველებს არ გამოჰკითხა მათი გადასახლების ამბავი, რადგან ამგვარი მნიშვნელოვანი გარემოების ხსოვნა დიდი ხანი რჩება ხალხის ზეპირ თქმულებაში“.

აფრიკელი ქართველების თემა თითქმის ყოველ ჩვენგანს აწუხებდა, - მითხრა ინჟინერმა რევაზ მხეიძემ, რომელიც ალჟირში ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე სამი წელი იმყოფებოდა, მაგრამ სიძნელები ბევრია, უარგლამდე მოგზაურობისთვის სპეციალური პირობებია საჭირო... თვით



აღჭირავების გადმოცემით, სწორედ იმ ადგილებში ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც არც თავიანთი ზნეჩვეულებით, რელიგიით, ენით თითქოს არაფერი საერთო არ აქვთ არაბ მოსახლეობასთან.

დაბოლოს, შევეცადე დამატებითი ცნობების მოპოვებას წინამდებარე ნარკვევში მოხსენიებულ ქალაქებზე უარგლასა და უჯდაზე.

გავეცანი ვასილ სვეტლოვის 1981 წელს გამოცემულ წიგნს „აღჭირვი დღეს“. ავტორი რამდენიმე წელი ცხოვრობდა იქ და ლექტორად მუშაობდა ბუმერდესის ერთ-ერთ ინსტიტუტში.

აღჭირვი ამ დროისთვის ადმინისტრაციულად დაყოფილი ყოფილა 31 ვილაიეთად (ოლქად). მათ შორის არის ოაზისი, რომლის ცენტრია უარგლა.

ვ. სვეტლოვმა მოაწყო ხუთდღიანი მოგზაურობა საპარაში და მოიარა ბუ საადი, ელ-უედი, ტუგურტი, ხასი, მასაუდი, უარგლა. ამ უკანასკნელს წიგნში ცალკე თავი აქვს დათმობილი. აუცილებელი პროფილაქტიკა საპარაში: გამყოლი გვაფრთხილებსო, შორს არ წავიდეთ, რადგან, თურმე ოაზისის მკვიდრი მცხოვრებლებიც იღუპებოდნენ, როცა უდაბნოში ორიენტირს კარგავდნენ.

1868 წელს ბისკრაში, ტუგურტში, უარგლაში დაფუძნებულა ქრისტიანული მისიები, ამასთან, გარდაიხსა და უარგლაში განლაგებულა იბადიტების ანუ ერთ-ერთი რელიგიური სექტის ცენტრები.

უარგლაში მდიდარი მუზეუმი, იქვე გაიგებთ, რომ უარგლასთან ახლოს ქვის ხანის სადგომების ნარჩენებია. უარგლა დღემდე რჩება ქვეყნის სამხრეთის მსხვილ სავაჭრო ცენტრად. იმავდროულად, იგი ამ ადგილების ყველაზე დიდი და საპარის ერთ-ერთი ძველი ქალაქია. 1976 წელს აქ აღჭირვის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, ნიგერიის და ლიბიის არაბთა რესპუბლიკის სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრაც კი ჩატარებულა.

ქალაქში პატარა ტბა და პალმების მდიდარი ჭაღაა (1981 წლისთვის 600 ათას პალმას ითვლიდნენ, რომელიც სილამაზის გარდა საკვებიც არის მისი ნაყოფი ფინიკი ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საჭმელია).

უარგლის გარეუბანში თეთრი ერთსართულიანი სახლებია ბრტყელი სახურავებით, რაც მზისა და ქარისგან დამცავ საშუალებას წარმოადგენს.

უარგლა მდებარეობს მიწისქვეშა მდინარე მიას დინების გასწვრივ, რომელსაც ფართო კალაპოტი აქვს. მასში წყალი, ადგილობრივთა მტკიცებით, მხოლოდ ზამთრობით არის, თუმცა კი ასიოდე შენაკადი ერთვის.

„საპარის ყვავილი“ ყველაზე უკეთესი სუვენირი ყოფილა დიდი უღაბნოდან.

საპარის უღაბნოში, რომელსაც ალჟირის ტერიტორიის დაახლოებით 80% უჭირავს, პაპანაქება სიცხე წელიწადში ხუთი თვე გრძელდება, განსაკუთრებით გვალვა ივლისიდან სექტემბრამდე, უფრო მეტად ივლის-აგვისტოში.


საერთოდ, ალჟირში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვითარდა შავი და ფერადი მეტალურგია, სამთამადნო მრეწველობა, ნავთობის და გაზის მოპოვება, სამშენებლო ინდუსტრია, ნავთობქიმიური კომპლექსების მშენებლობა, მანქანათმშენებლობა, ნავსადგურების რეკონსტრუქცია. ადრინდელია რკინიგზა ბისკრადან ტუგურტამდე, რომელიც 1914 წლის მაისში გაუხსნიათ.

დასასრულს, კიდევ ერთ დეტალზე, რაც კავშირშია უარგლასთან, ალჟირის ნაციონალური სახალხო არმიის უნტერ-ოფიცრების კადრების მომზადება ხდება მთელ რიგ სპეციალურ სკოლებში, მათგან მახარისტების (ანუ აქლემების კავალერია) მომზადება მიმდინარეობს უარგლაში.

შედარებით ნაკლებია ცნობები უჯდასთან დაკავშირებით, ვიცით მხოლოდ ის, რომ მაროკოს შვიდი უნივერსიტეტიდან ერთი სწორედ ამ ქალაქში ფუნქციონირებს.

# ფერეიდანი

მაჰმადიანური სპარსეთის უღმობელმა და ვერაგმა გამგებელმა შაკ-აბას პირველმა არაერთი ლაშქრობა მოაწყო საქართველოზე. ერთ-ერთი შემოსევის დროს, XVII საუკუნის დასაწყისში მარტო კახეთიდან (უმთაურესად, გარეკახეთიდან) აჰყარა და ირანის სხვადასხვა რაიონში გაასახლა 130 ათასზე მეტი ქართველი. ირანის და კერძოდ, დღევანდელი ფერეიდანის ახალგაზრდა



სურ.25

ირანში გასახლებული ქართველების განსახლების ადგილების რუკა

მკვლევარი ზ. შარაშენიძე შენიშნავდა, რომ „ელემენტ „გურჯის“ შემცველი ბევრი სოფლის სახელწოდებაა ირანის სხვადასხვა რეგიონში - ირანის აზერბაიჯანში, ქურთისტანში, ლურისტანში, ხუბისტანში, ფარსში. ისიც დასტურდება, რომ ამ რაიონების უმეტეს ნაწილში ოდესღაც ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა.

მხოლოდ ფერეიდანის ქართულმა დასახლებამ შეინარჩუნა მშობლიური ენა და ტრადიციები. (სურ. 25)

პირველი ცნობები ფერეიდნელ ქართველთა შესახებ დონ ჯუ-ზეჟე ჯუდიჩე მილანელის მიერ 1640 წელს რომში გაგზავნილ რელაციკშია მოყვანილი. „დაახლოებით 30 წელი იქნება, რაც სპარსთა ხელმწიფემ შაჰ-აბასმა განსაკუთრებით გაანადგურა ქართლ-კახეთი, მან მთელი კახეთის მკვიდრნი აჰყარა და სპარსეთის პროვინცია ფერაბადში გადაასახლა“.

სერ ოსტინ ჰენრი ლეიარდი, რომელმაც ფერეიდანის ტერიტორიაზე 1840 წელს გაიარა, წერდა: „ჩვენ ახლა შევედით ფერეიდანის ანუ ფერეიდუნის მხარეში, რომლის უდიდესი ნაწილი ბახტიართა დიდ მთავარს მუჰამედ თავი ხანს ეკუთვნის. შევჩერდით მის მთავარ სოფელში... აქ ცხოვრობდა ჯერ კიდევ შაჰ-აბასის მიერ შექმნილი ქართველთა კოლონია. აქაურმა ქრისტიანებმა მშობლიური ენა და რელიგია შეინარჩუნეს. ეს იყო შრომისმოყვარე ხალხი, და ხეხილის ბაღებით გარშემორტყმულ მათ სოფლებს აყვავებული სახე ჰქონდა. ქრისტიანთა ცნობა მაშინვე შეიძლებოდა, რადგან მათი ნაკეთები განსხვავდებოდა მეზობელი მოსახლეობისაგან. ქალები უჩადროდ დადიოდნენ და ბევრი მათგანი საოცრად ლამაზი იყო (უნებლიეთ მომაგონდა მე-19 საუკუნის ცნობილი გერმანელი ხელოვნებათმცოდნის ვინკელმანის სიტყვები: „ახლაც ზომ არსებობს ზოგიერთი ხალხი, რომლებთანაც სილამაზე უპირატესობად არ მიიჩნევა... მოგზაურები ამას ერთსულოვნად ამბობენ ქართველებზე“, - გ.მ.).

XX საუკუნემდე, უფრო ზუსტად, XIX საუკუნის დასასრულამდე ჩვენში, საქართველოში, შეიძლება ითქვას, ზერეულედ იცოდნენ ფერეიდნელ ქართველთა ბედის, მათი ყოფის შესახებ.

ფერეიდნელ ქართველთა გაცნობას ხელი შეუწყო იმ გარემოებათ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში სტუმრად ჩამოდიოდნენ იქაურები იოთამა ონიკაშვილი, ყოლამ რეზა ხუციშვილი და ყოლამ ჰოსეინ ონიკაშვილი, მოჰამედ მაყაშვილი და მისი სიძე ნასრულა, სეიფოლა ხან იოსელიანი, რომელმაც საქართველოში რამდენიმე თვე დაჰყო.

პირველი ფერეიდნელი ქართველი ვინც საქართველოში ჩამოვიდა იყო იოთამა ონიკაშვილი - „ქართულ ენაზე წმიდად მოსაუბრე“ ფერეიდნელი. იგი თბილისში გამოჩნდა 1871 წელს ანუ ირანში ქართველთა იძულებით გადასახლებიდან ორნახევარი საუკუნის შემდეგ. სწორედ ამ წელს გაჩნდა იმდროინდელ ქართულ პრესაში პირველი წერილობითი ცნობები ფერეიდნელ ქართველთა შესახებ (გაზეთი „დროება“). საქართველოში იოთამა ონიკაშვილის ჩამოსვლას მიუძღვნა საუკეთესო ბროშურა მკვლევარმა და საზოგადო მოღვაწემ ზაქარია ჭიჭინაძემ „ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი იოთამ ონიკაშვილი“.

იოთამი ერთი შექმლებული ოჯახის შვილი იყო, მას მშობლებისგან გაეგო თავისი ქართველობა; რომ მათი სამშობლო საქართველოა და რომ იქ ძალად იყვნენ მიყვანილი. ძველებისგან ხშირად ესმოდა: „ეგები ეცადოთ შინისკენ დაბრუნებას, ეცადეთ აქ არ დარჩეთ და საქართველოში დაბრუნდეთო. ნეტა საქართველო გვაჩვენა“ გაიგონებდით მოხუცებულებისაგან.

იოთამი 20 წლის ასაკში ფერეიდანის სოფელ მარტყოფიდან თეირანში გადასულა, საქმის ძებნაში ერთ ინგლისელ ინჟინერს გადაყრია, რომელთანაც მოსამსახურედ დაბდგარა. ინგლისელი აღტაცებული ყოფილა ასეთი ჩინებული კაცი ვიშოვეო, წერაკითხვის მცოდნე (ინჟინერმაც იცოდა სპარსული ენა), გონიერი, ერთგული.

ერთ დღეს ინგლისელმა იოთამას უთხრა რუსეთისკენ მივდივარ და სურვილი თუ გაქვს ბაქომდე ჩემი ხარჯით წაგიყვან, ხოლო შემდეგ იოთამი გზას საქართველოსკენ გააგრძელებდა.

იოთამ ონიკაშვილს საქართველოში ძალიან მოეწონა. მან ქართული ენა, როგორც ვთქვით, შესანიშნავად იცოდა, მაგრამ წერა-კითხვა არა და დაიწყო ანბანის შესწავლა. მცირე დროში ისე დაუფლებია, რომ არა მარტო კითხულობდა ჟურნალ-გაზეთებს, მხატვრულ ლიტერატურას, არამედ დაუწვია ფერეიდნელ ქართველებში შემორჩენილი ქართული ზღაპრების ჩაწერაც. სამსახური მას ჯერ თბილისის სემინარიაში დაუწვია, ხოლო შემდეგ დაახლოებით საგარეჯოს დეპოს მწარმოებელთა ამხანაგობის წევრებს და მუშაობაც დეპოში დაუწვია, სახელად ალექსანდრე დაურქმევია, ქართველი ქალი შეურთავს, საგარეჯოში დასახლებულა, საგარეჯოშივე აღსრულებულა და იქვეა დაკრძალული.

წინაპართა სამშობლო მომდევნო ფერეიდნელმა ქართველებმა ყოლამ-რეზა ხუციშვილმა და ყოლამ-ჰოსეინ ონიკაშვილმა მოინახულეს (ა. ჩიქობავას და ვ. თოფურიას განმარტებით „ყოლამი“ ნიშნავს მოსამსახურეს, მსახურს, მონას). ეს მოხდა 1896 წელს. ორივენი თავიანთთებურად ნასწავლი იყვნენ სპარსულ ენაზე, თანამედროვე ქართულის შესწავლა ჩამოსვლის შემდეგ დაიწყეს და რამდენიმე დღეში ქართული კითხვაც ისწავლეს. შოთა ლომსაძეს მოჰყავს ნაწყვეტი მიხეილ თამარაშვილისადმი ზაქარია ჭიჭინაძის წერილიდან: „მათ ქართული ენა (ნაგულისხმევია მეტყველება, - გ.მ.) კარგად შეუნახავთ, ძველი გრამატიკული ფორმებით ლაპარაკობენ და ცრემლით მისტირიან საქართველოს ხსენებასო“. ჩამოსვლისას მათ უთქვამთ, რომ საქართველოში წამოსვლა, ქართველთა მოძებნა და ნახვა პატარაობიდანვე უნდოდათ. „ვიტყოდით ხოლმე, თუ ჩონ სამშობლო საქართველოს ვერ ვიპოვნით, უამისოდ ჩვენი ყოფნა შეუძლებელიაო“

ათი წლის შემდეგ, 1907 წლის იანვრის პირველ რიცხვებში თბილისში ისევ ჩამოსულან. ისინი მოუთავსებიათ ცნობილ საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძესთან. რამდენიმე ხნის შემდეგ ფერეიდნელებისთვის უმასპინძლია მხატვრიაანთ „ჯადოღველს“ ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილს. მის შესახებ საზოგადოება „კახეთის“ გაზეთ „კახეთის“ 1993 წლის ივლისის ნომერში საინტე-

რესო ნარკვევი გამოუქვეყნებია მწერალს აწ გარდაცვლილ დი-  
მიტრი გულისაშვილს. ეს ნარკვევი 2001 წლის ივნისში გადმომ-  
ცა სოფელ გიორგიწმინდის მაშინდელი საკრებულოს თავმჯდო-  
მარის მოადგილემ ქ-ნმა მზია ოქრომჭედლიშვილმა, რისთვისაც



სურ.26

მღვდელი ნიკოლოზ „ჯადო“ ოქრომჭედლიშვილი და ფოფოდა (მისი  
მეუღლე) ეკატერინე ფანოზაშვილი ოჯახით ერეკლე, თამარ,  
ნინო, მარიაში, ქეთევანი, გიორგი.

აქვე არიან ფერეიდნელი ქართველები: ხუციშვილი (მარცხნიდან  
პირველი) და ონიკაშვილი (მარჯვნიდან პირველი). 1910 წ.

მას გულითად მადლობას მოვასხენებ.

როგორც ზემოთ ითქვა, ქველმოქმედმა „ჯადოღვდელმა“ თავისთან  
ისტუმრა ფერეიდნელი ქართველები, შინ მიიყვანა, წელიწადნახევარი  
შენახა, უმკურნალა (ორივენი ჭლექით იყვნენ დაავადებული) და

გამოჯანმრთელებულები გაისტუმრა ფერეიდანში. სამწუსაროდ, როგორც ნარკვევის ავტორი შენიშნავს, არაქსზე გადასვლისას რუსმა მესაზღვრებმა ონიკაშვილი მოკლეს. (სურ. №26).

საინტერესოა, მღვდელ ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილთან დაკავშირებული ისტორია.

მისი წინაპრები ხატებს წერდნენ და ამიტომაც მათ შთამომავლებს თურმე, დღესაც „მხატვრიანთს“ ეძახიან.

რაც შეეხება „ჯადოღვდელის“ მეტსახელს, უცნაური სამელნე გამოგონებია ორიგინალური მექანიზმით. ერთხელ ამ სამელნესათვის ყურადღება მიუქცევია ქაშვეთის ეკლესიის წინამძღვარს (აქვე, ქაშვეთში ავრძელებდა ღმრთისმსახურებას ცოლის შეურაცხყოფის სამაგიეროდ დიკნისთვის წვერების დაგლეჯის გამო დეკანოზად ჩამოქვეითებული ანრისხატ-მთაწმინდის ეკლესიების წინამძღვარი მღვდელი ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი) კალისტრატე ცინცაძეს:

რას არ მოიგონებ, ნამღვილი ჯადო ხელი გაქვს, უბრალო სასმელი წყალი „უკვდავების წყლად“ აქციე, მომაკვდავებს სიცოცხლეს უბრუნებ, ახლა ეს ჯადოსნური მექანიზმი გამოგიგონებია.

მას მერე ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილს „ჯადოღვდელი“ შეარქვეს და სახელით და გვარით აღარავინ იხსენიებდაო.

რაც შეეხება მის უნარს სხვადასხვა დაავადებისაგან ავადმყოფების განკურნებისა, შემდეგს მოგვითხრობენ:

ეს ყველაფერი ნიკოლოზს პეტერბურგელი პროფესორის ს. სმირნოვისაგან შეუსწავლია, რომელსაც თავის მხრივ ეს მეთოდი (ელექტროჰომეოპათია) იტალიაში, ქალაქ ბოლონიაში იქაური ექიმ-ფარმაცევტის გრაფ მატეისაგან აუთვისებია.

ელექტროჰომეოპათიის გამოყენებით „ჯადოღვდელი“ ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი მკურნალობდა ჭლექს, ათამანგს, კანის დაავადებებს და ხშირადაც დადებით შედეგებს აღწევდა.

ნარკვევის ავტორი ასე აღწერს მკურნალობის ამ მეთოდს: ელექტროჰომეოპათიური ფეტვის მარცვლისტოლა ტკბილ მარცვალს ერთ ჭიქა წყალში ჩააგდებდა, იქედან ერთ ჩაის კოვზს მორე ჭიქაში გადასხამდა, იქედან კიდევ მესამეში და ყოველ



წუთში თითო კოვზს ან ყლუპს ასძევა ავადმყოფს ჰომეოპათია ხომ მკურნალობის მეთოდია, რაც წამლების ძალიან მცირე დოზებით ხმარებას გულისხმობს. არ მახსოვს მის წამალს არ გაეჭრასო.

ეს ფოტო (სურ. №26) თბილისელი ფოტოგრაფის კოზაკის გადაღებულია, რომელიც ნარკვევის ფერეიდნელი ქართველები-სათვის ჩამოურიგებია. ერთი ცალი საგარეჯოში ადრე ჩამოსახლებულ მამუკა ონიკაშვილისთვის გადაუცია. შესაძლოა, ეს მამუკა ონიკაშვილი იმ იოთამის (ალექსანდრეს) მეძკვიდრე იყოს, რომლის შესახებ წერილის დასაწყისში მოგახსენეთ.

1900-1902 წლებში თბილისში ჩამოვიდნენ მოჰამედ მაყაშვილი და მისი სიძე ნასრულა. თბილისიდან დაბრუნების შემდეგ ნასრულას თეირანში გაუცვინია ერთი ქართველი მოჭიდავე, რომელსაც მეტად გაუთქვამს სახელი და ფულიც ბევრი უშოვია. შემდეგ მათ შირაზში წასვლა გადაუწყვეტიათ. მაგრამ, სამწუხაროდ, გზაში ორივე ყაჩაღებს დაუხრცავთ (ა. ჭელიძე).



სურ.27

სეიფოლა ხან იოსელიანი და მისი ოჯახი.

ქართული საზოგადოებების განსაკუთრებით საყოველთაო ინტერესი გამოუწვევია ფერეიდანში გაელენიანი პირის სეიფოლა ხან იოსელიანის ჩამოსვლას. მან საქართველოში 1922 წლიდან მომდევნო წლის ზაფხულამდე დაჰყო, ჯერ იგი თავისი ძველი მეგობრის, ერთ დროს ირანში ქართული

ესკადრონის მეთაურის შტაბს კაპიტანის პავლე ლორთქიფანიძის ბინაში ცხოვრობდა თენახვევარს (ირანში ყოფნისას პავლე ლორთქიფანიძე სეიფოლა ხან იოსელიანის სტუმარი იყო), რის შემდეგ სხვა ბინა მიუჩინეს.

სეიფოლას სპარსული განათლება ჰქონდა მიღებული, ქართული ენის მშვენიერი მცოდნე იყო (სურ. №27).

სეიფოლა იოსელიანი ზემო მარტყოფიდან (ახორე ბალა) იყო, რომელსაც ჩვენს დროში ქალაქის სტატუსი მიეცა და ფერეიდუნ-შაჰრი ეწოდა.

ხელოვნების სახლში მოეწყო ს. იოსელიანთან გამოთხოვება, რასაც დიდძალი ხალხი დასწრებია. დიდი პატრიოტული გრძობებით აღსავსე სიტყვა წარმოუთქვამს ჩვენს სასიქადულო პოეტს ი. გრიშაშვილს.

ს. იოსელიანთან დაკავშირებით კიდევ ერთი უნიკალური ცნობა გაზეთ „სრულიად საიდუმლოდან“:

მეორე მსოფლიო ომის წლებში თეირანში გამართული დიდი სამეულის ფ. რუზველტის, ი. სტალინის და უ. ჩერჩილის კონფერენციის დღეებში საბჭოთა საელჩოში რამდენჯერმე მისულა სეიფოლა ხან იოსელიანი, შეხვედრია სტალინს და მიუმართავს თხოვნით, საქართველოში ფერეიდნელთა დაბრუნებაზე. სტალინს ყურადღებით მოუსმენია მისთვის და უპასუხია, ამ საკითხს მოგვიანებით დაუბრუნდები, ახლა ამის დრო არ არისო.

„კარგა ხანია ტრიალებდა ხმა ჩვენს საზოგადოებაში, რომ ვითომ სადღაც, იქ, შორს სპარსეთის სამფლობელოში არის ქართველთა მოსახლეობა, ხოლო რა მოსდგამთ მათ ქართველისა და რის მიზეზით შეიძლება იწოდებოდნენ იგინი დღემდე ქართველებად,

ამისი საზოგადოებამ სინამდვილით არა იცოდა რა. საჭირო იყო მათი ადგილობრივი ნახვა, ადგილობრივი შემოწმება ყოველივე ამ ხმებისა, რომ ქართველობას ჰქონოდა ხელთ მათ შესახებ ნამდვილი უტყუარი ცნობები და მისდა გვარად შეძლებოდა შესაბამისი მოქმედება. აი, ამ მიზნით განვიზრახე მე იქ წასვლა და დაყავი სრული ერთი წელიწადი“ წერს ცნობილი საზოგადო მოღვაწე



სურ.28  
ლადო აღნიაშვილი

და ლოტბარი ლადო აღნიაშვილი, პირველი ქართველი, რომელმაც საფუძვლიანად აღწერა ფერეიდუნელთა ყოფაცხოვრება 1896 წელს, ტფილისში გამოცემულ წიგნში „სპარსეთი და იქაური ქართველები (იგზავრის წერილები)“, ლ. აღნიაშვილი იქ ჩავიდა თავისი ინიციატივითა



სურ.29

შაჰაბაზის შემოჭრა საქართველოში.

ნახ. ფერეიდუნშაჰის მე-7 კლასის მოსწავლის პასანალი რაჰამისა (ონიკაშვილი), საჩუქრად მიართვა სტუმრად მყოფ პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ევანიას



სურ.30

თამარ მეფე


ნახატი ფერეიდუნშაჰრის ბეშიდე  
კლასის მოსწავლის ჰასანალი რაჰიმის  
(ონიკაშვილი) 1998 წ.

100 კილომეტრზე, ხოლო დღევანდელ დედაქალაქ თეირანისაგან 700 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. „ფერეიდანში ჰაერი ძალიან წმინდა და საღი, წყალი მშვენიერიო“, - წერდა ლადო აღნიაშვილი.

ფერეიდანის ქართველებით დასახლებული 12 სოფელი 1979 წელს ორად გაჰყვეს: ფერეიდნის ანუ დარანის შაჰრესთან (ქვეყნ ბერნია, პროვინცია) ქართული სოფლებით ბუნი, მიანდაშთი, აფუსი (რუისპირი), აღჩა, დაშქესანი, შაჰიურდი (ეს პროვინცია უფრო ქვემოთ, ისპაჰანისკენ მიმავალ გზაზე) და ფერეიდუნშაჰრის (ახორე ბალა ანუ

და ხარჯებით (სურ. №28).  
დიდი ამაგი დასდო  
ფერეიდნელთა ცხოვრების  
შესწავლის საქმეს სპარსული  
ლიტერატურის ცნობილმა  
მთარგმნელმა ამბაკო ჭელიძემ,  
რომლის წიგნი „ფერეიდნელი  
ქართველები“ ორჯერ გამოიცა:  
1935 და 1951 წწ. თუკი ლ.  
აღნიაშვილი იყო პირველი  
ქართველი, რომელმაც, საერთოდ,  
ფეხი შედგა ფერეიდნის მიწაზე,  
ა. ჭელიძე ასევე პირველი ქარ-  
თველი გახლდათ საბჭოთა  
საქართველოდან, ვინც ინახულა  
ფერეიდნელი ქართველობა.

ფერეიდანი მალალმთიანი  
აღვილია, 2500 მეტრის  
სიმაღლეზე, ბახთიარის მთებში,  
ირანის უძველეს დედაქალაქ  
ისპაჰანიდან (იგი სატახტო ქა-  
ლაქად გამოაცხადა შაჰ-აბას პირ-  
ველმა 1598 წელს) დაახლოებით



### სურ.31


#### ფერეიდუნშაჰრი (მარტყოფი)

ფოტო მიხეილ როსტომიშვილისა („ომეგა“ №2-03)

ზემო მარტყოფი. ახალი სახელწოდება 1966 წლიდან დაერქვა) შაჰრესთან. ად. საკუთრივ ფერეიდუნშაჰრი (ზემო მარტყოფი), ჩუღურეთი (ჩულურეთი), სიბაქი (ვაშლოვანი), ჯაყჯაყი, ზონგი. მარტყოფსა და მის ზემოთ ხეობაში განლაგებულ სოფლებში სიბაქსა (ვაშლოვანი), ჩუღურეთსა და ჯაყჯაყში ქართული უკეთ არის შენახული.

პროფ. გ. ჭიპაშვილი შენიშნავს, ფერეიდუნშაჰრი ქართველებით დასახლებულ პუნქტებს შორის ყველაზე დიდი და ხალხმრავალია. 1976 წლის აღწერის მიხედვით მისი მოსახლეობა 6100 სულს აჭარბებდა, დღეს 10000 კაცამდე ცხოვრობს, მათი უმრავლესობა ქართველია.

ფერეიდანში გავრცელებული გვარებია ბათუანი, იოსელიანი, სეფიანი, ლაჩინაანი, გოგინაანი, გუგუნაანი, ასლანაანი, ონიკაანი, მიქელაანი, ხეცუცაანი, დავითაანი... პროფ. თ. ცაგარეიშვილს დაუდგენია, რომ საქართველოდან გასახლებული ერთი სოფლის



სურ.32

ფერეიდნის მხარის ქართული სოფელი  
(ი. რურუა „მოგზაურთა და მენავეთათვის“)

ხალხი კელავ ერთად დასახლებულა და ამ ადგილისათვისაც თავისი სოფლის სახელი მიუციათ: მარტყოფელებს მარტყოფი, ნინოწმინდელებს ნინოწმინდა და ა.შ.

აქვე უნდა შევთავაზო მკითხველს მარტყოფიდან დაკავშირებული ერთი, ჩემი აზრით, საინტერესო ისტორია:

საქართველოს ძირძველი სოფელი მარტყოფი ბევრი რამით არის ცნობილი. იმითაც არის სასულგანთქმული, რომ აქაური იყო იბრაჰიმ ბეგი აბრამ (გაბო) შინჯიკაშვილი, რომელიც ლამის მეხრეობისას 1756 წელს მარბიელმა ლეკებმა შეიპყრეს, სტამბოლის მონათა ბაზარზე ერთმა ეგვიპტელმა სოვდაგარმა იყიდა და კაიროში წაიყვანა ტანადი, ჯან-ღონით სავსე 21 წლის აბრამი მამლოქთა ჯარში ჩასარიცხად.

ვაჟაკობისა და მხედართმთავრული ნიჭის წყალობით იგი მალე დაწინაურდა, მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს ატარებდა ეგვიპ-



### №33

#### ქართველი კაცი და ვაზი განუყოფელია

ირ. კანდელაკის დოკუმენტი. ფილმიდან „ქართველები ირანში“ (1944 წ.)

ტის გამგებელი მიხბალალის („უპირველესი ბელადის“) წოდებას. ოცდაერთწლიანი განშორების შემდეგ მამლუქმა წერილი გამოუგზავნა მოხუც დედასა და ოჯახის წევრებს, გაიბა მიმოწერა, იბრაჰიმი ატყობინებდა თავის სისხლსა და ხორცს საკუთარ თავგადასავალს და თავისთან იბარებდა ჩამოდით, მნახეთო. მომდევნო წელს, მართლაც, ეკვიპტეში ეწვივნენ ძმა ბასილა და სიძე გოგია ბერუაშვილი. მიიღო ისინი გულმხურვალედ და ჭეშმარიტად ქართული სტუმართმოყვარეობით. როცა გაიგო, რომ მარტყოფელები ისევ გომურის ეკლესიაში წირავდნენ, იქ დედაჩემი როგორ ივლისო?! თქვა და გამოატანა მათ 200 ოქრო ახალი სალოცავის ასაგებად, რაც განხორციელდა კიდევ (მონათხრობია შოთა ჩაკვეტაძის ნაშრომიდან „სიმღერამ გითხრას“).

XVIII საუკუნეში აგებული, გუმბათოვანი ეკლესიის ნანგრევების გარდა, დღემდე სოფელში შემორჩენილი ყოფილა საგვარეუ-

ლო კომუნიკაციების ნაწილი, მათგან დღესაც დგას და ფუნქციონირებს (სოფლის შესასვლელში) შინჯიკაშვილების სალოცავი ქვაზე სათანადო მემორიალური წარწერით.

ახლა დაუბრუნდეთ მთავარ თემას.

დღესასწაულობენ ყველა მამკადიანურ დღესასწაულს, მაგრამ დღესაც კარგად ახსოვთ, რომ წინათ ქრისტიანება ყოფილან. ფერეიდნელებში შემორჩენილია ჩვევა პურის გამოცხობისას გუნ-



სურ.34

ქართული ჭიდაობის ხიბლი

ირ. კანდელაკის დოკუმენტ. ფილმიდან „ქართველები ირანში“ (1944 წ.)

დებზე გვრის დასმა, კვერცხის წითლად შეღებვა, დღეობები ამაღლება, ვარდისფენობა. 2004 წელს ფერეიდანში საქართველოს პრეზიდენტის მ. სააკაშვილის სტუმრობისას ერთ-ერთმა თანმხლებმა პირმა ჯვარი მოიხსნა და ფერეიდნელ გოგონას აჩუქა, მუცში ჩაუდო ჩუმად. გოგონამ ირაგლივ მიმოიხედა, ხომ არავინ მითვალთვალებსო, მერე ჯვარს აკოცა და გულში ჩაიხუტა.



ბევრი ფერეიდნელის ოჯახში რელიკვიად არის შემონახული ძველი სახარებები, ლოცვათა კრებულები და სატები. და ბოლოს, როცა ერთმანეთს შორდებიან აქ ასე ემშვიდობებიან: – „ღმერთს ებარებოდეთ“

ფერეიდანში, მიწათმოქმედების დარგის ძირითადი სახეობა მეკარტოფილეობაა, ითესება პურეული კულტურები, ბოსტნეული. დღემდე შემონახავთ ხორბლის ძველქართული ჯიში დიკა; მისდევნენ მეცხოველეობას, პროხისა და ცხვრის რძისგან ამზადებენ ყველს. კარაქს, მანონს, ერბოს და სხვა პროდუქტებს. სადღვებელი და კარაქის დღვების ხალხური წესი დღემდე შემორჩენილია, ასევე შემორჩენილია გუთანის, წველის დროს პროხისთვის ქართველი ქალის მიძღვრება „დედო, დედო, დედოჯან“, ჰყავთ ხარი, ძროხა, თხა, ცხვარი, ცხენი, ჯორი (იშვითად), სახედარი (მრავლად)...



სურ.35

ისევ ძველისძველი გუთნით

ირ. კანდელაკის დოკუმენტ. ფილმიდან „ქართველები ირანში“ (1944 წ.)

ფერეიდანში ვენახს, თურმე „ბაღს“ უწოდებენ (ბაღს“ აგრეთვე ხეხილსაც ეძახიან), ყურძნის კრეფას - „მოზაღვას“. მუსულმანები ხომ ღვინოს არ სვამენ, ამიტომაც ყურძენს ყიდიან.

ჩვენი წინაპრების სამეტიყველო ლექსიკური ფონდი მეტად ღარიბი ყოფილა ურთიერთსალანძლავი და საგინებელი სიტყვებით. ფერეიდნელები მტკიცედ მისდევენ ცნებას „არა კაც ჰკლა“.

ფერეიდნელი ქართველები ადგილობრივ მოსახლეობაში არ ათქვეფილან. ამაში რელიეფმაც შეუწყო ხელი, ზამთარში გზები იკეტება და ექვსი თვის განმავლობაში ეს მხარე მთელ ირანს არის მოწყვეტილი. გარდა ამისა, მტკიცედაა დაცული გათხოვება - ცოლის შერთვის წესი, ბოლო დრომდე ფერეიდნელი ქართველი არ ქორწინდებოდა სპარსელ ქალზე, ხოლო ქართველ ქალებს, რომლებიც ცნობილი იყვნენ, საერთოდ, სილამაზით, არ ატანდნენ სხვა ჯურის მამაკაცებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველები, რამდენადაც შეეძლოთ, თავიანთ სოფლებში სპარსელების დასახლებასაც ერიდებოდნენ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ევროპელი მოგზაური ტავერნიე წერდა: „ძალიან ცოტაა ისეთი სპარსელი, დაწყებული მეფიდან მის ყველაზე დაბალ მსახურამდე, რომელსაც არ ჰყავდეს ქართველი დედა ან მამა, ან ქართული სისხლი მაინც არ ჰქონდეს“.

XIX საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი, ინგლისელი ჩარლზ დარვინი ნაშრომში „ადამიანის წარმოშობა და სქესობრივი შერჩევა“ მიუთითებს, რომ სპარსელებს თავიანთი წარჩინებულების სისხლის (მემკვიდრეობის) გასაუმჯობესებლად საქართველოდან მიჰყავდათ (თუ მახვილით მიერეკებოდნენ?! გ.მ.) ულამაზესი ქალები და თუ სპარსელთა შორის ვინმე ხეირიანი აღმოჩნდებოდა, მას უეჭველად დედა ან ბებია ქართველი ჰყავდაო.

ნათქვამის საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითი გამოდგება:

ცნობილი ჟურნალისტი და აღმოსავლეთმცოდნე ნოდარ კოჭლაშვილი 1965 წელს ირანის დედაქალაქ თეირანში საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ძილწევათა გამოფენაზე თანამშ-

რომლად მოხვდა.

გამოფენაზე ირანის შაკი მოჰამედ რეზა ფეჰლევეი მოვიდა მეუღლესთან, ულამაზეს პრინცესა სორეასთან ერთად.

ჩემთან რომ მოვიდა, მოგვითხრობს ბატონი ნოდარი, როგორც ქართველთა წესია, ოდნავ დაეხარე თავი. მან ხელი მომკიდა და გვერდზე გამიყვანა. 20 წუთი ვისაუბრეთ, მითხრა ჩემშიც ქართული სისხლია. ბებიჩემი ახალციხელი აბაშიძე იყო. უცებ პრინცესა დამაკვირდა და ამყად მითხრა - ჩემი ბებიაც ქართველიაო.

დიდია დედის როლი მშობლიური ენის შენახვა-შენარჩუნებაში. ამიტომაც არის, რომ „დედა ენას“ „დედის ენას“ უწოდებენ (14 აპრილს ქართული ენის დღეს ფერეიდანშიც აღნიშნავენ). ქართული ფუნქციონირებს როგორც ოჯახის, ფერეიდნელ ქართველთა შინაური ურთიერთობის ენა. ქართულს გაიგონებ ქუჩაში, დუქნებში, წერს დარეჯან ჩხუბიანიშვილი. ენას, როგორც თვითონ ამბობენ „ჰკანჭურებენ“ - ჩაბლაუჭებული ვართო. ქალბატონ დარეჯანს თავის წერილში ერთი ნიშანდობლივი ეპიზოდი მოაქვს. „ჩემი ყურადღება მიიქცია იმან, რომ ოჯახში უფროსები ერთმანეთს ხშირად გვართ მიმართავენ... „დავითაშვილმა იცის“, „დავითაშვილო მაიტანე“. რატომ ასე მეთქი, ვკითხე. თურანამ (ოჯახის დიასახლისი, - გ.მ.) განმმარტა, სახელი რომ დავუძახო ალი-რეზა უნდა ვთქვაო, ეს კი „ექაური“ სახელია, დავითაშვილი კი „ჩონებურია“.

ფერეიდანში სკოლის დაარსების ისტორია მოკლედ ასეთია:

მარტყოფში ქართული სკოლის დაარსება სეიფოლა ხან იოსელიანმა სცადა, მაგრამ ირანის სასულიერო და საერო ხელისუფლების წინააღმდეგობას წააწყდა. როგორც პროფ. გ. ჭიქაშვილი აღნიშნავს, 1940 წლამდე ზემო მარტყოფში არანაირი არც ქართული და არც სპარსული სკოლა არ იყო. მოგვიანებით სკოლები (დაწყებითი და საშუალო) დაარსდა, მხოლოდ საერო სპარსული. ფერეიდანში თეირანის უნივერსიტეტის ფილიალიც გახსნეს.

ერთ დროს ფერეიდანში ჩატანილი „დედა ენის“ ერთი ეგზემ-

პლარი ხელით გადაწერილი მრავლდებოდა მოსახლეობაში, დღეს თავად ადგენენ „დედა ენას“, გარდა ამისა, სეიდ მულიანის (მული-



სურ. №36

საიდ მულიანი (მულიაშვილი)

აშვილი) მიერ შედგენილ „ქართული ენის სავითმასწავლებელს“ კომპიუტერით აერცვლებენ. ერთი პერიოდი ქართული ენის სწავლების კურსები გახსნილი ჰქონდათ სეიდ მულიანს (ფერეიდუნ-შაჰრში) და ალიფაშა იოსელიანს (ნაჯოხაბადში). ფერეიდუნ ქართველთა ჯგუფმა (რედაქტორ-

გამომშვებნი სეიდ მულიანი და მაჰამად იოსელიანი) 2004 წლის ბოლოს გამოსცა ექსპერიმენტული ხასიათის ჟურნალი „ირანულ ქართველთა პირველი ქართული და სპარსული.

ჟურნალი“, რომელიც ორენოვანია ქართული და სპარსული.

ფერეიდუნები, ძირითადად, ძველქართულით მეტყველებენ: თავიანთ კარ-მიდამოს მამულს ეძახიან, სამუდამოდ განსასვენებელს სამარეს, პაპას წინაპარს, ახალგაზრდობას ყმაწვილებს, ჩონგურს ჩუნგურს, სტვირს სტირს, შოფერს შამწყრომს (წინაპრები ხარს ზომ შემოუწყვებოდნენ), ამბობს უბნობს, ავადმყოფობას დაღონებას, ძროხას ფურს...

\* \* \*

ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად ირანის მთავრობა დათანხმდა ირანიდან საქართველოში ჩამოგვეყვანა ფერეიდუნელ ქართველთა პირველი ჯგუფი. ეს პროცესი დაიწყო 1972 წლის 15 მარტიდან. საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონებში ჩამოსულთათვის (რეპატრიანთათვის) აიგო ორსართულიანი, კომფორტაბელური ბინები, ავეჯით გაწყობილი, საკარმიდამო ნაკვეთებში აიგო

სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, ასევე დაახვედრეს ძროხა ნამატით, 5 ცხვარი, კვარტალში ერთხელ ეძლეოდათ 20-30 ფრთა ფრინველი, ერთდროული დახმარება 500 მანეთი, რაც წლის ბოლოს გაძეორდა. სისტემატურად ეწეოდა დახმარება ფქვილით, ხორცით, შემით, სხვადასხვა სახის ფულადი და მატერიალური დახმარება, ყოველ ოჯახს გამოუყვეს მსუბუქი ავტომანქანა, უზრუნველყოფილ იქნა მათი შრომითი მოწყობა.

პირველმა მშობლიურ მიწაზე ფეხი ჯავად პასანის-ძე ბათუ-აშვილმა დაადგა, იგი სოფ. ჩუმლაყში დააბინავეს.

იმავე წლის მაისში საქართველოში ორი ოჯახი ჩამოვიდა, აგვისტოში კიდევ ორი და ა.შ. სულ 20 ოჯახი 106 სულით. ჩამოსვლისთანავე რეპარტიანტებმა სახელები თანამედროვე ქარ-



სურ. №37

ე. შევარდნაძე თეირანში 1993 წელს

თულ ყაიდაზე გადაიკეთეს.

ადაპტაციის პროცესი თითქოს ნორმალურად მიდიოდა. მაგრამ 1977-78 წლებში სრულიად მოულოდნელად ჩამოსულია ერთმა ნაწილმა ირანში გაბრუნების სურვილი გამოთქვა. „მე საქართველოს ვერ დავემდურები, კარგად ვარ, მაქვს სამსახური, ბინა და მანქანა, შვილები სწავლობენ, რატომ მივდივარ? არ ვიცი თავად“.

როგორც პროფ. თ. ცაგარეიშვილი აღნიშნავს ასეთი იყო ირანში გაბრუნებულთა აზრი. ზოგიერთმა ისიც დაამატა ირანში „გურჯები“ ვართ, აქ საქართველოში „თათრებს“ გვიძახიან.


ქნი თამილა შენიშნავს, რომ მათ სათანადოდ ვერ დააფასეს საქართველოში დამხვედურთა მზრუნველობა, ხელზე დაიხვიეს წერილმანი გაუგებრობანი („ლორის ხორცს არ ჭამთო, ღვინოს არ სვამთო“, თუმცა მამაკაცები აკი შეეჩვივნენ ღვინოს, სასაფილოში ღორის ხორცს არ არჩევდნენ სხვა ხორცისგან), ზოგი ნათესავებთან დამორებას იმიზეზებდა, მაგრამ წამოსვლისას ხომ უყოყმანოდ დატოვეს ძმები, დები, მშობლები, ზოგმა ვინ და ზოგმა ვინ. ჩვენც



სურ. №38

პრეზიდენტ მ. სააკაშვილის შეხვედრა ფერეიდნელ ქართველებთან, არიან და შაჰინ ხოსროშვილებთან, რომლებიც ფეხით ჩამოვიდნენ საქართველოში

დავუშვით შეცდომები. ზოგიერთი რამ ჩვენც ვერ გავითვალისწინეთ. ასე იყო თუ ისე, ცხრა ოჯახი უკან გაბრუნდა. თანდათან მდგომარეობა გამოსწორდა, განწყობილება შეიცვალა



სურ. №39

საქართველოში მცხოვრები ფერეიდნელი ქართველები  
(თ. ცაგარეიშვილის წიგნიდან „ფერეიდნელები საქართველოში“)

და ამჟამად, საქართველოში ფერეიდნიდან ჩამოსული 50 ოჯახი ცხოვრობს. (სურ. 39)

1997 წელს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურულ კავშირის საქართველოს საზოგადოების მიერ გამართულ კონგრესზე ფერეიდნელმა მუხთარ დარჩიაშვილმა განაცხადა:

ჩონ ვგრე ვფიქრობთ, რომ ფერეიდნის ქართველები უნდა ვიყნეთ, როგორც ხიდი ირანსა და საქართველოს შუვა, მეგობრობისა და ურთიერთობისათვის.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 1999 წელს წერდა, რომ ფერეიდანში ადგილობრივ მკვიდრთა ცნობით დაახლოებით

# ლაზეთი

ვახუშტის საისტორიო ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ვკითხულობთ: „ხოლო ბაიბურდისა და ფორჩხის სამხრით, ჭანეთის მთას იქით, არს ჭანეთი, და ან უწოდებენ ლაზსავე. არს ესე შავის ზღვის კიდის წადევნებით, გონიიდან ტრაპიზონის სამზღვრამდე“.

ძველი კოლხეთის ბინადარი ორი მონათესავე ტომიდან ჭანლაზებს მთელი ჭოროხის ხეობა ეჭირათ ტრაპიზონამდე, მახლარმეგრელებს (ეგრისელებს) კი რიონის ხეობა.

ანტიკური ეპოქის მოაზროვნე აგათია სკოლასტიკოსი ასე ახასიათებს ლაზებს: „იმ ტომებს შორის, სხვა სახელმწიფოს რომ ემორჩილებიან, არ მეგულება არც ერთი სახელგანთქმული და დიდებული ტომი, რომელსაც შეეძლოს შეედაროს მას (ე.ი. ლაზებს, გ.მ.), როგორც ბარაქა სიმდიდრით, ისე ქვეშევრდომთა მრავალრიცხოვნობით, როგორც ვრცელი მიწებითა და უხვი მოსავლით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქეიტი...“

ლაზიკის სატახტო ქალაქი არქეოპოლისი (დღევანდელი ნაქალაქევი სენაკის რაიონში) ყოფილა, ხოლო ლაზთა ციხეებს შორის ისტორიულ წყაროებში უპირველესად ქალაქ პეტრას (პეტრას ციხე, დღევანდელი ციხისძირი) იხსენიებენ.

სპარსეთსა და ბიზანტიას შორის პოლიტიკურმა დაპირისპირებამ ლაზიკას დიდი ზიანი მიაყენა, რასაც დაერთო რელიგიური პირველობისათვის ბრძოლაც.

337 წელს იბერიაში ქრისტიანობა აღიარებული იქნა ოფიციალურ რელიგიად, რაც ბიზანტიის არა მარტო რელიგიურ, არამედ პოლიტიკურ გამარჯვებასაც მოასწავებდა იბერიასა და აგრეთვე ლაზიკაშიც.

VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე ლაზეთმა ტერიტორიული მთლიანობა დაკარგა, ორ ნაწილად გაიყო: სამხრეთ-დასავლეთით მოექცნენ დასავლეთის ქართული მოდგმის ტომები, ჭან-ლაზები, ჩრდილო-დასავლეთით ჩრდილოეთის ქართული მოდგმის ტომე-



ბი მეგრელები... ლაზეთის უდიდესი ნაწილი, ტრაპიზონის ჩათვლით, ბიზანტიის მფლობელობაში მოექცა.

XIII საუკუნის დასაწყისშივე თამარ მეფემ გაათავისუფლა ლაზეთი, ცალკე სამეფო ტრაპიზონის სამეფო შექმნა და მეფედ თავისი ახლობელი ნათესავი, საქართველოში გაზრდილი ბერძენი უფლისწული ალექსი კომნენოსი დასვა.

შემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელია გაბატონებული მდგომარეობისათვის ბრძოლა ლაზებსა და ბიზანტიელთა მომხრე ჯგუფებს შორის. ასე გაგრძელდა 1453 წლამდე, ვიდრე საქართველოს დაუძინებელი მტრები ოსმალები კონსტანტინოპოლს აიღებდნენ და ბიზანტიის საკეისროში თურქ-ოსმალთა ბატონობას დაამყარებდნენ. ტრაპიზონის სამეფომ 257 წელი იარსება. 1461 წელს მას დიდი ჯარით მიადგა ძლიერი სულთანი მუკამედ მეორე. ტრაპიზონის უკანასკნელმა მთავარმა დავითმა ვერ გაბედა ძლიერ და მრავალრიცხოვან მტერთან შებრძოლება და უოსრად ჩააბარა ტრაპიზონი. „სანაცკლოდ“ სულთანმა დავითი და მისი რვა შვილი ჩამოახრჩობინა...

ლაზეთი, ამრიგად, XV საუკუნიდან ოსმალთა მფლობელობაში მოექცა...

1964 წელს, თბილისში დაისტამბა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი „ლაზეთი“, რომელიც ლაზეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მთლიანობაში გაშუქების პირველ ცდას და პროფესორ ს. მაკალათიას აზრით, ქართულ საისტორიო მწერლობაში წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ნარკვევში მოცემულია საკმაოდ მდიდარი მასალა ლაზეთსა და თვით ლაზების შესახებ.

ნარკვევის ავტორებს სარწმუნო ლაზებს მ. ვანილიშა და ა. თანდილაგას XVIII საუკუნის მიწურულის ლაზეთისა და ლაზების დასახასიათებლად მოჰყავთ სამი შრომა: ოსმან-ბეის, რომელმაც ლაზეთში 1864 წელს, იმოგზაურა („ლაზისტანი“), ინგლისელი „კონსულის ვ. ჯიფორდ პაღვრევის („ანგარიში ლაზისტანის ნაპირის შესახებ“. 1872 წ.) და საზოგადო მოღვაწის გ. ყაზბეგის მოგზაურობის ანგარიში „სამი თვე თურქეთის

საქართველოში“ (1876 წ.). მან ლაზეთში იმოგზაურა სამხედრო-სტრატეგიული დავალებით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

ლაზეთმა თავისი სახელწოდება მიიღო ლაზებისაგან, რომლებიც ქართული წარმოშობისანი არიან. ლაზეთი ეწოდება შავი ზღვის სანაპიროს ნაწილს, საზღვრებით: ჩრდილოეთით შავი ზღვა, ჩრდილო დასავლეთით და აღმოსავლეთით მდ. ჭოროხი, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდ. სამანსუ. ტერიტორია ფართობით 7000 კვ. კილომეტრი.

მთავარი ქალაქია ტრაპიზონი (წიგნში მითითებულია, რომ ლაზურად მას ეწოდება „ტრამტრა“, ძველად ქართველები კი „ხალდეს“ უწოდებდნენ, გ.მ.), რომელიც გეოგრაფიული თვალსაზრისით ლაზეთის სატახტო ქალაქს წარმოადგენს.

ქალაქის სახელწოდებასთან დაკავშირებით საინტერესო განმარტება აქვს მოცემული ინგლისელ დენის სესილ ჰილზს, რომელმაც მე-20 საუკუნის 60-იან წლებში (1959 და 1962 წლებში) ორჯერ იმოგზაურა ლაზეთში. „ძველი ქალაქი (ტრაპიზონი, - გ.მ.) აშენებულია პლატოს კონუსისებურად წაგრძელებულ ენაზე, რომელიც ციცაბოდ ეშვება ზღვაში. აქედანაა მისი სახელწოდება ტრაპეზუს „სასადილო მაგიდა“ (სამეცნიერო ბიბლ. კრებული „მიმომხილველი“, თბ. 6-9, 1972 წ.). ლაზებს აქვთ თავიანთი ენა (განსაკუთრებული დიალექტი), რომელიც ქართულის მონათესავეა.

თავისი ტიპიურობით ლაზი ქართველს ემსგავსება (სურ. №41).

ლაზები შრომისმოყვარენი არიან და მისდევენ სოფლის მეურნეობას, უმთავრესად მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი, ქერი, თხილი, თამბაქო, თაფლი (ლაზისტანი ძველთაგანვე თაფლის ქვეყანა ყოფილა, სანთლისაგან ლაზებს არაყიც უხდიათ, რაც გურულებსაც გადაუღიათ, - გ.მ.)... კარგი გემთმშენებლებიც არიან (აკი ვახუშტი შენიშნავდა: „კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, ღიდთა და მცირეთა“, გ.მ.), ოსმალეთის ფლოტში მეზღვაურთა სამ მეოთხედს ლაზები შეადგენენ. ლაზები დახელოვნებული არიან აგრეთვე სპილენძისა და თითბრის ჭურჭლის კეთებაში...



სურ. №40

ლაზი ხელოვნების მიერ აგებული სახლი  
ბ. ნატრიაშვილისა.

„კაცი არიან ხელოვანი ხის მუშაკობითა...“  
სოფ. ხანი, ბაღდადის რ-ნი.  
ფოტო ო. ბერეჟიკიძისა

ლაზების ტანთა-  
ცმულობა თითქმის არ  
განსხვავდება აჭა-  
რულ-გურულ ჩაცმუ-  
ლობისაგან დაწყე-  
ბული შარვლით, დამ-  
თავრებული ყაბალა-  
ხით (ოსმან-ბეი).

მთელ ლაზეთში  
ლაზთა რიცხვი, ოსმა-  
ლეთისვე მთავრობის  
სტატისტიკური მონა-  
ცემებით, 1810 წელს  
600 ათასზე მეტი ყო-  
ფილა, აქედან 400  
ათასზე მეტი ლაზი

მთელ ქვეყანაში დაუფანტავთ. მუსლიმანური მოსახლეობის  
უმრავლესობას ლაზები შეადგენენ. ეს შშენიერი ხალხია, ისინი  
არიან კარგი მიწათმოქმედნი და გამოცდილი მეზღვაურები.

არქაბეში უმრავლესობას მეთევზეები შეადგენენ.

ამ უბანში 51 სოფელია 19 551 მცხოვრებით, მათ შორის 18  
115 მუსლიმანია და 1436 ბერძენი. აქაური ე.წ. „ბერძენები“ იგივე  
ლაზები არიან, რომლებსაც ბიზანტიის ბატონობის პერიოდში  
ქრისტიანობა მიუღიათ. არქაბი ამარაგებს თურქეთის ფლოტს  
საუკეთესო მეზღვაურებით (ვ. ჯიფორდ პალგრევი).

ლაზეთს უჭირავს მეტად ვიწრო ზოლი შავი ზღვის სანა-  
პიროზე ქემერის კონცხიდან მაკრიელამდე.

ლაზების ენა მცირედ განსხვავდება მეგრულისაგან (ლაზეთზე  
ზემოთხსენებული ნარკვევის ლაზი ავტორებიც აღნიშნავენ, რომ  
ზუგდიდისა და გალის მეგრულ სიტყვებსა და ლაზურს შორის  
საგულისხმო მსგავსებაა და თითქმის მთლიანად გვესმოდარ მათი  
ენა, - გ.მ.).



სურ. №41

რობენ ფელნი „არგონავტების  
ნაკვალევზე“

რაკობენ ლაზურად, მათი ტანსაცმელი გურულსა და აჭარულს ემსგავსება, ყველანი გამაჰმადიანებული არიან. (სურ. №42)

ხოფას (განსაკუთრებით ორთა-ხოფას) მიდამო ულამაზესი კუთხეა. აქაური მოსახლეობაც სილამაზითა და კოხტა ტანსაცმლით გამოირჩევა.

ზღვისპირა (არის კიდევ მთის მხარე, გ.მ.) ლაზების სილამაზე ადამიანს თვალში ეცემა. ისინი გონებრივი განათლებითა და გარეგნული სიფაქიზით გამოირჩევიან.

აქაური ქალები ლამაზნი, ტანადნი არიან და ჩვეულებრივ ცისფერი თვალები და თეთრი პირისახე აქვთ. ამასთანავე, ლაზი ქალები არაჩვეულებრივი ენერგიით, გულადობით და მტკიცე ხასიათით გამოირჩევიან.

დღეს არსებობს ლაზურის სამი კილო: ხოფური (თითქმის ეტოლება მეგრულს. სხვათა შორის, საქართველოს საპატრიარქოს ტელეკომპანია „ივერიას“ ხელმძღვანელის გიორგი ანდრიძის თაოსნობით დაარსებულ ლაზური რადიოს „კოლხას“ გადაცემები ხოფურ კილოზე მიმდინარეობს. ეს რადიო ლაზური ფოლკლორის პოპულარიზაციას ეწევა საქართველოში, თუმცა მას უცხოეთშიაც ისმენენ), ათინური (ბერძნულის და თურქულის გავლენით დაშორებულია საერთო ძირიდან) და არქაბული (საშუალო ხოფურსა და ათინურს შორის).

ხოფელი ლაზები წმინდა სისხლის ლაზები არიან, ლაპა-

1873 წლის სტატისტიკური ცნობით, ლაზეთის მოსახლეობა შეადგენდა: კომლობრივად 9 265 კომლს, სულადობრივად 55 350 კაცს.

ლაზეთის მოწინავე პირებს ჯერ კიდევ ხსოვებიათ თავიანთი ქვეყნის ისტორიული წარსული. საქართველოსთან, სახელდობრ, მეგრელებთან თავიანთი ენობრივი და ტომობრივი ნათესაობა (გ. ყაზბეგი).

ოსმალნი ძალიან მისდევენ ლაზეთის ნათესაობას, ლაზთა შვილებს ფულითაც კი ყიდულობენ.

ყველა ლაზი სახლობაში ლაზურად ლაპარაკობს, განსაკუთრებით ქალებმა იციან სუფთა



სურ №42

ახალგაზრდა ლაზები  
ნიკო მარის წიგნიდან



სურ. №43

ლაზური მრგვალი მაგიდა.  
ასეთივე მაგიდა ნიკო მარს  
უნახავს კლარჯეთში

ლაზური, წერდა ზ. ჭიჭინაძე.

ლაზურ ანუ ქართულ სახელს თითქმის არც ერთი ლაზი არ ატარებს, გვარებიც გადაკეთებული აქვთ. ასე მაგალითად, ქურდიანი ქურდოლლად, მარგიანი მარგოლლად, მარიამიძე მარიოლლად, პაპასკირი პაპოლლად და ა.შ.

„ლაზეთის“ ავტორების მონაცემებით, ლაზეთის ბეგების საგვარეულონი ყოფილან: ზუმბა-

იასა და მანელიშვილისა მაკრიელასა (XVII საუკუნეებდე ამ სოფელს ნოდედი ერქვა. შქმდეგ ოსმალებმა მაკრი-იალი უწოდეს, ამჟამად კი ქემალ-ფაშად იწოდება. ლაზები დღესაც ნოდედის ეძახიან) და ლიმანში; მურად-ოღლი ანუ მოურავიშვილისა ბუჯალიში, ორთა-ხოფაში, დიმიტრეთსა და სუნდურაში; აქვე სუნდურაშივე ცხოვრობს შალა-ოღლი ანუ შალიკაშვილი; ჟორდანიასი ქისეში, პერნონითსა და არქაბეში; პოტური ანუ პოტურია კაპისარში; ბალთაშვილისა ბელეგსა და ათენას შორის.

საქართველოში გარდა სოფ სარფისა (ერთადერთი სოფელი ჩვენში, რომელიც მხოლოდ ლაზებით არის დასახლებული), ლაზები მოსახლეობენ ბათუმში, გონიოს თემის სოფლებში თხილნარში, მახოსა და სიმონეთში, აფხაზეთში სოხუმში, გუდაუთში, ოჩამჩირესა და გულრიფშის მიდამოებში. სხვა ცნობით, ლაზები აგრეთვე ცხოვრობენ ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში,



ქობულეთში  
სოფლებში  
ახალშენში, ურეხში  
და სხვ.

აკად. ნიკო მარი მიუთითებს, რომ ადგილობრივი ქართული გართობებიდან შემონახულია ვაგუფური ცეკვა გაშიარებით. ლაზურად ამ ცეკვას „ობირუს“ უწოდებენ. პროფ. ს. მაკალათიას მოსაზრებით ლაზური ფერხული „ობირუ“ თითქმის იგივეა, რაც მეგრული „ოხოხია“.

სურ. №44

ცეკვა „ლაზური“

საქართველოს დამახსოვრებული მატყარი  
შ. ხოლუაშვილი (ქ. ბათუმი)

ლაზურად „ვახახაია“ (სურ. №44)

გამოჩენილმა ქართველმა ქორეოგრაფმა, ბათუმელმა ენვერ ხაბაძემ შექმნა „ლაზ მეთევზეთა ცეკვა“ იგი დიდხანს დადიოდა სოფლებში, კარდაკარ და მისხალმისხალ აგროვებდა გადაგვარების პირად მყოფ ლაზური ცეკვის ილეთებს, ფოლკლორულ მასალებს, ნაოსნობა-თევზჭერასთან დაკავშირებულ მასალებს. ასე შექმნა მან ეს გამორჩეული კოლორიტული ცეკვა.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალზე გვსურს მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ: 2003 წლის 20 აგვისტოს სარფში ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ ბათუმსა და სარფში მცხოვრები 120 ლაზი ქრისტიანულად მონათლა. ყველა მათგანი მუსულმანი იყო და გაქრისტიანების სურვილი თავად გამოთქვეს.

\* \* \*

ვაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2005 წლის ერთ-ერთ ნომერში სარედაქციო შენიშვნაში აღნიშნული იყო: დასავლეთში არსებობს მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც ბოლო დროს დიდ ინტერესს იჩენს ლაზების მიმართ. ეს ჯგუფი ცდილობს ამოაგდოს ლაზები კოლხური არეალიდან და ლათინურზე დაყრდნობით „ახალი“ სალიტერატურო ენა შეუქმნას მათ.

ქ-ნი ია ბაგრატიონ-მუხრანელი განმარტავდა, რომ უცხოეთში საქმიანობენ მეცნიერთა ჯგუფები, რომლებიც იწვევენ ქართველებისადმი მეგრულად განწყობილ „მოღვაწეებს“, ცდილობენ იმ აზრის განმტკიცებას, რომ ლაზური თითქოსდა არის დამოუკიდებელი ენა, მოწყვეტილი ჭანეთ-ლაზეთის ისტორიას, კულტურას, საერთო ქართულ ენობრივ-ეთნიკურ არეალს.

ეს ყოველივე არის აბსურდი.

საყოველთაოდ გამოჩენილი და აღიარებული მწერლები და მეცნიერები ჰავლე ინგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია, არნოლდ ჩიქობავა და სხვანი უტყუარი ისტორიული საბუთებით ყოველთვის ამტკიცებდნენ საპირისპიროს ჭანეთ-ლაზეთი ეთნიკურად,

ისტორიულად, კულტურულად საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი აღნიშნავდა „მეუძღვებელია, რომ კოლხები, იგივე ლაზები არ იყვნენ... კოლხთა სახელი ამჟამად ლაზებად შეიცვალა, როგორც ეს ბევრ სხვა ხალხშიც მომხდარა“. აკადემიკოსები ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი იგონებენ პროკოპის უმცროს თანამედროვე და თანამემამულე აგათიას, რომელიც წერს: „ძველად რომ ლაზებს კოლხები ერქვათ და რომ ისინი ნამდვილი კოლხები არიან, ამაში არავინ დაეჭვდება, ვინც კი გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას“. აკად. ე. თაყაიშვილი პარხლის ბაზილიკის წარწერაში გამოყოფს ერთ მოვლენას: შიგ ლაზურ-მეგრული სიტყვები ურევია.

აკად. ა. ჩიქობავა ლაზებთან დაკავშირებით წერს: „ეთნიკურად და ლინგვისტურად ლაზები ერთ-ერთი ქართველური ტომია. ლაზური ენა განსაკუთრებით ახლოა მეგრულთან და მასთან ერთად შედის ქართველურ ენათა ჯგუფში. ასეთია ერთსულოვანი აზრი, როგორც საბჭოთა მეცნიერებისა (ი. ჯავახიშვილი, ნ. მარი, ნ. მეშაშინოვი), ასევე უცხოელი ლინგვისტებისა (შუხარდტი, დირი, ბლახიშტიანერი, მეიე, ტრომბეტი). მხოლოდ თურქ ლინგვისტებს არ მიაჩნიათ ლაზური ენა ქართველურ ენად, მაგრამ თანახმად თურქული ლინგვისტური „თეორიისა“ („გიუნემ-დიდი“ „მზის ენა“) ყველა ენა თურქულთან კრებულშია, უკლებლივ ყველა, როგორც ძველი, ასევე ახალი ცივილიზაციისა: როგორც ლათინური, ასევე ინგლისური ან ფრანგული, არაბული ისევე როგორც შუმერული“.

კიდევ ერთიც:

1910 წლიდან ლაზების კათვითცნობიერებულმა ერთმა ჯგუფმა დაიწყო ქადაგება, რომ ლაზები ქართველების ნათესავეები არიან და მათი ანბანიც ქართული ანბანი არისო. კოლექტიური თხოვნაც გაუგზავნიათ მინისტრებთან, ნება მოგვეცეს ჩვენს სკოლებში ჩვენი ენა, გურჯული (ქართული) წიგნი ვასწავლოთ ჩვენს შვილებსო.



და ბოლოს დავიმოწმებთ თვით თურქულ ენციკლოპედიას „ჰამუსულალამს“: „ლაზები ცხოვრობენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ტრაპეზუნტის ვილაიეთში... ითვლებიან კავკასიელ ხალხად და ქართველებთან ნათესაური კავშირი აქვთ. (ხაზგასმა ჩვენია, გ.მ.)... მათი გარეგნობა კი მოწმობს მათ კავკასიურ წარმოშობასა და რასას“.

დავასრულებთ ნარკვევს ლაზეთზე პოეტ ნოდარ ჯალაღონის ლექსიდან:

*კოლხები და ლაზები  
იბერები, ქართვენი,  
ქართველებად გაეჩნდით და  
ქართველებად დავარჩებით.*

# ტაო-კლარჯეთი და შაჰეთი

რამდენადაც ცნობილია (და რაც ძალზე გულსატკენია) დღემდე არ არსებობს წიგნი „ტაო-კლარჯეთის ისტორია“, იგი გაბნეულია სხვადასხვა ნაშრომებში, ფრაგმენტებად...




სურ. №44  
ტაო-კლარჯეთი

მეც ამით ვისარგებლე, ვიხელმძღვანელე ამ მოკრძალებული ნარკვევის მომზადებისას...

ტაო და საერთოდ, მთელი ჭოროხის ხეობა უძველესი დროიდან ქართული სამყაროს ნაწილი იყო. ჭოროხის აუზი ძველთაგან ქართველური ტომების განსახლების არეალს წარმოადგენდა.

სამხრეთ-საქართველოს ეს მხარე ტაო-კლარჯეთსა და შავშეთს მოიცავდა. 1915 წელს აკად. ნ. მარი აღნიშნავდა: „რასაც სომხეთის ისტორიისათვის წარმოადგენს ქალაქი ანისი, იმაზე ბევრად მეტ მნიშვნელობას წარმოადგენს საქართველოს პოლიტიკური და განსაკუთრებით კულტურული ისტორიისათვის ტაო-კლარჯეთის ნანგრევები“

მღ. ჭოროხი სიგრძით (250 ვერსი)\* ალაზანსაც აღემატება და რიონსაც (200-200 ვერსი), ართვინიდან ზემოთ ჭოროხის ხე-



სურ. №45  
ოშკი

ობაზე ჭოროხის სათავემდე დევს ძველი კლარჯეთი. არეალის მნიშვნელოვანი ნაწილი კლარჯეთის საერისთაოში იყო გაერთიანებული, რომელიც საკუთრივ კლარჯეთს, ნიგალის, შავშეთს

---

\* ვერსი უდრის 1,1 კმ.

და რიგ სხვა ტერიტორიებსაც აერთიანებდა. თავდაპირველად კლარჯეთის ცენტრი ხერთვისი იყო. ხოლო ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს ცენტრი არტანუჯი ხდება. არაბების შემოსევამდე ეს მხარე რამდენჯერმე აღმოჩნდა სომხეთის ფარგლებში. მაგრამ ხანმოკლედ, ქართველები მალევე იბრუნებდნენ. სამწუხაროდ, არტანუჯის რაიონში ამჟამად თითქმის მთლიანად დავიწყებულია ქართული, ახლა აქ უმთავრესად სომხები ცხოვრობენ.

LX-XI საუკუნეებში კლარჯეთი წარმოადგენდა ქართული კულტურისა და განათლების მძლავრ კერას. ჭოროხის მოელ ტერიტორიაზე. მტკვრისა და ეფერატის ზემო წელში აგებულ იქნა მონუმენტური, ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები ბანა, ხახული, ოშკი, იშხანი, ტბეთი, ხანძთა, ანჩა, ოპიზა, დოდისყანა, შატბერდი. ფანასკერტი და სხვ. შემორჩენილია ხატოვანი გამოთქმა: „საქებარია სილაძაზე ოშკის ტაძრისა, ადგილმდებარეობა ხახულისა, მხატვრობა იშხანისა და წყალი პარხალისაო“ (სურ. 36) ხოლო ბანას ტაძარი 1843 წელს ცნობილმა ბოტანიკოსმა და მოგზაურმა კარლ კოხმა ასე შეაფასა: „მთელს აღმოსავლეთში მხოლოდ კონსტანტინოპოლის გამოკლებით (იგულისხმება აია სოფიას ტაძარი, - გ.მ.) რაც კი მინახავს უეჭველად ეს ყველაზე



სურ. №46


სოფელი კლარჯეთის მიწაზე

ულამაზესი და უმშვენიერესია“, გიორგი ყაზბეგის აზრით „ტბეთი დაამშვენებდა თვით რომსაც კი“

ტაო-კლარჯეთში დიდად განვითარდა ქართული სალიტერატურო ენა, მუსიკალური კულტურა, რომელთა წარმომადგენლები არიან გამოჩენილი მოღვაწეები: გიორგი მერჩულე, იოანე და ექვთიმე მთაწმინდელები, ჰიმნოგრაფი და კომპოზიტორი მიქაელ შოდრეკილი და სხვ. კლარჯეთის თორმეტ სავანეთ მხარეს, რომლის არქიმანდრიტი გრიგოლ ხანძთელი იყო, ძველ ქართულ წყაროებში „საქართველოს სინაის“ სახელით მოიხსენიებდნენ. მაშინ აქ 20-მდე განთქმული მონასტერი მოქმედებდა.

ოპიზის სახელს უკავშირდება სახელგანთქმული ქართველი ოქრომჭედლების ბექა და ბეშქენ ოპიზრების მოღვაწეობა.

ადარნასე ბაგრატიონის შემკვიდრე აშოტ პირველის გარდაცვალების შემდეგ სამხრეთ-დასავლური გაერთიანება ორად გაიყო ტაოს და კლარჯეთის სამთავროებად.



სურ. №47

თურქეთის ჩრდილ-აღმოსავლეთ პროვინციების ადმინისტრაციული რუკა წიგნიდან „თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისთვის“

XI-XIII საუკუნეებში საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურმა ცენტრმა მტკვრის ხეობაში გადმონაცვლა და ამ მხარეს მესხეთ-ჯავახეთი დაერქვა. XII საუკუნიდან მას ათაბაგები ანუ მეფის მრჩეველები განაგებდნენ და ამიტომაც სამცხე-საათაბაგოდ იქცა.

X-XI საუკუნეებში საქართველოს თურქობა შემოესია, მათ მოაოხრეს

ჯავახეთი, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი.


XIV საუკუნის დასაწყისში საქართველოს ისევ ოსმალთა შემოესია, ხოლო XV საუკუნის მეორე ნახევრიდან გაჩაღდა ბრძოლები ოსმალებსა და სპარსელებს შორის ქართული მიწებისთვის, 1578 წელს ოსმალებმა გაიმარჯვეს და დაიპყრეს მესხეთ-ჯავახეთი.

XVI საუკუნის დასასრულს მესხეთ-ჯავახეთის გარდა ტაო-კლარჯეთიც თურქების ხელში აღმოჩნდა. დაიწყო ამ ადგილების მოსახლეობის უმოწყალო გამაჰმადიანება, სხვა უსასტიკეს ზომებთან ერთად ქრისტიან ქართველებს მძიმე ხარკს აკისრებდნენ, ხოლო მაჰმადის სჯულის მიღების შემთხვევაში ხარკისგან ათავისუფლებდნენ.

სამხრეთ საქართველოს ქართულ კურთხეულ მიწაზე არსებულ მართლმადიდებლური ხუროთმოძღვრული ძეგლების დიდი ნაწილი სავალალო მდგომარეობაშია, სადაც კი მეტ-ნაკლებად დაცულია, ძირითადად, იმის წყალობით, რომ მაჰმადიანებმა გადააკეთეს მეჩეთად ან ჯამედ. ასეთებია, მაგალითად, ტბეთის, პარხალის, იშხანის, ხახულის, დოლისყანის ტაძრები.

სამწუხაროა, რომ დღემდე ფაქტობრივად დაუდგენელია კლარჯეთში უდიდესი კულტურული ცენტრის შატბერდის ტაძრის ადგილმდებარეობა. არ არის გაზიარებული (პ. ინგოროყვა, შ. ამირანაშვილი) ნ. მარის ვარაუდი, თითქოს დღევანდელი ფორთა, რომელიც მდებარეობს მდ. კარჩხლის წყლის სათავეებთან, უნდა იყოს შატბერდი (ამჟამად, მეჩეთად არის გადაკეთებული და ამიტომაც საკმაოდ დაცულია). ჰაველე ინგოროყვას ვარაუდით, შატბერდი მდებარეობდა კლარჯეთის სხვა მონასტრების ჯგუფიდან მოშორებით. აღ. გუგუნავას აზრით, ამ მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში შატბერდის მონასტერი არტანუჯამდე 12 კილომეტრში ჩრდილოეთით გადასახვევზე მდებარე სოფელ ენირაბათში დაცული ტაძარი უნდა იყოს.

ტაოსა და შავშეთში ძალიან ცოტა ქართველი და თურქი ცხოვრობს, ძირითად მასას ქურთები შეადგენენ, რომლებიც ფან-



სურ. №48

შავშეთის ხედი

შუშანა ფუტყარაძის წიგნიდან „ჩვენებურების ქართული“

ტასტიკური სისწრაფით მრავლდებიან. ტაო, საერთოდ, მწირნიადაგიანი, მთიანი მხარეა. კლარჯეთთან და შავშეთთან შედარებით არც მოსახლეობის მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა. (სურ. 39).

შავშეთი ძვეს აჭარის სამხრეთით, აღმოსავლეთით აკრავს არსიანის მთა და ჩრდილოეთით აჭარის საზღვარზე შავშეთის ანუ კარჩხალის მთა. ვაკე მღებარეობს შუა შავშეთში, სადაც მიედინება სათლელის წყალი, რომელსაც ერთვის მთის მრავალი პატარა მდინარე.

მოსავალი თითქმის ისეთივეა, როგორც აჭარაში. უხვად მოდის სიმინდი და ხორბალი. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში დიდი იყო სიმინდის ექსპორტი ინგლისში.

58 სოფელი დასახლებულია ქართველებით, რომელშიაც 2000

კომლზე ანუ 14 ათას სულზე მეტი მაცხოვრებელია. შავში ლაპარაკობენ წმინდა ქართული ენითა და დიალექტით, რომელიც ემსგავსება მთიელებისას ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ხვესურულს.

რამდენიმე სოფელში ქართული თითქმის დავიწყებით, თუმცა იციან, რომ წინაპრები ქართველები ჰყავდათ.

გარეგნობით შავშს ხვესურის ან მთიულის ვაჟკაცური სანახაობა არ აქვს, თუმცა წარსულ დროში სპარსელების და არაბების შემოსევებისას მიწის არც ერთ მტკაველს უომრად და თავგაუწირავად არ უთმობდა მტერს. თამარ მეფის შემდეგ ორასი წელიწადი შავშეთს არ მოუსვენია, გადაიტანა თურქების, ქურთების, სპარსელების შემოსევა. უნდა გვიკვირდეს ეს ადგილი კიდევ დასახლებული რომ არისო. გ. ყაზბეგი შენიშნავს, რომ შავშეთი შედგება ორი ხალხისაგან - ქართველებისა და სომხებისაგან, რომლებიც(სომხები) იქ დაცული თქმულების მიხედვით, 600 წლის წინ გადმოსახლებულან ანისიდან.

შავშეთი ოსმალებმა დაიპყრეს XVI საუკუნის შუა ხანებში.

შავშებს საკუთარი თავი ქართველებად მიაჩნიათ, ყველას ახსოვს, რომ ძალად გაუძაჰმადიანებიათ. სადაც ძველი ეკლესიებია პატივს სცემენ, ამბობენ ქალები დღესაც ქრისტიანობას მისდევნენო. შავშეთის რაიონის უმრავლეს სოფლებში ქართულად აღარ ლაპარაკობენ, თუმცა იციან, რომ ტომით ქართველები არიან.

შავშელების საინტერესო დახასიათება მოჰყავს მწერალსა და ეთნოგრაფს თედო სახოკიას, რომელსაც აჭარაში უმოგზაურია მე-19 საუკუნის ბოლოს და თავის შთაბეჭდილებებზე მკითხველისთვის უამბნია ჟურნალ „მოამბის“ ფურცლებზე 1898 და 1900 წლებში. „აჭარლებივით ამათაც (შავშელებს, - გ.მ.) საზაფხულოდ ამოუდიოთ საქონელი. ამათი ცხოვრება აჭარელთა ცხოვრებისაგან მხოლოდ იმით განირჩევა, სიღარიბე ამათში უფრო საგრძნობელია. მატერიალურ ნაკლებობას ხალხი მეტად დაუჩაგრავს და დაუჩიავებია... თუ აჭარაში ცოტა აქვთ სახნავ-სათესი, შავშელებს თითქმის სულ არ აქვთ. მათ მხარეში ზამთარი უფრო გრძელია, უგზობისაგან ხომ სული აქვთ ამორთმეული. მთელი წლის განმავ-



ლობაში მხოლოდ რამდენიმე თვეს ეღირსებათ ზოლმე შედარებით სიამით იცხოვრონ ზაფხულში, მთებზე ამოსვლის დროს. ტანად შავშელები აჭარლებზე უფრო პატარები არიან. სახეზე საშინელი ნალექის და დარღვეულობის ბეჭედი აზით, იშვიათად დაინახავთ გაღიმებულთ. მათი ლაპარაკის გაგება მეტად გასაჭირია“ (თ. სახოკია „მოგზაურობანი“, გვ. 271-272).

მუშანა ფუტკარაძე წერს: „ჩვენებურები (იგულისხმება შავშეთელები - გ.მ.) სინანულით ამბობენ, რომ ბევრ შავშეთელს „აღარ ახსოვან“ ქართული და ამის გამო ზოგი მათგანი მალავს თავის ქართველობას.

შავშეთში ტბეთის ტაძარია, რომელიც „უფრო დიდსა და მშვენიერ გრძნობას აღძრავს კაცში ვიდრე სვეტიცხოვლის ეკლესია“. ხალხური თქმულების მიხედვით, ამ ეკლესიის ასაშენებელი წითელი ქვა ოცი ვერსის სიშორიდან უჭრიათ და იქედან ხალხი იღვა მწკრივში და ხელდახელ აწოდებდა ერთმანეთს ეკლესიასთან დასადებათო.

ამბობენ, რომ ამ 50-55 წლის წინათ არტანუჯიდან აქ ვილაცას „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერი მოეტანოს.

აკადემიკოსი გ. ჩიტაია ავტობიოგრაფიულ წიგნში „ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე“ იხსენებდა: „იმ წლებში, როდესაც იგი (ა. მგელაძე, - გ.მ.) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი იყო, ხშირად მოდიოდა ს. ჯანაშიასთან სოხუმის სანატორიუმში, სადაც მეც ვმკურნალობდი. ამავე დროს აფხაზეთში ისვენებდა ი. სტალინი. მგელაძეს ხშირი შეხვედრები ჰქონდა მასთან... ერთხელ შემდეგი მოგვიყვა: სტალინმა ერთ-ერთი შეხვედრის დროს იგი (ა. მგელაძე გ.მ.) მიიყვანა რუკასთან, მოხაზა გრძელი ტერიტორია ბათუმიდან ტრაპიზონის ჩათვლით და ჰკითხა: „ხომ კარგი რუკაა?“ როგორც ჩანს, მას (სტალინს, - გ.მ.) გამიზნული ჰქონდა შემოერთება საქართველოს ისტორიული ტერიტორიებისა, ორჯერ დარაზმა ჯარები საზღვარზე, რათა დაეკავებინა ეს ტერიტორიები, მაგრამ ჩერჩილის მუქარის გამო ვერ განახორციელა“.

სიუჟეტურად იგივე ეპიზოდია მოთხრობილი ბ. სოლოვიოვისა

და ვ. სუხოდევის გახმაურებულ წიგნში „მხედართმთავარი სტალინი“, რომელიც ჟურნალ „გზაში“ იბეჭდება: „როდესაც ომის შემდეგ სტალინს აგარაკზე მიუტანეს საბჭოთა კავშირის რუკა, რომელზეც მისი ახალი საზღვრები იყო ასახული, მან ის ჭიკარტებით მიაკრა კედელზე და მოლოტოვის თქმით აღნიშნა: „აბა, ვნახოთ, რა გამოგვივიდაო...“. სტალინმა მიმოიხილა საზღვრები ჩრდილოეთით, ფინეთთან, ბალტიისპირეთი („ეს ძირძველი რუსული მიწები!“), ბელორუსებთან, უკრაინასთან, მოლდაველებთან, დასავლეთით, აღმოსავლეთ საზღვრებთან, კურილიის კუნძულებთან, სახალინთან, პორტ-არტურთან, შორეულ აღმოსავლეთთან, ჩინეთთან, მონღოლეთთან... სტალინმა რუკის მიმოიხილვა დაამთავრა და გააგრძელა: „ყველაფერი წესრიგშია... აი, აქ კი ჩვენი საზღვარი არ მომწონს! თქვა და ხელი კავკასიის სამხრეთისკენ გაიშვირა“.

დაუებრუნდეთ აკადემიკოს გ. ჩიტაიას მოგონებას.

აკადემიკოსის ამ მოგონების უნისონშია ჟურნალ „ომეგას“ ფურცლებზე 2002 წელს გამოქვეყნებული ლაშა ბაქრაძის ფრიად საინტერესო სტატია „ოცნება ტრაპიზონის ოლქკომზე“. მასში მოთხრობილი ისტორია ეხება საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის გადასინჯვის საკითხს. საბჭოთა კავშირი მოითხოვდა (1945 წელს) ყარსის 1921 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულების გადახედვას, ითხოვდა აგრეთვე 1936 წლის მონროს ხელშეკრულების გადახედვას, რომელიც დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებზე თურქეთის სრულ სუვერენიტეტს ითვალისწინებდა.

საქმეში ჩაერთო ქართული და საერთოდ, საბჭოთა პრესა და რადიო, თურქეთის მიერ წართმეული მიწა-წყლის დაბრუნების აქტიური მოთხოვნით. 1945 წლის 14 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა აკადემიკოსების ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის სტატია „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, ხოლო იმავე წლის 20 დეკემბერს გაზეთ „Заря Востока“-ში აკად. ა. ჩიქობავას სტატია „Несколько замечаний о Лазях“. ამ სტატიებს მოჰყვა სრულიად საქარ-

თველოს კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატეს, პროფ. ე. თაყაიშვილის და სხვათა სტატიები. ჩერჩილი და ტრუმენი თანხმდებოდნენ დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებში საბჭოთა სამხედრო და სავაჭრო გემების გავლის უფლებას, მაგრამ წინააღმდეგი იყვნენ სრუტეებზე საბჭოთა განსაკუთრებული უფლებებისა.

ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა მხარემ ავადსახსენებელი ხრუშჩოვის ინიციატივით თურქეთის მიმართ 1953 წლის 30 მაისის ნოტაში უარი თქვა ყველანაირ ტერიტორიულ პრეტენზიებზე.

საპასუხოდ თურქეთის ხელისუფლება ხელს უწყობდა თვით თურქეთში ეთნიკურად ქართული მოსახლეობის ქვეყნის შიგნით, სხვა რეგიონებში გადასახლებას და მათ მიმართ ასიმილაციური პოლიტიკის გააქტიურებას.

## ავლანკლი გურჯები

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა და მკვლევარმა აკად. გიორგი ლეონიძემ გაზეთ „კომუნისტში“ გამოხმაურების სახით გამოაქვეყნა უალრესად საინტერესო სტატია „შეკრიბოთ ქართული ეტრატის გაფანტული ფურცლები“.

სტატიის ავტორი წერდა: „არის ცნობა ინდოეთ-ავღანეთის საზღვრებზე ქართველი მოსახლეობის შესახებ მათ „გორგიჯანები“ ეწოდებათო. იქვე თავის მოსაზრებასაც გადმოგვცემს რა გზით უნდა მოხვედრილიყვნენ ისინი ამ ადგილებში და ყოველივე ამას საქართველოში ნადირშაჰის ლაშქრობას უკავშირებს. „ეს, ალბათ, ის ქართველობაა, რომელნიც ნადირშაჰმა აჰყარა 1735 წელს და ხორასანს დაასახლა“, წერდა ბატონი გიორგი.

დიდხანს არაფერი ისმოდა მათ შესახებ, ყოველ შემთხვევაში მე ვერაფერს წავაწყდი. ამ სტატიის გამოქვეყნებიდან მხოლოდ ოთხი ათეული წლის შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით გაიჟღერა პრესაში ავღანელი გურჯების სახელმა, ავღანეთის სამხედრო პერიპეტეიების ქართველი მონაწილეების პოლკოვნიკების თენგიზ ეპიტაშვილის და ვალერი ჩხეიძის (მოგვიანებით ისინი გენერლები გახდნენ) მხრივ მათი მოგონებები ქართველ მკითხველებამდე მიიტანეს მწერალმა რევაზ მიშველაძემ (ნოველის სახით), ჟურნალისტებმა ვაჟა გავაშელმა და აღეკო ასლანიშვილმა.

250 ათასი ქართველი ცხოვრობსო.

სად ცხოვრობენ ეს ავღანელი გურჯები?

ზოგი სად მიუთითებს და ზოგი სად. გ. ლეონიძის ვერსიაზე უკვე მოგახსენეთ, სხვაც არის — ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთით სპარსეთის საზღვრის გასწვრივო. კიდევ სხვაც ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინციააო და ბოლოს, ცენტრალურ ავღა-

ნეთში თუ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთშიო პაკისტანის, ირანის და ავღანეთის საზღვრის გზა-შესაყარის სიახლოვესო. ამ მასალებში



სურ. №49

ქალაქ ყანდაარის სიახლოვეს უნდა იყოს ის პროვინცია, სადაც ვარაუდობენ ავღანელი გურჯების განსახლებას

ერთ ასეთ მინიშნებას ნახავდით: ავღანეთის სიდიდით მეორე ქალაქ ყანდაარის სიახლოვეს უნდა იყოს ის პროვინცია, სადაც ავღანელი გურჯები სახლობენო. (სურ. №40)

ჩვენებური ბალ-ვენახი, სამასი წლის მანძილზე შენარჩუნებული ადამ-წესები, სტუმრის პატივისცემა, მაგრამ სისასტიკე სამტროდ მოსულის მიმართ, - ასე გადმოგვცემს ჟურნალისტი ვ. გავაშელი ავღანეთში ნაომარ თენგიზ ეპიტაშვილის მონათხრობს, სიმამაცესა

და გაბეღულებას უკებდნენ, თურმე, გურჯებს ავღანელები: ირანელები ბრძოლებში ჩვენთან შედარებით ცხვრები არიან, გურჯებთან შედარებით კი ჩვენ ვართ ცხვრებიო. უთქვამთ ავღანელთ.

არ გამართლდა გ. ლეონიძის ვარაუდი იმის შესახებ, რომ რაკი ავღანელი გურჯები ფერეიდანელებზე ერთი საუკუნით და მეტი-თაც გვიან არიან გადასახლებულნი, ენა და ეროვნება ნაკლებად არ უნდა ჰქონდეთ შერჩენილიო.

ზემონახსენებ მასალებში მოყვანილია ტყვედჩაგდებულ ქართ-



სურ. №50

ინტერნეტიდან გადმოღობული ეს ფოტო დაურთო ჟურნალმა  
„გზამ“ (სტატია) ავღანელი გურჯები“

ველ პოლკოვნიკთან საუბარი იმის გასარკვევად მართლა ქართველი იყო თუ არა იგი (და არა დასაკითხად). მოვიყვან ამ ოთხმოცი წლის კაცთან, ქართულის სხვებზე უკეთ მცოდნე გურჯთან, საუბრის ფრაგმენტებს, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი ფერეიდნელებზე ცუდი ქართულით საუბრობენ:

გურჯი?

დიახ.

რამეთით ხარ?

თბილისი გაგიგონიათ?

თავი დამიქნია.

ურუსით რატომ ჩონს მოსაკლავად იარე?

არა, მე თქვენიანი ვარ. ცუდადაა თქვენი საქმე.

რათ ცუდ?

რუსის ბრძანებით ეს მხარე დაიბომბება.

შონ ჩონ გეცოდე?

დიახ, მეცოდებით. და ასე შემდეგ.

ავლანელები მესაქონლეები არიან, მაგრამ, თურმე, ყველის კეთება არ იციან. ბატონ ვალერი ჩხეიძისთვის ერთ მის ავლანელ კოლეგას უთქვამს, რომ გუჯარები (ხან ასეც ეძახიან ქართველებს) ერთადერთი ავლანური ტომია, რომელიც ყველს აკეთებსო.

ნუთუ ავლანელ გურჯებს ბოლოსდაბოლოს თავიანთი ლადო აღნიაშვილი არ გამოუჩნდებათ?

# ჰიპოთეზების სამყაროში

ნამოკიდა სამი ცხელი ტალღა,  
ერთი შედგა იბერიის ზღვასთან,  
სხვამ ჰონტოს ზღვა აირჩია ტახტად,  
მესამე კი ინდოეთს არ გასცდა.

*ალექო შენგელია*

გუჯარები  
ბასქები



# გუჯარები - ინდოელი ქართველები?

*შემდეგ მიწა გაიპოზა ცრემლით  
ასე გაჩნდა გუჯარათი ჩემი.\**

„ბურბანონი, 23.8.66. საქართველოს მხედრობისათა აკადემიის  
ფორმირების, თბილისი (სსრკ).

ძვირფასო სერო

შე მსურს სათანადო პატივისცემით გაგეცნოთ. ვარ კოლეჯის მასწავლებელი და გეოგრაფიის ფაკულტეტის მეთაური გურგაონის (ფენჯაბი) კოლეჯში (ინდოეთი). სამეცნიერო ხარისხი ფენჯაბის უნივერსიტეტისაგან.

ვაწარმოებ ჩრდილო ინდოეთში ფართოდ გავრცელებული ტომის „გუჯარების“ კვლევას. ჩემი ხელმძღვანელია დოქტორი ა.ბ. მუკერჯი ხელოვნებათა მაგისტრი, ფილოსოფიის დოქტორი, რომელიც ავტორიტეტია „ხეობათა კულტურის“ შესწავლაში.

ჩემი გამოკვლევების დროს გავიგე, რომ ქართველები (გურჯები) ატარებენ ისეთივე კულტურულ ნიშნებს, აქვთ ისეთივე ჩვეულებები, სამოსელი, ფოლკლორი და ისევე საქმიანობენ, როგორც ჩრდილო

---

\* ა. შენგელია, „როგორ გაჩნდა საქართველო, ანუ ლეგენდის დაბადება“.

\*\* ეს იმ შტატთაგანია, რომელიც 1971 წლის შემოდგომასა და 1972 წლის გაზაფხულზე კოკისპირული წვიმების შედეგად დაიტბორა.

\*\*\* ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის დროს, რასაც შედეგად მოჰყვა ბანგლადეშის რესპუბლიკის გამოცხადება, საომარი მოქმედების ასპარეზი იყო.

ინდოეთის „გუჯარები“. რომლებიც გვხვდებიან რაჯასტანში შტატ უტარ-პრადეშა,\*\* ჯამუსა და ქაშირში\*\*\*, სივალის ბორცვების გასწვრივ და დასავლეთ პაკისტანში.

მსურს შევისწავლო ქართული ლიტერატურა და ენა, რომელიც რამდენადმე მოგვაგონებს ჩვენს ჩრდილო ინდოეთის გუჯარულ კოლოკასს.

დაწერილი მაქვს მთელი რიგი სტატიებისა და წიგნი „გუჯარები და მათი კულტურა“. ვიყავი თავმჯდომარე სრულიად ინდოეთის გუჯარული კონფერენციისა, რომელიც ჩატარდა ქ. ბადარფურში 1965 წ. ივნისში.

ესწავლობ რუსულ ენას დელის საღამოს უნივერსიტეტში, ხელმძღვანელმა მიჩნია ამ საკითხის ირგვლივ უშუალო კავშირი დამეყარებინა თქვენთან, თბილისში.

გთხოვთ დამეხმაროთ ნებართვის მიღებაში, რათა დაშვებულ ვიქნე თქვენს აკადემიაში სამუშაოდ. უაღრესად მადლობელი ვიქნები თქვენი, თუ შეეწეობას აღმომიჩინეთ ქართული ენის დაუფლებაში, ქართული ლიტერატურის უშუალოდ გაცნობასა და ჩემს კვლევითს მუშაობაში გუჯარების, ჯურების, ქართველების შესახებ.

გთხოვთ გამომიგზავნოთ აუცილებელი საბუთები და ფორმები დაშვებისათვის.

მადლობით, გულწრფელად თქვენი რ. კ. ხათანაჲ.

ინდოელი მკვლევარის ეს მეტად საინტერესო წერილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისადმი მკითხველს პროფესორმა ლევან მარუაშვილმა შესთავაზა რვა წლის წინ.

სტატიიაში „ინდოელი ქართველები? ახალი გამოცანა!“, რომელიც პირველმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალტირაჟიანმა გაზეთმა გამოაქვეყნა, პროფ. ლ. მარუაშვილი შენიშნავდა, რომ ინდოეთში აღზრდილი ინგლისელი მონადირის ჯიმ ქორბეთის წიგნის („ტაძრის ვეფხვი“) კითხვისას მისი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ჩრდილო ინდოეთში, ჰიმალაის ქედის სამხრეთ კალთებზე, ბინადრობს ხალხი, რომლის მეტყველებაში ქართულ სიტყვებთან თანხვედრა შეინიშნება. განგის სა-



სურ. №51  
გუჯარები ურეშე  
აკად. გ. ჭოლოშვილის ფოტო

თავეში, გარვალის პროვინციაში მცხოვრები ტომები მთის გარეული თხის აღსანიშნავად ხმარობენ სიტყვას „თხარ“, პურის აღსანიშნავად „პურ“ და ა.შ.

ქართველი მეცნიერის განსაკუთრებული ინტერესი გამოუწვევია იმ ქართველთა ცნობებს, რომელთაც ბოლო წლებში უმოგზაურიათ ინდოეთში. ცნობებში აღნიშნულია, რომ აკად. გ. ძოწენიძეს დელიდან ბომბეში მგზავრობისას ხვდებოდა „კახელების მსგავსი ხალხი“ საქდესის კორესპონდენტთან საუბარში იგივე დაუდასტურებია პროფ. გ. თვალჭრელიძესაც.

დელიდან ბომბეში მანქანით მგზავრობისას მას უნახავს ურში მძიმე აღმანები, რომლებიც გარეგნობით, ჩაცმულობითა და მიხერა-მოხერით თითქმის არ გამოიჩნეოდნენ კახელებისაგან. სამწუხაროდ მეცნიერს მაშინ დრო არ ჰქონია რომ მათთვის ვინაობა გამოეკითხა (სურ. №51)

ეს მარშრუტი (ე.ი. სამანქანო გზა დელიდან ბომბეისაკენ ვ.მ.) გადის სწორედ რაჯისტანზე, სადაც, დოქტორ ხათანას სიტყვით,

გუჯართა ნაწილი ცხოვრობს, - ამბობს პროფ. ლ. მარუაშვილი და იქვე მიუთითებს, რომ ბოტანიკოს გ. საზოკიას ჰიმალაის კალთებზე აჩვენებს ტომი, რომელსაც პურის აღსანიშნავად სიტყვა „პურ“ აქვს.

პროფ. ლ. მარუაშვილს სავსებით მიზანშეწონილად მიაჩნია ინდოელ ქართველთა საკითხის სპეციალური კვლევა. იგი პიპოთეზის სახით გეთავაზობს მოსაზრებას, რომ ქართველთა დასახლება ინდოეთის მიწა-წყალზე შესაძლოა თემურ-ლენგის პერიოდს განეკუთვნოს.\* ეს მოსაზრება ემთხვევა ინგლისელი მეცნიერის ედვარდ გიბონის (1737-1794 წწ.) აზრს იმის შესახებ, რომ 1394 წელს დატყვევებული ქართველები თემურ-ლენგს თან წაუყვანია ინდოეთზე 1398 წელს გალაშქრების დროს. ამასთან, უაღრესად საინტერესოა კიდევ რამდენიმე ფაქტიცი:

რომ ტყვედ წაყვანილი ქართველები ინდოეთში ჩანან XVI-XVII საუკუნეებშიაც;

რომ 1525-1739 წლებში ჩრდილოეთ ინდოეთში არსებობდა ე.წ. „დიდი მონგოლების“ ძლიერი სახელმწიფო, რომელიც იმ ტერიტორიასაც მოიცავდა 1398-1399 წლებში თემურ-ლენგმა რომ დაიპყრო;

რომ უნგრელი მეცნიერის ლ. ფაკეტეს ცნობით, „დიდი მონგოლების“ სამხედრო სამსახურში მრავლად იყვნენ ქართველებიც.\*\*

„ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ, კერძოდ, ბერი ეგნატაშვილის მიერ XVIII საუკუნის დასაწყისში დაწერილი მატიანის მიხედვით, თემურ-ლენგმა ერთი ადრინდელი შემოსევის დროს გაამაჰმადიანა და თან წაიყვანა მესხეთის მოსახლეობის ნაწილი. შემდეგ, 1398 წელს თემურ-ლენგი ინდოეთში შეიჭრა, დაიპყრო დელი და დაეუფლა მთელ ჩრდილოეთ ინდოეთს. „დასაშვებია, წერს პროფ. მარუაშვილი, რომ სამარყანდელმა მფლობელმა

---

\* რუმინელი ვ. კერნაზის ცნობა იმის შესახებ, რომ ინდოეთის ზოგიერთ ენაში ცნება „ლამაზი“ და „საქართველო“ ძველთაგანვე ურთიერთსინონიმებად იხმარებაო, ასევე ზომ შესაძლოა სწორედ ამ დროიდან დამკვიდრებულიყო ინდოეთში? (გ.მ.)

\*\* ქ. ჩხატარაიშვილი - „კვლავ „ინდოელ ქართველთა“ შესახებ“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967 წ.

მესხეთიდან წაყვანილი გამაჰმადიანებული ქართველები ჩრდილო ინდოეთის ტერიტორიაზე დაასახლა, როგორც თავისი საყრდენი ძალა ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ“.

სტატისას „ინდოელ ქართველებზე“ პირველი გამოეხმაურა ქ. ჩხატარაიშვილი, რომელმაც ინდოელი მკვლევარის რ. ხათანას პიპოთეზა ქართველებისა და ინდოეთ-პაკისტანში მცხოვრები გუჯარების ნათესაობის შესახებ საფუძველმოკლებულად მიიჩნია: „ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში გუჯარები და გუჯარათლები“\* (რომლებიც ახლა დასავლეთ ინდოეთში ცხოვრობენ და 11 მილიონს შეადგენენ\*\*) ერთ ხალხს წარმოადგენდნენ, - წერს ქართველი მკვლევარი - ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში შუა აზიიდან ე.წ. თეთრი ჰუნების და სკვითების შემოსევის შედეგად ისინი გაითიშნენ და დაიფანტნენ. ჩვ.წ. აღ. V-VII საუკუნეებში ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში არსებობდა ძლიერი სახელმწიფო გურჯარა, რომელიც წინ გადაეღობა ექსპანსიას და ინდოეთი დაპყრობას გადაარჩინა.“

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ავტორი სავსებით რეალურად ცნობს ვარაუდს თანამედროვე ინდოეთსა და პაკისტანში ქართული წარმოშობის მოსახლეობის არსებობის შესახებ. მისი აზრით, ინდოელი მკვლევარის რ. ხათანას მტკიცება გუჯარების ჩვეულებები, სამოსელი, ფოლკლორი და საქმიანობა ისეთივეა, როგორც ქართველებისო, შესაძლოა იმაზე მიგვითითებდეს, რომ გუჯარებით

---

\* პროფ. ლ. მარუაშვილის აზრით, დას. ინდოეთში მცხოვრები მრავალმილიონიანი ეროვნება „გუჯარათი“ - მკვიდრი ინდოელი მოსახლეობა არ უნდა აეურიოთ გუჯარებთან, ამ ტომების დასახელების მსგავსება შემთხვევითია, რაც აგრეთვე დაუდასტურებია რამდენიმე წლის წინათ საქართველოში სტუმრად მყოფ ინდოელ მეცნიერ ქალს სენ-გუფთას.

ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ლ. კარბელაშვილი, „ქართველთა ნაკვალევი ინდოეთში V-XIII სს. „საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია, კოლონიკისა და სამართლის ინსტიტუტი, „ეკონომიკა“, ტ. 3, 1971, გვ. 295-322.

\*\* ნაგულისხმებია, ალბათ, გუჯარეთის შტატის მცხოვრებნი.

დასახლებულ ტერიტორიაზე ასეთ ნიშნებს სწორედ ქართული წარმოშობის მოსახლეობა ატარებს. XIV-XV საუკუნეებში ინდოეთში ტყვედყოფილ ქართველთა ყოფნა ქართველ მკვლევარს დოკუმენტურ ნიადაგზე დადასტურებულად, ხოლო ჰიპოთეზა დღევანდელ ინდოეთსა და პაკისტანში ქართველ თვისტომთა ყოფნის შესახებ გარკვეული აზრით შემაგრებულად მიაჩნია. „თუ ამასთან გავიხსენებთ... ქართველთა მონაწილეობას ინდოეთზე ნადირშაჰის გალაშქრებაში 1739 წელს და რამდენიმე წლის წინათ ჩვენს პრესაში გამოქვეყნებულ ცნობას გვიანდელ შუა საუკუნეებში ინდოეთის რამდენიმე სამთავროს სათავეში ქართველ გამგებელთა ყოფნის შესახებ, - წერს იგი, - მაშინ კიდევ უფრო რეალურად წარმოგვესახება იმის შესაძლებლობა, რომ შორეულ ინდოეთში ჟამთა სიავისაგან სამშობლოს მოწყვეტილი ათასობით ქართველის შორეული შთამომავალი ცხოვრობდეს“.

ინდოეთში სამი სამეფოს სათავეში ქართველთა ყოფნის თაობაზე ცნობა მოაქვს პოეტ-აკადემიკოს ი. აბაშიძეს 1959 წელს გამოქვეყნებულ ჩანაწერებში „ინდოეთის გზებზე“.

„ამ სტრიქონების წერის დროს ხელთა მაქვს ცნობილი ფრანგი მეცნიერის, ფილოსოფოსისა და მოგზაურის ფრანსუა ბერნიეს წიგნი „უკანასკნელ პოლიტიკურ გადატრიალებათა ისტორია დიდი მონგოლის სამეფოში“, \* რომელმაც თავის დროზე მარქსისა და ენგელსის მოწონება დაიმსახურა. ეს წიგნი, სხვათა შორის, მოგვითხრობს იმ სამი ქართველის შესახებ, რომელთაც XV საუკუნის მიწურულში ინდოეთის ერთ დიდ ნაწილში სამი სამეფო შექმნეს. ამ სამეფოებმა ორას წელიწადს იარსებეს. ბერნიე წერს: „ქართველები მტკიცედ განაგებდნენ ამ სამეფოებს იმიტომ, რომ ერთმანეთთან მუდმივ კავშირში იყვნენ და ერთმანეთს გვერდით უდგნენ მონგოლების წინააღმდეგ დიდ სამხედრო

---

\* მოსკოვ-ლენინგრადი, სახელმწიფო სოციალ-ეკონომიური გამომცემლობა, 1936 წ.

ოპერაციებში“. ბერნიე ასახელებს ამ ქართველ მეფეთა მხოლოდ მეზუთე თუ მეექვსე თაობის წარმომადგენელს ნეზამ შაჰს (რომელმაც თავისი სამეფოს დედაქალაქს დაარქვა დუაღეთი).

ეს ამბავი ხდება ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთის რაიონში, სინდისა და ფენჯაბის მხარეში“.\* „ინდოელ ქართველთა“ საკითხს გარკვეული ამაგი დასდო ჟურნალისტმა ლ. გოლდმანმა, რომელმაც თემას ორი საკმაოდ საინტერესო წერილი მიუძღვნა.

რუსეთის არმიის გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკს, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილ წევრს ნოვიცკის 1896 წელს დაუწერია წიგნი „ინდოეთიდან ფერგანამდე“, რომელშიც იგი იხსენიებს ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, როგორცაა ტნარი, ლომოური და ა.შ. ამასთან, ეს დასახელებები გვხვდება მხოლოდ ქაშმირში, სადაც, როგორც ზემოთ ითქვა, გუჯარები ცხოვრობენ.

ჩვენს პრესაში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში ლ. გოლდმანს მოჰყავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტროტექნიკის კათედრის გამგის შ. ბებიაშვილის საინტერესო მოგონება:

ინგლისის ჯარები, რომლებიც 1918 წელს საქართველოში იდგნენ, შედგებოდა შოტლანდიელებისა და ინდოელი სიპაებისაგან. ერთხელ მამაჩემმა მიაშბო, რომ ერთ-ერთი ინდოელი ესაუბრა მას ქართულ ენაზე და თქვა, რომ ინდოეთში ბევრს ესმის ქართული.

ინდოელი მეცნიერი ხათანა ახალ წერილში იტყობინებოდა, რომ „ინდოეთში არის წმინდა ქართული სოფლებიც“.

იგივე დაადასტურა გამოჩენილმა ქართველმა მათემატიკოსმა აკადემიკოსმა გ. ჭოლოშვილმაც.

ქართველი მეცნიერი ერთ თვეს კითხულობდა ლექციებს ინდოეთის უნივერსიტეტებში და, როგორც ამბობს, გამოუკითხავს

---

\* „მორეულ გზებზე“, ქართველ მოგზაურთა ჩანაწერები, წიგნი პირველი, თბილისი, 1959 წ.

„ინდოელი ქართველების“ ამბავი.

ინდოეთიდან დაბრუნების შემდეგ აკად. გ. ჭოლოშვილი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წინაშე. მან საქართველოს მათემატიკური საზოგადოების საჯარო სხდომაზე წაიკითხა ლექცია თემაზე „ზოგი შთაბეჭდილება ინდოეთში მოგზაურობის შესახებ“.

აკად. გ. ჭოლოშვილის მოგზაურობის შთაბეჭდილებები მოკლედ გაშუქდა ჯერ გაზეთ „თბილისის“ (1968 წ.), ხოლო შემდეგ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ (1973 წ.) ფურცლებზე. ამასთან ბოლო პუბლიკაციას თან ახლავს პროფ. ხათანას (ქჰათანას) და გუჯარების ორი ფოტოსურათი.

დელის საბჭოთა საელჩოში აკად. გ. ჭოლოშვილს გაუგია, რომ სადღაც, მაღალ მთიანეთში არის რამდენიმე ქართული სოფელი (ლაპარაკია წმინდა ქართულ სოფელზე). მაგრამ მივლინების მოკლე ვადა შორს გამგზავრების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომაც, ქართველ მეცნიერს გადაუწყვეტია პროფ. ხათანასთან ერთად დელის მახლობლად მდებარე გუჯარების სოფელს სტუმრებოდა.

ქართველი მეცნიერი გაოცებულა: სახის ნაკვთებით, მანერებით, ენერგიული მოძრაობით, სხარტი მიხვრა-მოხვრით, ტემპერამენტით გუჯარები რამდენადმე მართლაც განსხვავდებოდნენ ინდოეთის ძირითად მკვიდრთაგან.

ერთად შეეგვიფულ ინდოელთაგან, ხანდაზმული გუჯარის თხოვნით, ქართველ მეცნიერს გარეგნობის მიხედვით გამოუცვნია 14 კაცი, რომელთაგან 12 მართლაც გუჯარი გამოდგა.

გამოდის, რომ იქაც კი, სადაც მკვიდრი ინდოელი მოსახლეობის გავლენა განსაკუთრებით ძლიერია, გუჯარები გარეგნულად აშკარად გვანან ქართველებს. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ინდოეთის ცენტრებს დაშორებულ რაიონებში (ხომ ცნობილია, რომ

---

\* აღექვსანდრე მაკედონელის დროინდელი ბერძნები ჰიმალაის უწოდებდნენ „ინდურ კავკასიას“.



გუჯარები სახლობენ ძველ რაჯასტანში, ჯემასა და ქაშმირში, ჰიმალაის მთიანეთში,\* პაკისტანსა და ნეპალში) ტომების თავდაპირველი სახე და ნიშნები უკეთ უნდა იყოს შემონახული.

საერთოდ, აკად. გ. ჭოლოშვილის მოსაზრებებს დიდი ინტერესი გამოუწვევია ინდოელ მეცნიერთა შორის.

ამ რამდენიმე ხნის წინ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელზე მიუღიათ ბანგალორის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტის ვ. გოკაკის წერილი, რომელშიაც ინდოელი მეცნიერი წერს, რომ აკად. გ. ჭოლოშვილთან საუბარმა ხანგრძლივი და საინტერესო ერთობლივი მუშაობის პერსპექტივა შექმნაო. „მოხარული ვიქნები თქვენი მეცნიერების ჩამოსვლისაო“, - წერს ბატონი გოკაკი.

აკად. გ. ჭოლოშვილმა უაღრესად საინტერესო შთაბეჭდილებებთან ერთად ინდოეთიდან ჩამოიტანა და სპეციალისტებს გადასცა ინდოეთში საჩუქრად მიღებული წიგნები და პროფესორ ხათანას (სხვათა შორის, თვითონ ხათანა გუჯარი ყოფილა) ხელნაწერი შრომა.

პროფ. მ. მირიანაშვილის ცნობით, ინდოეთში ყოფნის დროს მასთან საუბარში უთქვამთ, რომ ბომბეის ჩრდილოეთით, გალუჯაიერის მთაზე მცხოვრებნი კახეთის (იქნებ კახის? გ.მ.) ტომი ხშირად ასრულებსო ქართულ ცეკვებს.

პრობლემა „ინდოელ ქართველთა“ შესახებ მრავალმხრივ საინტერესოა და, ცხადია, ბევრი რამ ამ მიმართულებით ბურუსით არის მოცული. მაგალითისათვის, ამ ტომის (გუჯარი) სახელწოდებას ხომ არა აქვს რაიმე კავშირი ჩვენს გუჯარეთთან, რომელიც თრიალეთის, ტაშირის, ივრისპირისა და მე-18 საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებს\* შორის იხსენიება? გუჯარეთის ანარეკლი უნდა იყოს საქართველოში დღემდე შემორჩენილი სახელწოდებები სოფლებისა ლავოდებისა და ბორჯო-

---

\* საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973 წ. გვ. 59

მის რაიონებში, სოფლის მორაკრაკე მდინარისა ბორჯომის რაიონში (გუჯარულა) და ბოლოს თვით ქართული გვარიც გუჯარაიძე.

ზემომოტანილი ცალკეული შთაბეჭდილებებიდან, ცხადია, ძნელია დასკვნის გაკეთება. ამიტომ ჩვენ გუჯარების საკითხი პიპოთეზების სამყაროში მოვაქციეთ.

ეფიქრობთ, მომავალში სპეციალისტები გააგრძელებენ კვლევას ამ მიმართულებით და უფრო საფუძვლიან დასკვნებს გააკეთებენ.

# ზენ და ბასკები

შემდეგ მიწას შერჩა ერთი ცრემლი,  
ასე გაჩნდა იქ ბასკეთი ჩემი.

ალეკო შენგელია

თანამედროვე ბასკეთი (ესპანეთისა და საფრანგეთის) შვილი



სურ. №52

წიგნიდან „ბასკური პოეზიის ანთოლოგია“ (თბ. 1991, „მეცნიერება“).  
ბასკურიდან თარგმნეს და კომენტარები დაურთეს სალომე გაბუნიამ  
და ნათელა სტურუამ)

პროვინციისგან შედგება, რომელთაგან ოთხი მდებარეობს ჩრდილოეთ ესპანეთში (მათგან სამი შეადგენს თავად ბასკეთს), ხოლო სამი - სამხრეთ საფრანგეთშია. პროფ. ი. ტაბალუა აღნიშნავს, რომ თვით ბასკები არ ხმარობენ გამოთქმას „ესპანეთის ბასკები“ ან „საფრანგეთის ბასკეთი“, არამედ არსებობს ტერმინები „ჩრდილოეთ ბასკეთი“ (ე.ი. საფრანგეთის ბასკეთი, რომელსაც ფრანგები უწოდებენ „ბასკების ქვეყანას“- „პეი ბასკ“) და „სამხრეთ ბასკეთი“ (ე.ი. ესპანეთის ბასკეთი, რომელსაც ესპანელები უწოდებენ „ბასკონიას“ „ვასკონგალოს“).

სამხრეთ ბასკეთში (ვასკონგალოსში) შედის პროვინციები (1979 წლის მოსახლეობის მონაცემებით): ბისკაია 900 ათასი, ადმინისტრაციული და პოლიტიკური ცენტრი ქ. ბილბაო (ბასკურად ბილბო); ალავა (არაბა) 200 ათასი, ცენტრით ქ. ვიტორია (გასტეისი); გიპუსკოა 500 ათასი, ცენტრით ქ. სან-სებასტიანი (დონოსტია); ბასკეთის გარე მდებარე ბასკური პროვინცია ნავარა (ნაპარა, ნაპაროა) 700 ათასი, ცენტრით ქ. პამპლონა (ირუნია).

ჩრდილოეთ ბასკეთში („პეი ბასკ“) შედის: ლაბურდი (ლაპურდი) 152 ათასი, ცენტრით ქ. უსტარიცი (უსტარ იცი); ქვემო ნავარა (ბენაეარე, ბენაპაროა) 40 ათასი, ცენტრით სენ-ჟან-პრედეპორი (დონიბანე გარასი); სული (საბეროა, სუბეროა) 22 ათასი, ცენტრით მაულეონ-ლიშარი (მაულელისარა).

„ამრიგად, ორივე ბასკეთის ტერიტორია შეადგენს 20.667 კვ.კმ, ხოლო მოსახლეობა 2.510 ათას კაცს,“ წერს ი. ტაბალუა.

### ჩვენ და ბასკები...

ქართველებისა და ბასკების ნათესაობის პრობლემა დიდი ხანია აინტერესებს მეცნიერებს, ქართველ საზოგადოებრიობას.

„ოცი საუკუნეა კაცობრიობის ისტორიაში ტრიალებს აზრი პირინეის ნახევარკუნძულის მკვიდრთა და ქართველთა ეთნიკურ ღინგვისტური მიმართების თაობაზე. ამ საკითხზე მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ანტიკური ხანის ავტორებს, ევროპის მეცნიე-

რებსა და საბჭოთა მკვლევარებს. ეს პრობლემა იდგა ძველ საქართველოშიც და, როგორც ჩანს, იმდროინდელ მოწინავე მოღვაწეებს ნაბიჯებიც გადაუდგამთ „ევროპელ ქართველებთან“ კავშირურთიერთობის დასამყარებლად“. წერს აკადემიკოსი შოთა ძიძიგური.

1965 წელს გაზეთ „იზეესტიის“ ყოველკვირეულ დამატებაში („ნედელია“) სპორტულმა ჟურნალისტმა და მწერალმა, არაერთი საინტერესო ნარკვევისა და მემუარის ავტორმა ალექსანდრე კიკნაძემ გამოაქვეყნა სტატია „ბასკები. საიდან არიან ისინი?“ და „სიმღერა ბასკზე“. მან საზოგადოებრივ სამსჯავროს ისევ დაუბრუნა, ცნობილი საბჭოთა მეცნიერ-აღმოსავლეთმცოდნის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მ. კოროსტოვცევის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს „დაუმსახურებლად დავიწყებული“ პრობლემა.

როგორც მოსალოდნელი იყო, სტატიამ დიდი გამოხმაურება კპოვა.

„ნედელია“ რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ დაუბრუნდა აღნიშნულ თემას. ამ პუბლიკაციასთან დაკავშირებით ესპანეთის პროლეტარიატის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დოლორეს იბარური წერდა ა. კიკნაძეს: „ქართველ ლინგვისტებს, ისტორიკოსებსა და ეთნოგრაფებს, რომლებიც ბასკებისა და ქართველების ნათესაობის პრობლემებზე მუშაობენ, გულწრფელად ვუსურვებ წარმატებებს მათს მეტად საინტერესო და კეთილშობილურ საქმიანობაში“

შემდგომ ქართულ პერიოდულ გამოცემებში ჩანახატების, შთაბეჭდილებების, მოგონებების სახით კვლავ გამოქვეყნდა „ჩვენ და ბასკები“, ხოლო გამომცემლობა „ნაკადულმა“ მკითხველებს შესთავაზა ქართველთა რძლის, ბასკი მანდილოსნის მარტინა მინტეგი ბილბაოს წიგნი „ჩემი ბასკეთი“.

ჩვენ და ბასკები...

აკად. შ. ძიძიგური წერს, რომ X საუკუნის სახელგანთქმულ მწიგნობარს იოანე მთაწმინდელს, გამოჩენილი ქართველი ლიტე

რატორის გიორგი მთაწმინდელის ცნობით (ნაგულისხმებია „იოანეს და ექვთიმეს“ ცხოვრება, რომელიც 1042-44 წლებში დაწერილი გ.მ.), ექსპედიცია მოუწყვია ესპანეთში გასამგზავრებლად, რათა მოენახულებინა ქართველთა ნათესავნი: „ვანიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოვანე, რაითა აღიღოს ძე თვისი და რავდენნიმე მოწაფენი და იელტოდის სპანიალ... რამეთუ ასმიოდა, ვითარძედ ქართველნი არამცირდნი ნათესავნი და ერნი მკვიდრ არიან მუნ. და ამის პირისათვის წარვიდა ვიდრე ავიდოსამდე, რაითა მიერ პოვოს ნავი, კრძოთა სპანიისათა მიმავალი, და წარვიდეს მუნ...“

დოცენტი (შემდგომში პროფესორი) რ. სირაძე შენიშნავს, რომ „მართალია წარუმატებელი, მაგრამ ესაა ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი ცდა ძველ საქართველოში ესპანეთის იბერებთან დაკავშირებისა“.\*

მე-17 საუკუნის ფრანგი მოგზაური შარდენი საქართველოში ყოფნისას ნადიმზე მიუწვევიათ მეფესთან. „გამომშვიდობებისას, - წერს შარდენი, - მან მკითხა, როგორ ბრძანდებო ჩემი ნათესავი, ესპანეთის მეფე, და ძვირფასი ქვებით მორთული თასით შესვა მისი სადღეგრძელო. მან მოისურვა კაპუცინებსა და მეც ამ მდიდრულ სასმისით შეგვესვა ეს სადღეგრძელო“.\*\* თავის მხრივ ჟან შარდენი დასძენს, ევროპაში ეს ამბავი მეც ხშირად მსმენიაო. „...დიდხანს ვიფიქრე იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა ყოფილიყო მთავარი ესპანეთის მეფის ნათესავი და მივხვდი, რომ ეს მრავალი ავტორის აზრს ეთანხმებოდა. ესპანელები წარმოშობით იბერიელები არიან“\*\*\*

XVIII საუკუნის თვალსაჩინო მოღვაწე და მწერალი ტ. გაბაშვილი სამოგზაურო ჟანრის თხზულებაში „მიმოსლვა“ წერს:

\* რ. სირაძე, „ესპანეთის ქართველთა“ უძველესი მოხსენიება ქართულ მწერლობაში და მისი მნიშვნელობა (რამდენიმე შენიშვნა)“ ჟურნალი „მნათობი, №3 1971 წ.

\*\* ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ. 1975 წ. გვ. 349.

\*\*\* იქვე.

„...კვითხველი ევგენიოს. ხოლო იგი განგვიმარტებდა, ვითარმედ არის ძველთა წერილთა შინა მდებარედ, ვითარმედ ქართველნი მოსრულან შპანიად და დამკვიდრებულან, და უწოდეს მეფესა შპანიისასა ქართველი; და კვალად შპანიელნი წარსრულან საქართველოთა შინა და მუნ დამკვიდრებულან, ამისთვის ქართველთა და შპანიელთა ურთიერთარს სახელი ენაცვლებიან“.\*

აკად. ნ. მარმა სამეცნიერო მივლინებით კარგა ხანი დაჰყო საფრანგეთის ბასკებში და 1927 წელს კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის V ტომში გამოაქვეყნა ცნობილი ნაშრომი „Из Пиренейской Гурьи“: „განმაცვიფრა საქართველოსთან მსგავსებამ: ყველაფერი მაგონებდა საქართველოს, კერძოდ, გურიას. საჭმლის კეთება ჩვენებურად იცან,\*\* მიხვრა-მოხვრა ქართველისებურია,\*\*\* სიმღერებიც ქართულ მოტივებს შეიცავენ, ამბობს ნ. მარი.

ბასკეთში გვხვდება კაფე-რესტორნები წარწერით „გურია“, რაც ქართველის ყურადღებას იქცევს. თუმცა ამ სახელწოდებას არაფერი აქვს საერთო ჩვენს გურიასთან. („გურია“ ბასკურად ნიშნავს: „ჩვენთან“, „ჩვენებური“).

პროფ. ირ. მიქელაძე მოგვითხრობს, რომ ბაიონის (საფრანგე-

---

\* ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, 1956 წ., გვ. 55.

\*\* პროფ. ი. ტაბალუა, რომელიც იყო საფრანგეთის ბასკეთში, თავის ერთ-ერთ სტატიაში წერს, რომ ბასკების სახლებში ფართო კერიაა, რომელიც ქართულს მოგვაგონებს. ცეცხლის თავზე ქვაბი ჩამოკიდებულია გრძელ ჯაჭვზე. ბასკურად მას ეწოდება „ლაცა“, მეგრულად „ლარჭა“, სვანურად „ნაცა“ (იხ. ი. ტაბალუა, ბასკებთან, „ცისკარი“, 1963, №8).

\*\*\* ბასკონიის ქალაქ სან-სებასტიანში გამართულ მსოფლიო კინოფესტივალის მონაწილემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა (შემდგომ სახალხო არტისტი) სოფიკო ჭიაურელმა თქვა, რომ ფესტივალის დღეებში აკვირდებოდა ბასკებს და „საერთოდ, ძალიან დიდი მსგავსება დაინახე გარეგნობაში, საქციელში, ტემპერამენტში. ისინიც ჩვენსავით გულლია, მოსიყვარულე, გულთბილი, სტუმართმოყვარე ხალხია“ (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 19.08.72 წ.).

თის ბასკები) „ეთნოგრაფიულ მუზეუმში ცოტა რამ საერთო როდი იგრძნობა გურიისა და აჭარის სოფლის ყოფასთან: დაახლოებით იგივე აკვანი, შუაცეცხლი, ურემი, სამთო მარხილი, საოჯახო დანიშნულების მრავალი საგანი და სხვა მოწყობილობა... ბასკების ცეკვამ ძალიან მოგვაგონა ჩვენებური, განსაკუთრებით ხორუმი“ (გაზ. „თბილისი“, 19.02.73 წ.).

მარტინა მინტეგი ბილბაო წიგნში „ჩემი ბასკეთი“ მიუთითებს, რომ სადილოს ბასკი უღვინოდ არ მიირთმევეს, სახარჯოდ თხელი ღვინო აქვს, გურულ იზაბელას ჩამოგავს. კერძებში ბევრი პილი და მწვანილი იცინო.

უნებლიეთ მომაგონდა ადგილი „ჩემი ბასკეთიდან“:

„შვიდკაცას გახსენებამ და ღვინომ სიმღერის ხასიათზე დააყენა ინიაკი, სილვესტრე და ხოსე. სამხმიანი ბასკური სიმღერა წამოიწყეს. ბევრი რამ ნაცნობი მომესმა მათ სიმღერებში. განსაკუთრებით ერთი მათგანი ძალიან ჰგავდა გურულ სიმღერას:

*„სამნი ძმანი გურულები  
მუშაობდნენ ყანასა...“*

ვფიქრობთ, ძალზე საგულისმხზოა ბასკი ხალხის საამაყო შვილის დოლორეს იბარურის განცხადება ერთ-ერთ საუბარში:

ზოგჯერ ვფიქრობ, თუ როგორ შეხვდებოდნენ ბასკეთში და, საერთოდ, ესპანეთში ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს. იცით, რა წარმატება ექნებოდა მას?

საოცრად საინტერესო ექსპერიმენტი ჩაუტარებია ა. კიკნაძეს.

„ცალკე ფურცლებზე ამოვწერე ძველი წიგნებიდან აღებული ბასკების დახასიათება, - წერს იგი, - ამონაწერები მოგვითხრობდნენ ბასკების ზნე-ჩვეულებებს, ღვინის დაყენების დიდ უნარს, მისი დაღვევის არანაკლებ ხელოვნებას, ბასკების სუფრის რიტუალს.

შემდეგ ეს ამონაწერები წავეუკითხე საქართველოში ცნობილ სამ ადამიანს - ისტორიკოსს, მწერალსა და ჟურნალისტს, ოღონდ არ მითქვამს, რომ ლაპარაკია ბასკებზე. სამივე დარწმუნებული იყო, რომ ეს ქართველების დახასიათებაა, და გაოცდნენ, ასეთი აღწერილობა ადრე რატომ არ გვქმნიდა“.



ჟურნალისტი ა. კიკნაძე თავის ზემოხსენებულ სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს ბურთის კულტზე ბასკონიაში და იქვე მოჰყავს ნაწყვეტი ნიკო მარის ნაშრომიდან:

„ბურთი“ ეს წმინდა საგანია; ბურთის თამაში კულტის გადმონამთია, როგორც უნდა იყოს თამაშის ტექნიკა, იქნება ეს მოთამაშის წინაშე საგანგებოდ აღმართული მაღალი კედელი, როგორც ბასკებს აქვთ. ან მებრძოლები ერთმანეთს ეჯიბრებიან ბურთის ბოლომდე გატანაში. ამასთან, მიღწევას აკვირვებინებენ გამარჯვების ყიყინით „LELO“, რაც საკუთრივ, ღვთაების სახელი უნდა იყოს, გაკვადნიერდები და ვიტყვი, სწორედ იმ ღვთაებისა, რომელმაც თავის სახელი ლელო დაგვიტოვა ბასკური ეპოსის ერთ-ერთ შემონახულ ფრაგმენტში: ეს ფრაგმენტი რომის იმპერატორ ოქტავიანესთან ბრძოლის შესახებ იწყება სწორედ ამ ოთხბაგეპოვანი ლექსით „ლელო! ილ ლელო!“ და ა.შ. ...ყოველივე ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს, როცა ლაპარაკია ისეთ ქვეყანაზე - ბასკონიაზე, სადაც ბურთით თამაში „ღვთაებრივი თამაში“ უკვდავ კულტად არის გადაქცეული და ოდესღაც თვით ბასკების ბურთის თამაში იყო“.

ბურთის თამაში ბასკეთში ღღესაც ძალზე პოპულარულია. ამის დასტურია, თუნდაც ის ფაქტი, რომ ესპანეთის ნაკრებში გამუღმებით გამოდიან ბასკი ფეხბურთელები. მსოფლიო ჩემპიონატების დასაწყისშივე, მეორე ჩემპიონატში 1934 წელს (პირველში ესპანეთი არ მონაწილეობდა) ესპანეთის ნაკრებში ექვსი ბასკი შედიოდა: ლუის რეგეირო, ლანგარა, გოროსტიცა, სილაურენი, მუგურერსა და ირარაგორი.

ხუთი ბასკი შედიოდა ესპანეთის ნაკრებში მე-12 ჩემპიონატზე, 1982 წელს: ალონსო, ზამორა, სატრუსტეგი, უფარტე და ურაღლე. სხვათა შორის, ამავე ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების ძირითად მეკარედ ითვლებოდა კასტენადა, ეროვნებით ბასკი.

სხვადასხვა დროს ესპანეთის ნაკრების კარს იცავდნენ ბასკი მეკარეები ზოსე ირიბარი, ლუის არკონადა, ანდონი სუბისარეტა.

1902 წლიდან 1994 წლამდე 90-ჯერ გათამაშდა ესპანეთის

საფეხბურთო თასი, აქედან 31-ჯერ თასის მფლობელი ბასკეთის ერთ-ერთი კლუბი ყოფილა, პირველივე თასის მფლობელი ბასკური კლუბი ბილბაოს „თისკია“ გამხდარა.

ბასკეთის უძლიერესი ფეხბურთელთა გუნდი ბილბაოს „ატლეტიკი“ ესპანეთის მრავალგზის ჩემპიონია, განსაკუთრებული წარმატებისათვის გუნდს 1930 და 1931 წლებში მიუღწევია, როცა ღებლი მოუპოვებია - ჩემპიონიც გამხდარა და თასსაც დაუფლებია.

ბასკური ფეხბურთის ისტორიაში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1937-39 წლებში ბასკეთის ნაკრებ ფეხბურთელთა გუნდის მიერ ევროპაში, საბჭოთა კავშირში, კუბასა და მექსიკაში გამართული დიდი და წარმატებული საფეხბურთო ტურნე.

დაბოლოს, 2008 წელს ესპანეთის ფეხბურთელთა ნაკრები ბასკი ლუის არაგონესის ხელმძღვანელობით, ამჯერად მეორედ, დაუფულა ევროპის ჩემპიონის ტიტულს.

რაკი სიტყვა ბასკურ ფეხბურთზეა, მოგაგონებთ ერთ საკმაოდ უცნაურ, მაგრამ უდავოდ საინტერესო დეტალს ინგლისელი ჟურნალისტის ნორმან კატლერის წერილიდან: ბილბაოს „ატლეტიკში“, ბასკონიის ამ უძლიერესი გუნდის შემადგენლობაში, 1915 წლიდან დღემდე თურმე არ უთამაშია ფეხბურთელს, რომელიც საკუთრივ ბასკეთში (ბისკაიას, გიპუსკოას, ალავას პროვინციები) არ დაბადებულა (ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლი“, №37, 1973 წ.). ასე რომ, „ატლეტიკი“ წმინდა ეროვნული გუნდია.

პოპულარულია ხალხური თამაშობა ქვების აწევაც. ჩვენთან, საქართველოში, საფალავნო ანუ საჯილდაო ქვის აწევაში შეჯიბრის შესახებ ცნობები ძველთაგანვე მოგვეპოვება (შ. გოგატიშვილი). ახალი ცნობები გამოქვეყნებული აქვთ მწერლებს ზ. შერაზადაშვილსა და გ. შატბერაშვილს, ჟურნალისტ გ. ბარჯაძეს. საჯილდაო ქვის აწევა გავრცელებული ყოფილა სვანეთში, რაჭასა და სხვა კუთხეებში.

„ჩვენი და ბასკების“ პრობლემის გაშუქებისას აზრთა სხვადასხვაობაა სადაურობის, ურთიერთმიმართების საკითხშიც. ეს სხვადასხვაობა თავიდანვე დაჰყოლია ამ პრობლემას, რაც ნათლად ჩანს მეორე საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის აპიანეს დასკვნა-

შიაც: „იბერებს, რომლებიც აზიაში არიან, ზოგი მიიჩნევს ევროპელი იბერების წინაპრებად, ზოგი მოახალშენებად, სხვები კი მხოლოდ თანამოსახლეებად“.

სოკრატე წერდა:

„ევექსინის პონტოსთან (შავ ზღვასთან) მცხოვრები ეს იბერიელები გამოსული არიან იმ იბერიელთაგან, რომლებიც ესპანეთში იმყოფებიან“.

პირველ საუკუნეში მცხოვრები ვარონი ფიქრობდა, თითქოს პირინეელი იბერიელები საქართველოდან არიან გადასახლებული დასავლეთში. ამავე აზრის ყოფილა ბიზანტიელი მწერალი მაქსიმე აღმსარებელიც.

XVI საუკუნის გერმანელი დიპლომატიური მოღვაწე ს. შვაიგერი (1551-1622 წ.) ფიქრობდა, რომ ქართველები ესპანეთიდან გადასახლდნენ საქართველოში. 1608 წელს ნიურნბერგში გამოქვეყნებულ წიგნში „ახალი ჩანაწერები მოგზაურობისა გერმანიიდან კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმამდე“ შვაიგერი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ქართველთა სახელწოდება ესპანეთის მდინარე იბეროდან (ებროდან) წარმოდგებაო; რომ ქართველები ოდითგანვე ამ მდინარის ნაპირას ბინადრობდნენ, ზოლო შემდგომ, როცა გამრავლდნენ, საქართველოში გადასახლდნენ.\*

ამასთან ერთად, შვაიგერი არც სხვათა მოსაზრებას უვლის გვერდს იმის შესახებ, რომ თითქოს ესპანელებიც იბერიელებისაგან არიან წარმოშობილი (გაზ. „თბილისი“, 3.04.73, შ. რევიშვილი).

ფრანგი ა. ბოდრიშონი წიგნში „ბასკების ისტორია“, რომელიც 100 წლის წინათ გამოუციათ პარიზში, ასკენის, რომ იბერიელები

---

\* ისეთი ვერსიაც გამოჩნდა, მარტო საქართველოში კი არა, თითქოსდა, ბრიტანეთის კუნძულებზედაც წასულიყვნენ ესპანეთის იბერიიდან.

ინგლისელი ისტორიკოსი ა. მორტონი თავის კაპიტალურ ნაშრომში „ინგლისის ისტორია“ (1948 წ. ლონდონი) ახსენებს იბერიელებს, როგორც დიდი ბრიტანეთის კუნძულების პირველ მცხოვრებლებს და აღნიშნავს, რომ ისინი მოვიდნენ ესპანეთის იბერიიდან ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე (ლ. ბაზტრიონელი ინგლისური ივერიადა გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1975 წ.).

პირინეის ნახევარკუნძულზე მოვიდნენ კავკასიის იბერიიდან საქართველოდან და თავიანთ ქვეყანას იმ ქვეყნის სახელი დაარქვეს (იბერია), საიდანაც მოვიდნენო.

ნიკო მარის პიპოთეზის მიხედვით იბერიელები (ბასკების წინაპრები) საქართველოდან არიან წასული. მათი მიგრაცია დასავლეთით ნავარაუდევია ორი გზით: ერთი ზღვაზე სამხრეთით, მცირე აზიისა და ხმელთაშუა ზღვის კუნძულების მიმართულებით, მეორე ჩრდილოეთით მატერიკზე, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებზე და ევროპის სამხრეთით.

შ. ძიძიგური ხაზგასმით მიუთითებს, „საბჭოთა ქართველოლოგია აღიარებს, რომ ბასკები ქართველების მონათესავე ხალხია, ხოლო ბასკური ენა მიეკუთვნება იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახს (აკად. არნ. ჩიქობავა). ეს თვალსაზრისი შესულია როგორც საქართველოს ისტორიის, ისე ენათმეცნიერების სახელმძღვანელოებში“.

ფონეტიკური შეპირისპირებებისა და სინტაქსური შეხვედრების გარდა, დღემდე დადასტურებული ყოფილა ბასკურ-ქართულის ორმოცამდე მორფოლოგიური შეხვედრა და სამასამდე ლექსიკური მსგავსება.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე 1974 წელს გამოქვეყნდა პედაგოგ ლ. თავდუმაძის მიერ ინგლისურიდან თარგმნილი ბასკური ზღაპარი „ერუ“ 1879 წელს ლონდონში გამოცემულ წიგნიდან „ბასკური ლეგენდები“. პუბლიკაციის ავტორი ლოცენტი შემდგომში პროფესორი გ. ჭელიძე კომენტარებში შენიშნავდა, რომ „ამ ზღაპარში ქართველი მკითხველისათვის ბევრი რამაა ნაცნობი: უსაქმური პერსონაჟის სახლიდან გადგება, მოჯამაგირედ დადგომა, უკმაყოფილების გამოთქმისას დასჯა, ავსულებთან გაჯიბრება, სანაძლეო მოხერხებულობა... გვაქვს ამ ზღაპრის მეორე ვარიანტიც, სადაც გადმოცემულია ვაყის შვიდავთან გველეშაპთან ბრძოლის სურათი, მეფის ასულის დახსნა“.

1966 წლის შემოდგომაზე, პირველად თბილისის უნივერსიტეტში (და საერთოდ, ჩვენი ქვეყნის უნივერსიტეტებში) ჩატარდა

ლექციების ციკლი ბასკებისა და ბასკური ენის შესახებ.

ლექციებს კითხულობდა გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი, ბასკოლოგ-ქართველოლოგი (იმ დროისათვის ამ ორივე დარგის ერთადერთი სპეციალისტი), ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი რენე ლაფონი.\*

ამ ღირსშესანიშნავ ფაქტთან დაკავშირებით, აკად. არნ. ჩიქობავა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე წერდა:

„ბასკური ენა თითქმის ორი ათასი წლის\*\* განმავლობაში მოქცეულია ინდო-ევროპულ ენათა გარემოცვაში ესპანეთსა და საფრანგეთში, მაგრამ იგი მკვეთრად განსხვავდება ინდოევროპულ ენათაგან არსებითი მომენტების მიხედვით: სიტყვის სახელის, განსაკუთრებით კი ზმნის აგებულების და შესაბამისად წინადადე-

---

\* გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1972 წ. 28 ივლისის ნომერში დაისტამბა ი. ტაბაღუას მიმოხილვითი ზასიათის წერილი, რომელშიც ნათქვამია: - „პარიზში გამოვიდა სამეცნიერო ჟურნალი „ბელი ქართლისა, რევიუ დე ქართველოლოგი“-ს მორიგი ნომერი. ამ ნომერში გაერთიანებულია ორი ტომი - XXIX და XXX ტომები (რედაქტორი პროფ. კ. საღია, გამომცემელი ნინო საღია, მდივანი - გ. გოგოლაშვილი). რენე ლაფონი სტატიაში „ბასკური და კავკასიური ენების შედარებისათვის“ იძლევა კავკასიურ ენებთან ბასკურის კავშირის მეტად საინტერესო მაგალითებს. რენე ლაფონის ეს მესამე სტატია ამ საკითხზე.“

რენე ლაფონი 75 წლის ასაკში გარდაიცვალა 1974 წლის თებერვალში.

\*\* ბასკური ენის დღევანდელ სახელმძღვანელოზე ესპანურად აწერია თურმე: „ვისწავლოთ ბასკური, მსოფლიოში ყველაზე უძველესი ენა“.

\*\*\* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა იტალიიდან 1972 წლის დასაწყისში მიიღო ოთხტომიანი წიგნი - „აღმოსავლური ცივილიზაცია“ (რედაქტორი ჯუზეპე ტურჩი).

საქართველოს შესახებ ჯოზეფ სმითის სტატიაში ნათქვამია, რომ შესაძლებელია ბასკურიც ენათესაებოდეს ქართულს. დასაშვებია ბასკები ეთნიკურადაც „კავკასიური“ წარმომავლობის იყვნენ. თუ გაეინხნებო, რომ რომაელები საქართველოსაც და ესპანეთსაც იბერიას ეძახდნენ, საფიქრებელია, ეს საერთო წარმოშობას მიუთითებდეს (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 14.04.72 წ.).

ბის სტრუქტურის მიხედვით.

და აი, სწორედ ამ მომენტების მიხედვითაა, რომ შეინიშნება გასაოცარი დამთხვევები იბერიულ-კავკასიურ ენებთან“\*\*\*

მარტინა მინტეგი ბილბაო წიგნში „ჩემი ბასკეთი“ მიუთითებს, რომ თანდებული ბასკურში, როგორც ქართულში, სიტყვის ბოლო-საა; რომ მახვილი ბასკურში არ იგრძნობა და გრამატიკული სქესიც არ არსებობსო. მას იქვე მოჰყავს ნაცნობი სიტყვები ბასკურ-ესპანური ლექსიკონიდან, „თითქოს ქართულ წიგნს ვკითხულობდეთ“.

ბილბაოს ფუნქციური გადაწყვეტებს თავს. „ჩემი ბასკეთის“ ავტორი წერს: „როდესაც ბურუსიან ამინდში ატლანტის ოკეანიდან დაძრული ღრუბლები თავზე ტყვიასავით დააწვებიან ხოლმე, არჩანდა\* ნამდვილად არ ჩანს“.

ბილბაოს ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმრო-რესტორანს იბერია ჰქვიაო, წერს მარტინა მინტეგი ბილბაო.

„ბასკები გარეგნობით ძალიან ჰგვანან ქართველებს, - განაგრძობს იგი, - მეც საქართველოში ქართველ ქალში ვერ მარჩვენ. ბასკი ფიცხი და მოუსვენარია“.

გამოჩენილი ქართველი მედიკოს-მეცნიერის პროფ. ნიკოლოზ მახვილაძის ცხოვრების ერთი საინტერესო ეპიზოდი გაუზიარა მკითხველთ რამდენიმე წლის წინ მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფ. ა. გზირიშვილმა.

პროფ. ნ. მახვილაძე 1928 წელს მივლინებული იყო ესპანეთში, ტროპიკულ სნეულებათა შესასწავლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

„სასადილოში შევედი და ცალკე მაგიდას მივუჯექი... ჩემ წინ ოთხი შავკერძიანი ვაჟკაცი იჯდა. შევამჩნიე, ჩემზე ლაპარაკობდნენ და მიყურებდნენ. ერთმა მათგანმა მოიბოდიშა, გვერდით მომიჯდა და დამიწყო საუბარი ესპანურად. მე გერმანულად ვუპა-

---

\* არჩანდა ფუნქციური.

სუხე. ჩემდა სასიხარულოდ მან ეს ენა იცოდა.

ორი-სამი სიტყვის შემდეგ მოხოვა მათ მაგიდაზე ამხანაგებთან ერთად მესადილა... ჩვენსავით რიგრიგად სვამდნენ სადღეგრძელოს. ისინი მასწავლებლები იყვნენ და მითხრეს, ჩვენი უფროსი წინაპარი იბერიელი ხართო“.

1970 წლის 8 აგვისტოს შარანტის დეპარტამენტის ქალაქ კონფოლანში საზეიმოდ გაიხსნა ფოლკლორის მე-13 საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიაც მსოფლიოს 17 ქვეყნის მხატვრული კოლექტივი მონაწილეობდა. მათ შორის რუსთავის თვითმოქმედი ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „სალხინო“.

ფესტივალზე „სალხინოს“ გამოსვლას წინ უძღოდა მოგზაურობა საფრანგეთის მთელ რიგ დეპარტამენტებში. „სალხინო“ საფრანგეთის ბასკეთშიაც გამოვიდა, სადაც მცხოვრებლებმა უაღრესად გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ქართველ მსახიობებს.

საფრანგეთში გატარებულ დღეთა შთაბეჭდილებებზე საუბარში ანსამბლის მხატვრულმა ხელმძღვანელმა რ. მორჩილაძემ თქვა:

„ისინი არა მხოლოდ გარეგნულად ჰგვანან ქართველებს, არამედ ზოგიერთს გვარიც კი ჩვენეუბრი აქვს, მაგალითად, მეუნარგია, ლორია...“

რამდენი ხანია თვალყურს ვადევნებ ქართულ-ბასკური ურთიერთობის მასალებს, მაგრამ ყოფით დასტურს ვერა და ვერ წავაწყდი იმისას, რომ ცხოვრებაში გამოჩნდეს ის, რასაც ბასკი მეცნიერი, დოქტორი მანუელ დე არანევი ამბობს, - „მრავალი ქართული გვარი ზუსტი ასლია ბასკურისა“. და აი, რამდენიმე წლის წინ, იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის „ა“ სერიაში, სარდინიის მთავარ ქალაქ კალიარის ამავე სახელწოდების გუნდის შემადგენლობაში „აღმოვაჩინე“ ცენტრალური მცველი 29 წლის სიმონე ლორია, მაღალი, ტანადი ფეხბურთელი, რომელიც ზოგიერთ მატჩში უმაღლეს შეფასებასაც იღებდა.

2005 წელს ლორია აღარ ჩანდა, მაგრამ მომდევნო 2006 წელს იტალიის ელექტროტექნიკური მრეწველობის ერთ-ერთი ცენტრის ქალაქ ბერგამოს „ატალანტის“ შემადგენლობაში ჩვეულ



სურ. №53  
სიმონე ლორია (№15) „კიევისთან“ მატჩში

ამპლუაში კვლავ გამოჩნდა. ერთ-ერთ შეხვედრაში („კიევისთან“) ულამაზესი გოლი გაიტანა, რითაც გუნდი დამარცხებას გადაარჩინა.

ლორია 2008 წელს იტალიის ფეხბურთის წამყვანი კობორტის გუნდში რომის „რომაშია“

რამდენიმე წლის წინათ გაზეთი „თბილისის“ ფურცლებზე თავის ესპანურ შთაბეჭდილებებზე მკითხველებს ესაუბრა მწერალი როდამ ჩაჩანიძე. გიბრალტარიდან, სიერა-კარბონერას მთებს იქით, „კლდეთა უბეში შეყუჟული სოფელი ლენტეხი“, აქვე გვერდით აღ-იბერია, ნავსადგურში ესპანელი შეხვედრია, გვარად... ბოკერია. ჩვენთან ნარსიებიც არიანო, „ჩემი გვარიც საკმაოდ გაყრცელე-ბულიაო, უთქვამს ესპანელ ბოკერიას.

ადრე უკვე მოხსენებულ საუბარში სოფიკო ჭიაურელს განუცხადებია, რომ სან-სებასტიანის მახლობლად გზაზე უნახავს მდინარე ალგეთი და სოფელი ალგეთი. საოცარი გრძნობა დამეუფ-ლაო, დაუმატებია მსახიობ ქალს.



გამოჩენილი პედიატრის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ირაკლი ფალავას რჩევით აი, რა ცნობა ამოვიკითხე პრაქტიკული ექიმებისა და მეცნიერ-მუშაკათათვის განკუთვნილ ნ. სოკოლოვის წიგნში „Наследственные болезни человека“ \*

ჩვენს დროში გამოკვლეულია ყოველი ერის ადამიანთა სისხლი და რომ ამ მხრივ სურათი ერთობ ჭრელია, რადგან სხვადასხვა ხალხსა და დედამიწის სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში სისხლის ჯგუფები სხვადასხვაგვარად არის განაწილებული. და აქ საინტერესო ის არის, რომ ბასკებსა და დასავლეთ საქართველოში სისხლის ერთგვაროვანი ჯგუფების არსებობაზე მსჯელობა ავტორს ერთ აბზაცში აქვს მოქცეული. „У басков - древнейшего коренного населения Пиринсеев - отмечается исключительно высокая частота группы крови O. Очень низкое распространение группы крови B и высокое группы крови O обнаруживается в Западной Грузии“.\*\* წერილში „სიტყვა ბასკებზე“ ა. კიკნაძე მოგვითხრობს გენეტიკის დარგში ცნობილი რუსი სელექციონერის აკადემიკოსის ნ. ვავილოვის დაკვირვებებზე.

მცენარეთა კულტურების მსოფლიო კერების ძიებაში მეცნიერს სამოცი ქვეყანა შემოუვლია და ჩრდილოეთ ესპანეთში უპოვია პურის ისეთი სახეობა, რაც მხოლოდ საქართველოში იყო ცნობილი და სხვაგან არსად.

ასევე მისი ყურადღება მიუქცევია პატარა ჯობებს, რომელთაც თათთაების გადასატანად იყენებდნენ, მოსავლის მოწვევის ასეთი ხერხი კი შემდეგ დასავლეთ საქართველოში დაბა ლეჩხუმში უნახავს.

---

\* изд. "Медицина", Москва, 1965 г.

\*\* იქვე, გვ. 99.

„ამრიგად, - წერს მეცნიერი აგრონომიულად და ბოტანიკურად მოხერხდა განსაკვიფრებელი კავშირის დადგენა ჩრდილოეთ ესპანეთსა და საქართველოს შორის“

სხვადასხვა მონაცემის გაანალიზების შედეგად აკადემიკოსი ვავილოვი დაასკვნის, რომ „...ჩრდილოეთ ესპანეთის ხალხები გენეტიკურად შეკავშირებულან ერთიან ოჯახში... თანამედროვე კავკასიის ხალხებთან“

დაბოლოს, ჟურნალისტი რ. ერისთავი 1998 წელს გამოცემულ წიგნში „მზის შვილები“ წერს: თანამედროვე საფრანგეთს არ სურს გაიხსენოს ის, რომ საფრანგეთის დიდი იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტე კორსიკელი ბასკი იყო.

ჩვენ და ბასკები...

ეს ძოკლე საუბარი გვსურს დავასრულოთ აკად. შ. ძიძიგურის სიტყვებით: „ათასი წლის წინანდელი იმ ქართველი მოღვაწის ოცნებას, რომელიც „ილტვოდა სპანიად, რამეთუ ასძიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკვიდრ არიან“, რათა შეესწავლა მათი თავგადასავალი, რეალური ხორც-



ს.წ. №54

1. „გურია“
2. ქალი თავსაფრით და ჯორკოთი
3. ბასკური ეროვნული ცეკვა „რკალი“
4. სოფლის პეიზაჟი

**ԱՆՅ ԲՅՈՒ  
ՉԳՈՏԵՆՆԵՐՈՒ  
ԵՏԵՆԵՐԵՐ**



## რანდა ვისნავლოთ ინგილოებისა და ფერეიდნელისგან

*„ჩვენი მოძრევი ვერ იჭაჭანებს,  
თუკი ერთმანეთს გადაუურჩებით“*

რამდენი რამ დაწერილა და თქმულა ქართველი ერის მიერ თავისი არსებობის მანძილზე გადატანილი ჭირ-ვარამის თაობაზე. ქართველი კაცის თავზე წისქვილის დოლაბი არ დატრიალებულა, თორემ სხვა არაფერი დაგვკლებია. ბევრი კარგი და სამაგალითო ტრადიცია დაგვიკარგავს, ბევრიც შეგვიღაზნავს.

ყოველი ჩვენგანი ხედავს, სადამდე მივდივით. ასე გაგრძელებაც მხოლოდ ვაი-ვიშის მომტანი როდია, თვით ერს ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე აყენებს.

ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს ძმებს ინგილოებსა (იგივე ჰერებს) და ფერეიდნელებს შემოუნახავთ ყოველი კარგი, რაც ქართველს თან სდევდა. ამ კარგის მიბაძვა არ გვაწყენდა, მეტიც, გათავისება, შესისხლხორცება მოგვიხდებოდა კიდევც.

ყოფით ჩვევათაგან ერთს აღვნიშნავ მხოლოდ.

ჩვენი საზოგადოების საგრძნობი ნაწილი შეკრებულობაში (ზოგჯერ სუფრასთანაც კი) ცხვირს მოურიდებლად ხმაურით იწმენდს, მაშინ როცა იქ, ფერეიდანში ამას ჩუმად, უხმაუროდ აკეთებენ. ამიტომაც ის, რასაც ჩვენ ცხვირსაზოცს ვეძახით, იქ ცხვირსაწურის სახელით არის ცნობილი.

საინგილოს მკვიდრი, ექიმი და ჟურნალისტი მიხეილ ყულოშვილი წერდა, საინგილოში დღესაც ასეა: უფროსები ახალგაზრდების თანდასწრებით უწმაწურ სიტყვებს არ ხმარობენ.

პროფ. არჩილ ჯანაშვილი ერთგან წერს: ინგილოებს ქორ-  
წილში, თუნდაც სხვა სახის წვეულებაში, მიუხედავად იმისა, ბევრ  
ღვინოს სვამენ (იგულისხმება ქრისტიანი ინგილოები) არასოდეს  
ატეხილა შეხლა-შემოხლა, არ მომხდარა ჩხუბი. სუფრის ხელმ-  
ძღვანელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სუფრაზე წარმო-  
შობილ კონფლიქტური სიტუაციების ჩაცხრობას, ხოლო ოჯახის  
ახლობელთა წრიდან სპეციალურად გამოყოფილი პირები ცდი-  
ლობენ მთვრალი მამაკაცების სახლებამდე მიცილებას.

ტელევიზიიდან თუ სცენიდან ადრე (თუ გნებავთ, საბჭოთა  
წლებში) ბილწსიტყვაობას ვინ გაიგებდა. ახლა? საგანგებოდ ნა-  
ქებ, რეკლამირებულ სერიალებში თუ გამორჩეულ გადაცემებში,  
ბილწსიტყვაობის, უწმაწური ანეკდოტების, უხამსობის კორიანტე-  
ლი, ბული დგას. პრესაში? ბოლო წლებში გადაღებულ კინოფილ-  
მებში? თითქოსდა სავალდებულოდ მიიჩნევა უხამსობის დემონ-  
სტრაცია, სარცხვენელი ორგანოების ხმამაღლა ხსენება. ერთი  
სიტყვით, რას არ გაიგონებს ადამიანის ყური. ქვეყანა ბილწსიტყ-  
ვაობის სასპარეზოდ არის გადაქცეული. და ყოველივე ამის  
შემდეგ ფუჭტ გასროლად მიგვაჩნია შეგონება ახალგაზრდობის  
ეთიკური სახის ჩამოყალიბების თაობაზე.

ბევრი რამ შემოუნახავთ საქართველოდან სპარსეთში სისხ-  
ლისმსმელ შაჰ-აბასის მიერ 400 წლის წინათ იძულებით გარე-  
კილ ქართველებს, რომლებიც ფერეიდნელების სახით წარმოგვიდ-  
გნენ.

ფერეიდნელებს შორის გინება საერთოდ, მით უმეტეს დედისა,  
არ არსებობს. ისინი დედის სახელს წმინდანთან ათანაბრებენ. ამი-  
ტომ იყო, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც  
ჩვენთან მათი ჩამოსახლების საკითხი დაისვა, დოცენტმა გიორგი  
ჩანგაშვილმა რესპუბლიკის ზემდგომ ორგანოებში წარადგინა  
წინადადება ჩამოესახლებინათ ისინი თელავ-ახმეტის რაიონში,  
სადაც გინება არ იცინაო.

ფერეიდანში ყველაზე სალანძღავი სიტყვა „ყროლი“ ყოფილა  
(შდრ. გერონტი ქიქოძეს „ერეკლე მეორეში“ (1958 წ.) მოჰყავს

დავით გურამიშვილიდან: „სუნით მოიცავს მთა-ბარი ჩვენის მკვდრის მძორთა ყროლამა“; ნინო ბასილია „ქარავანს მოწყვეტილში“ წერს: „მაღე დედამიწა ყროლას დაიწყებს იმდენად მატულობს გახრწნილ სულთა რიცხვი მის ზედაპირზე“).

როგორც ქართველი მეცნიერები შენიშნავენ ჩვენი წინაპრების სამეტყველო ლექსიკური ფონდი მეტად ღარიბი (ნეტამც, ასე იყოს დღესაც!) ყოფილა ურთიერთსალანძლავი და საგინებელი სიტყვებით. ამიტომაც წერს მკვლევარი და პოეტი ნოდარ ბართაია:

*ფერეიდანში კი არ ჩაკვლი,  
მე ჩემს წარსულში ვიმოგზაურე.*

ყველაზე არსებით წეს-ჩვეულებად ის მიგვაჩნია, რომ ოთხი საუკუნეა ფერეიდანში ქართველს ქართველი არ მოუკლავს. არ წაურთმევეია ყველაზე დიდი, რაც ბუნებამ თუ უფალმა მას მიანიჭეს სიცოცხლე.

ჩვენთან?

უნებლიედ მაგონდება პოეტ გურამ კლდიაშვილის ერთი შემახილი ლექსიდან: „ცოტა ნიჭიც რომ მოგეცა ერთმანეთის გატანის“. ხოლო ახალგაზრდა ქეთი გერსამიამ „ქართლის ცხოვრებაზე“ მინაწერ ლექსში „ურჩები“, იგივე აზრი ასე გამოხატა:

*არადა, მაინც, რად ვართ ურჩები?!  
რანაირი ვართ მაინც გურჯები...  
ჩვენი მოძრევი ვერ იჭაჭანებს,  
თუკი ერთმანეთს გადაეურჩებით.*

რაც შეეხება ფერეიდანში დამკვიდრებულ ერთმანეთის გატანის წეს-ჩვეულებას, თუ ჩვენს თავზე დარისხებულ უმაღლეს ცოდვას, იმავე ნომადი ბართაიამ ასე ასახა:

*ფერეიდანში არ ახსოვთ  
ქართველს მოეკლას ქართველი  
რანი ყყოფილვარ, რანი ვართ,  
არის ყოველი ნათელი.*

„საქართველოს რესპუბლიკა“,  
2007 წლის ოქტომბერი

# დროულად მიხედოთ დემოგრაფიას, სანამ არ გავნახევრებულვართ!

შესაძლოა, დიდი მორალური უფლება არც მქონდეს ამ საკითხზე მსჯელობისა ქალ-ვაჟის პატრონს, მაგრამ ჯერ ერთი, ჩემდროს (რვა ათეულს გადაკახვივ!) ესეც კმაროდა დემოგრაფიული სტატუს-კვოს შენარჩუნებისათვის, მეორეც და, რაც უმთავრესია, ქართველი ვარ და ყოველი ქართული სატკივარი ჩემი სატკივარიცაა, ხოლო იმაზე დიდი სატკივარი რა უნდა იყოს, როცა ერთი გადაშენების საფრთხის წინაშეა!

ზოგ-ზოგებს თუ არ ეწყინებათ, კომუნისტების ღოზუნგს კიდევ ერთხელ შევახსენებდი „ძრავალი შვილი საქართველოს უკვდავება!“ ლოზუნგი კი მოგვწონს, მაგრამ რაკი საკითხი საბჭოურ პერიოდს ეხება, აუცილებლად უნდა ეუკებინოთ (აბა, როგორ?!): „მართალია, ლოზუნგების ქვეყანაში სიტყვა ხშირად სიტყვადევრჩებოდა!“ არადა, კარგად წერდა ერთი ჟურნალისტი თქვენს გაზეთში. „რაც საბჭოთა ხანაში წარმოქმნილია, განა ყველაფერი გასაკიცხი და დასაგმობია?“

ვინმეს ტენდენციურობა რომ არ დაეწამებინა, აკადემიკოს პ. გუგუშვილის წიგნი „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“ გადაფურცლე, საბჭოთა წლების აქტიურ დემოგრაფიულ პოლიტიკას მივაღიქი: მრავალშვილიანებს ორგვარი დასძარება ეძლეოდათო ერთდროული და ყოველთვიური. ერთდროული ეძლეოდათ შვილის დაბადებისას, ყოველთვიური - შვილის დაბადების მეორე წლიდანვე ყოველი ბავშვისათვის (5 წლის ასაკამდე). მრავალშვილიანობისათვის ყოველთვიური დასძარება ეძლეოდა მეოთხე შვილის დაბადებიდან. 1944 წლიდან (ე.ი. დიდი სამამულო ომის წლებიდანვე) დაწესებული იყო „კმირი დედის“ საპატიო წოდება სათანადო მატერიალური უზრუნველყოფით.

დღეათა უსაფრთხოებას გადავხედოთ.

1990 წლამდე (ე.ი. საბჭოთა წლებში) მშობიარობის 99,9 პროცენტი საშობიარო სასლებში (უფასოდ!) ხდებოდა.



დღევანდელმა ხელისუფლებამ გააუქმა უფასო მშობიარობა იმ დროს, როცა დედათა სიკვდილიანობა ჩვენთან 2,6 ჯერ აჭარბებს ყველაზე მაღალ ევროპულ მაჩვენებელს. ამას ხაზი იმიტომ გავუსვით, რომ სიკვდილიანობის მიზეზთა სტრუქტურაში ძირითადი ადგილი ბინაზე მშობიარობას (ეს რა, კარგი ცხოვრებით არის გამოწვეული?) უჭირავს.

რა მდგომარეობაა ჩვენსავით მცირერიცხოვან „კეთილ და ერთგულ მეზობლებთან?“

როგორი დემოგრაფიული სურათია თვით სომხეთში, ჩემთვის უცნობია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება ქვეყანა, სომხები რომ არ სახლობდნენ!

გურიაში ერთი სომეხი მეზობელი მყავს, უბრალო კაცია, საგზაო მუშა, სამი შვილი ჰყავს ორი ვაჟი და ერთი ქალი. ორივე ბიჭს ასევე სამ-სამი შვილი ჰყავთ. ერთ-ერთ მათგანს ვკითხე, ეს კანონზომიერება საიდან-მეთქი, ტრადიცია არისო, მიპასუხა. სწორედ ამ ტრადიციის გამოა, ჩემი აზრით (მეტწილად), რომ სომხობა მიმოფანტულია მთელს სამყაროში (ბ. არველაძე და თ. მიბჩუანი „ბაგრატიანის სახელობის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნოწმენდა აფხაზეთში“, გვ. 11), ზოგან საკმაოდ ძლიერი (ფინანსურად) დიასპორით. ასევეა აფხაზეთშიც, სადაც აფსუებს აჭარბებდნენ 90-იანი წლების ტრაგიკული მოვლენების დროს დაუნდობლობა-სისასტიკით ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობის - ქართველების მიმართ. ამასთან, აღსავსენი ბოლმით (რატომ?) და დაუოკებელი სურვილით ვერდიქტსაც კი იძლეოდნენ: „ქართველები არ უნდა გამრავლდნენ“ (ბ. არველაძის და თ. მიბჩუანის ზემოთ მითითებული უნიკალური წიგნი, გვ. 19, 20).

ჩვენც, ქართველობა დემოგრაფიულ პროცესებში მტკიცედ ავეყვით სომეხთა ამ საზარელ მოწოდებას და თუ კი ჩვენთან შესაძებ და მეოთხე ბავშვზე, ძირითადად, აზერბაიჯანელი და სომეხი დედები მშობიარობენ (“დროების“ ა.წ. 22 ივლისის სიუჟეტი) ჩვენ, როგორც წესი, ვკმაყოფილდებით ერთი (ლამის არის, აღვასრულოთ აწ განსვენებული სომეხი მღვდელმთავრის ვაზგე-

ნის უკვე დიდი ხნის წინათ ნათქვამი, „ქართველებს რომ შეეძლოთ, ნახევარ ბავშვს გააკეთებენო“, (კიტა ბუაჩიძე „ვილუპებით“... გაზეთი „ლიტ. საქართველო“, 30.05.97), მაქსიმუმ ორი შვილით („ვითომ შვილი“).

მერედა ვისი ვერდიქტია „ქართველები არ უნდა გამრავლდნენო“, რა, ხალხი გამოთქვამს ამ მომაკვდინებელ ვერდიქტს?

დავესესხები პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის დავით მაისურაძის ჟურნალ „კვალის“ 2006 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას „იუდას მორალი ანუ სომხური საქმე საქართველოში“. კერძოდ, სტატიის ავტორს მოჰყავს ცნობილი ფრანგი მოგზაურის გრაფი დე შოლეს სიტყვები: „მიუხედავად დიდი თანაგრძნობისა, რომელსაც ბადებს სომხების სიღარიბე და ტანჯვა-ვაება, მე ვერასოდეს მოვახერხე მათთან დაახლოება, რადგან ვერ შევეგუე მათ ზიზლისმომგვრელ ცხოვრებას, სულმდაბლობას და გულისამრევ სიმუხთლეს“. და იქვე ძველი რომაელი მწერლისა და ისტორიკოსის ტაციტუსის სიტყვები (53-ე პარაგრაფი), რომელიც სომხების შესახებ წერს: „ეს არის დასაბამიდან ორსახოვანი ხალხი, როგორც ხასიათით, ასევე გეოგრაფიული მდგომარეობით!“

(გამონაკლისები, ალბათ, ყველა ხალხშია).

აი, რა ხალხი მრავლდება და „ქართველები არ უნდა გამრავლდნენო!“

გასაგები უნდა იყოს, ვის ვერდიქტს მივლევთ, ჩვენ, ქართველობა და ისიც გასაგები უნდა იყოს სანამდღე მიგვიყვანს ყოველივე ეს!

დღეს, როცა ჩვენი ქვეყნის აბორიგენი ქართული მოსახლეობა დემოგრაფიული კატასტროფის ზღვარზე დგას, როცა ქართველები ყოველწლიურად თითო პროცენტით ვმცირდებით, როცა ჩინელებს აოცებს ჩვენი ხალხის სიმცირე და ისიც რატომ ქართველთა ოჯახებში არ იზრდება 3-4 შვილი, ამ პირობებში, როცა კანონი ამას არ კრძალავს, გადაუღებელ საჭიროებად მიმჩნია, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ აღადგინოს უფასო მშობიარობა, დაუყოვნებლივ აღადგინოს შვილებზე მატერიალური დახ-

მარებები, შემოიღოს „გმირი ღელის“ საპატიო წოდება შვილი შვილის ყოლის თაობაზე პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევის გათვალისწინებით, როგორც წერს „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჟურნალისტი ნათელა ფაილოძე. სახელმწიფომ პრიორიტეტულად აქციოს საქართველოში მესამე ბავშვის გაჩენა და მიმართოს მოსახლეობას სათანადო მოწოდებით, რადგან ნათქვამია სამი შვილი დასტურ შვილი!

„ქართული გენოფონდი უნდა გადარჩეს!“

„საქართველოს რესპუბლიკა“,  
2007 წლის სექტემბერი

## ლიბერალურის სიყვარული რაა, ახლა სპორტს არ იაიითხავთ?

კალამი ხელში ამაღებინა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულმა წერილმა „ლიტერატურა ძალიან ძალიან ნაყვარება მინისტრსო“.

ლიტერატურა რაა, სპორტი როგორ ნაყვარება გაბაშვილს?

შესაძლოა, კიდევ ამ ე.წ. მოღვაწეზე დაწერა არც იყოს საჭირო და აუცილებელი, მაგრამ სპორტის სიყვარულს რა უუყო, ბავშვობიდან რომ მომდევს!

ჰოდა, გთხოვთ, მომცეთ საშუალება, დავიცალო სათქმელისგან!

ცხოვრების საკმაოდ გრძელი გზა მაქვს განვლილი, მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, მინისტრი კაცი იმ სახელს დაირქმევდა ბავშვობაში, ეზოში თუ ოჯახში რომ ეძახდნენ: გოკა. პასპორტში ზომ ღირსეული სახელი აქვს დაფიქსირებული.

ეს ისე, სხვათა შორის.

ახლა საქმეზე.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა სპორტის სიყვარულის დემონსტრირება იმით დაიწყო, რომ ფეხბურთის

ფედერაციაში არნახული ფარსი დაატრიალა: პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა, ფარული კენჭისყრა მოეწყო, დიდი უპირატესობით ვეტერანმა ფეხბურთელმა, საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ გაიმარჯვა, ყოფილმა პრეზიდენტმა ახალკაცმაც მიულოცა გამარჯვება, და მინისტრმა ბრძანა: ეს როგორ? გამარჯვებულ ნემსაძესაც სულ რაღაც ერთ საათში „ნებაყოფლობით“ გადადგომაზე განცხადება დააწერინეს. აუხსნელი მოტივით ყრილობა ისევ მოიწვიეს და...

წყალში ჩაიყარა შეხვედრები რეგიონულ საფეხბურთო ფედერაციებში, წინასაარჩევნო ინტერვიუები, საჯარო გამოსვლები... მინისტრი კი ამყავდ, გაბადრული სახით აცხადებდა: აბა, რა ეგონათ.

მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში, ყველაზე ჩამორჩენილშიც კი, მსგავსი ერთი შემთხვევაც მომაგონონ და მზად ვარ, საქვეყნოდ ბოლიში მოვიხადო.

მანამდე, ისევ ფეხბურთს მიუბრუნდეთ.

ფედერაციაში მომხდარ სამარცხვინო ამბავს არანაკლებ ამაზრზენი ფაქტი მიაყოლეს: თითქმის მოსპობის პირას მიიყვანეს სპორტის ეს სახეობა ისეთი უდიდესი ტრადიციების მქონე ქალაქებში, როგორიცაა ფოთი და ქუთაისი.

უნებლიედ გამახსენდა (მეხსიერებას ჯერ არ ვუჩივი!) ყოფნა-არყოფნის სამამულო ომი. ქვეყანა შუაგულ ომში იყო, როცა კუიბიშევი „კრილია სოვეტოვის“ ფეხბურთელთა გუნდი ჩამოაყალიბეს.

ეს იყო 1943 წელს.

სპორტის აკადემიაზე მოგახსენებდით.

სახელგანთქმული სპორტსმენების აღმზრდელი აკადემია ჩვენი ქვეყნისთვის დიდი ფუფუნებაა... და სხვა ინსტიტუტს მიუერთეს. სპორტის მინისტრის ცოდვა გაატყვევდა, როცა ოლიმპიური ჩემპიონები ზ. ზვიადური და გ. ასანიძე აღმზრდელ აკადემიას დაუპირისპირა, აკადემიისგან ჩვენ არაფერი შეგვიძენიაო, სახალხოდ განაცხადეს (თუ განაცხადებინეს) ჩემპიონებმა (!?)

ისევ სამამულო ომი გავიხსენოთ: კიევში, ქალაქის ნამსხვრევ-ნამტერევეებზე, გაგანია ომის დროს, 1944 წელს დაარსდა ფიზ-კულტურის ინსტიტუტი.

ჩვენთან მშვიდობიან დროს მომალეს?!

კვანტებ-მოგვერდების კორიანტელი დააყენა სპორტის „მოსიყვარულე“ მინისტრმა ოლიმპიურ კომიტეტშიც, სადაც უკადრებელი იკადრა: სახელგანთქმულ ფალავანს, ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ლერი ხაბელოვს უარი უთხრეს პრეზიდენტის ფუნქციის შესრულებაზე, ისიც დროებით - ყრილობის მოწვევამდე.

აფერუმ, შენს ვაჟკაცობას, მინისტრო, უკაცრავად, მინისტროყოფილო: სპორტი როგორ გყვარებია, ხომ ვნახეთ, თურმე ქვეყანაც, ხალხიც როგორ გყვარებია?!

როგორც იქნა, კულტურას, სპორტს მოსცილდა ავზნედ მოვლინებული პიროვნება. მოსცილდა და ნატყვიარი დატოვა თეატრი, კინომრეწველობა, ბიბლიოთეკა, სპორტი...

ეშველება, ნეტავ, რამე ახალი მინისტრის ხელში ყოველივე ამას?

„საქართველოს რესპუბლიკა“,  
2008 წლის მარტი

# გახსენება

იხსნობდეთ: ხალხარის ოზურგათელი მოღვაწენი  
მსახიობი ევტროფი თალაკვაძე და მხატვარი  
ვლადიმერ მალაზონია

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2005 წლის 12 ნომბრის ნომერში რუბრიკით „დავიწყებული სახელები“ გამოქვეყნდა წერილი, რომელიც მოგვითხრობდა გერონტი ქიქოძის მისალოც სიტყვაზე ოზურგეთელ კულტურის მოღვაწეთა იუბილეზე. გ. ქიქოძემ მათ „პროვინციის კულტურტრეგერები“ უწოდა. გაზეთი კითხულობდა, შემიძინა თუ არა თეატრის ისტორიამ, ახსოვს კი ვინმეს პროვინციის ეს ორი მოღვაწე? გულისტკივილით შენიშნავდა, მათი ფოტოებიც ვერ მოვაძიეთო (სურ. №55, №56).



სურ. №55  
ვლადიმერ მალაზონია



სურ. №56  
ევტროფი თალაკვაძე

ოთხმოცი წლის ზღვარი სამი წლის წინ გადავლახე, მაგრამ მეც და ჩემს თაობას (ვინც კი შემორჩა ამ ცოდვილ ქვეყანას) გვახსოვს, როგორ არ გვახსოვს ისინი. ეს თეატრი ხომ ჩემი ახალგაზრდობის თეატრი იყო. თვალწინ მიდგას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ევტროფი თალაკვაძის მიერ პოლიკარპე კაკაბაძის ჩემს დროს უაღრესად პოპულარული პიესა „კოლმეურნის ქორწინება“ სრულყოფილად ხორცშესხმული სახე მანუჩარისა. მასვე მახარაძის (ოზურგეთის) თეატრის სცენაზე განუსახიერებია ყვარყვარე („ყვარყვარე თუთაბერი“), ბეკინა („სამანიშვილის დედინაცვალი“), ხვეისბერი („ხვეისბერი გოჩა“) და მრავალი სხვა. საამაყო შვილებიც დაუზარდა ქვეყანას: კლავდიუსი ყმაწვილკაცობიდან მონაწილეობდა კონცერტებში და ფანდურზე მომხიბვლელად ასრულებდა ხალხურ სიმღერებს. სამწუხაროდ, იგი ახალგაზრდა გარდაიცვალა უკურნებელი სენით. მომდევნო ვაჟმა ჯიბომ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, თბილისის მუსიკისა და დრამის თეატრში თითქმის ნახევარი საუკუნე იმსახურა. უმცროსმა ოთარმაც თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა და წლების მანძილზე რეჟისორად იმოღვაწა ტელევიზიაში. იგი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გახლავთ.

მხატვარმა ლადო (ვლადიმერ) მალაზონიამ თვალსაჩინო როლი შეასრულა ოზურგეთის თეატრის საინტერესო და შინაარსიან ისტორიაში.


1925 წლის 18 ოქტომბერს ოზურგეთლებმა ნახეს სახელმწიფო თეატრის დარბაზში პირველად მოწყობილი ახალგაზრდა მხატვრის ლადო მალაზონიას ნამუშევრების გამოფენა.

მას შემდეგ ლადო მალაზონია განუწყვეტლივ მონაწილეობდა რაიონის კულტურული ცხოვრების ფერხულში.

მანამდე ლადო საქართველოს სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა გრაფიკის ფაკულტეტზე, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ პროფ. ი. შარლემანი, აკად. ე. ლანსერე და სხვა ცნობილი პროფესიონალები, მაგრამ ოჯახური პირობების გამო, 1924 წელს, იგი იძულებული გახდა აკადემიიდან წასულიყო. იმავე წელს მხატვრად დაიწყო

მუშაობა ოზურგეთის თეატრში. თან, პარალელურად, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ტექნიკუმსა და სხვადასხვა სკოლაში, სადაც შესაშური კეთილსინდისიერებით ასწავლიდა ხატვასა და ხაზვას, გატაცებით მუშაობდა თეატრში. თეატრმცოდნე შალვა კვასხვაძის ცნობით, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ლადო მაღაზონიას თეატრში 300-მდე დადგმა გაუფორმებია.

შვილებიც მამის კვალს გაჰყვნენ: ნოდარი ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციაში დიდხანს ნოდარ ღუმბაძის მხარდამხარ მუშაობდა მხატვარ-კარიკატურისტად, არის საქართველოში დღეს დამკვიდრებული ფულის კუპიურების ავტორი. იგი საქართველოს სახალხო მხატვარია. მამიაც საქართველოს სახალხო მხატვარია, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ლევანი ოდნავ „ასცდა“ კურსს: იგი მწერალი და დრამატურგია. (სურ. 57)



სურ. №57



...გაზეთის პუბლიკაციაზე რეაგირება გვარიანად გამიჭიანურდა ფოტოების გამო. სამაგიეროდ, „გადაჭარბებით შევასრულე“ დასახული ამოცანა: თეატრის დასის ფოტოც მოვიპოვე. აქ არიან რესპუბლიკის დაძმახურებული არტისტი სამსონ ხურციძე (ზის პირველ რიგში მეორე), ლადიკო ბაჯელიძე (წამოწოლილია მარცხნიდან მეორე. შეუდარებელი გ. შავეულიძის შემდეგ ხართონის უბადლო შემსრულებელი იყო „კოლმეურნის ქორწინებაში“), რომან ლომინაძე (ლ. ბაჯელიძის გვერდით, შემდგომში საქართველოს სახალხო არტისტი), ლადო მალაზონია (ზის პირველ რიგში მარცხნიდან მეექვსე), ევტროფი თალაკვაძე (დგას მარჯვნიდან მეორე). შემინდონ მათ, ვინც ვერ მოვიხსენიე.

ლადო მალაზონია გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, ხოლო ევტროფი თალაკვაძე 84 წლისა.

„საქართველოს რესპუბლიკა“.  
2007 წლის აგვისტო

# ნა გითხნათ, რით გაგახართ?

## ასაი ნუ შეგაშინებთ!

საკდესის ფოტოქრონიკის მიერ ტირაჟირებული ეს ფოტო 1963 წელს გამოჩნდა პრესაში.

თურქეთის საინფორმაციო სააგენტოს მტკიცებით ეს ქალი-ხატის ნინე მსოფლიოში ყველაზე ხნიერი ადამიანია. 168 წლისა არისო, ცხოვრობს (ახლა. ცხადია. ცხოვრობდა) თურქეთში, სოფ. სარფში, საბჭოთა კავშირის საზღვრის მახლობლად, იტყობინებოდა საკავშირო დეპეშათა სააგენტო.

ვფიქრობ, სადავო არ უნდა იყოს ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ფოტოზე ლაზი ქალია. ჯერ ერთი. ორად გაყოფილ სოფელ სარფში. არც აქეთ (ჩვენს მხარეს) და არც იქეთ (იმათ მხარეს) ლაზების ანუ ქართველური ტომის გარდა, სხვა არაკინ ცხოვრობს. მეორეც ხატის ნინე ქართული უღერადობის სიტყვებია.

ხანშესულთა გარშემო ფრიად საინტერესო ინფორმაციას გვთავაზობს თედო სახოკია ზემოთმოხსენებულ წიგნში „მოგზაურობანი“ შესანიშნავი გახლავთ გურიის სოფელ აკეთის მოსუცებულთა სიმრავლეო, წერს იგი და დასძენს. ასი წლის კაცის ნახვა აქ იშვიათობა არ არისო. „ჩემს იქ ყოფნის დროს ჯერ კიდევ სული ედგა ამ ასწლოვანთა



სურ. №58  
ხატის ნინე

რაზმის ძამძთავარს. აკეთელ მათუსალას,\* 147 წლის მოხუცს ან უკეთ მეორედ გაახალგაზრდავებულ გლეხს სიმონიკა ღლონტს. თონი უკანასკნელ სანამდე ხელიდან არ გაუვლია და სულ მხარში ედგა თავის მოხუც შვილებსა და შვილიშვილებს. 110 წლის ასაკში მეორე ცოლი შეურთავს და იმისგან შვილი დარჩენია 29 წლისა. ერთხელ გამხდარა ავად და გადაყოლია კიდეც. მის დაკრძალვას მარტო მისი შთამომავალი დასწრება ასი სული ქალი და კაცი, უფროსი ვაჟი ოქროპირი 100 წელს ყოფილა მიტანებული. სიმონიკას შვილები დარჩენია 10, შვილიშვილი – 38, შვილთაშვილები – 43, იმათი შვილები 9“

მივევით თემას.

დღემდე ვერ შეთანხმებულან ხანდაზმულობის კრიტერიუმებზე. სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად აღიქვამდნენ მოხუცებულობას ანუ სიბერეს ანუ ხანდაზმულობას. ზოგი ხატოვნად წარმოსახავდა მას, როგორც მაგალითად, ჩვენი სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე:

*ისე დაბერდი, კვლარ ენახე ტბეთი, მატბერდი...*

*ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული...*

*როდის მოუვა მათ გაზაფხული?*

ამას წერდა პოეტი ორმოცდაექვსი წლისი ასაკში!

ან სახალხო მთქმელის ივანე წიკლაურის „ჭეშმარიტი პოეზიის ნიმუში“ „რამ დამბერა“:

*ჩემ დაბერება, ქალაუ,*

*წელმა ენა სამოციისამა.*

თ. სახოკია იმავე წიგნში, როცა მოგვითხრობს ეტლით მგზავრობაზე ნატანებიდან ოზურგეთისკენ, წერს: „წინ გვევცა ერთი თავით ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარი, თეთრწვერა, ასე 60 წლის მოხუცი“ ეს იყო მე-19 საუკუნის ბოლოს.

მსოფლიოს გამოჩენილი მოჭადრაკე დიდოსტატი სალო ფლორი წერდა, რომ ლასკერს უნდა მოეგო ღრმადმოხუცი სტიენიციისთვის, რომელიც ამ დროს 57 წლისა იყო.

---

\* ბიბლიური პატრიარქი, რომელმაც, თითქოს, ყველაზე დიდხანს (969 წელი) იცოცხლა.

როცა თავად ლასკერმა ოსტრავამორავესკას საერთაშორისო ტურნირში პირველი პრიზი აიღო, გაზეთები წერდნენ, როგორ, ამ მოხუცს კიდევ შესწევს გამარჯვების უნარი?

როგორ ფიქრობთ, რა ასაკისა იყო მაშინ ლასკერი? მხოლოდ 55-ის. ხოლო 60 წლის ასაკში გამოაქვეყნა ორი ფილოსოფიური ნაშრომი, რის შემდეგ შეუდგა უძველესი იაპონური თამაშის გოს შესწავლას და ისე ღრმად დაეუფლა, რომ მიმოწერით წარმატებით ეჯიბრებოდა იაპონელ ოსტატებს.

მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების ცნობილი ქართველი მოჭადრაკის ხარლამში სირბილადის მიმართ პრესაში დაიწერა: მან, 58 წლის მოხუცმა, ბრწყინვალედ ითამაშა სენსი 25 კაცის წინააღმდეგ.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ვიცი ქართველები, რომლებიც სამოცს მიღწეულები ყოველდღიურად სპორტულ დარბაზში ვერ ვარჯიშობენ, ხოლო შემდეგ ორკარა ფეხბურთს თამაშობენ მათზე ბევრად ახალგაზრდების წინააღმდეგ.

აფთიაქის მფლობელ ზემელის შესახებ გაზეთი „ტრიბუნა“ 1922 წელს წერდა: სასიამოვნო სანახავი იყო, როდესაც 60 წელს გადაცილებული მოხუცი ახალგაზრდული სიმკვირცხლით დაცუნცულობდა თავის უზარმაზარ აფთიაქში.

ჩარლზ დიკენსი თავის „დავით კოპერფილდში“ ორჯერ უკავშირებს მოხუცებულობას 60 წელს:

მალალი და წყნარი მოხუცი, დაახლოებით სამოცი წლისა...

ძნელი წარმოსადგენი იყო სამოცი წლის მოხუცისაგან...

კიდევ ერთი კურიოზული ცნობა სამოციანელებზე ლევან სანიკიძის „დედაისტორიიდან“:

1714 წლის აპრილში სულხან-საბა ვერსალის სასახლეში შეხვდა საფრანგეთის დიდ ხელმწიფეს ლუი XVI-ს.

ერთ მტერს ავადმყოფობას გადაეურჩი, - უთქვამს მეფეს, მაგრამ მეორე მტერი სიბერე დამესხა თავსო.

სიბერე რას დაგაკლებსო, - უთქვამს საბას.

ასე იოლი არ გახლავთ 60 წელს გადაბიჯებაო (მაშინ მეფე 70-ისა იყო).

პატიმრობაში მყოფი ცნობილი საბჭოთა რეჟისორი და მსახიობი ვსევოლოდ მეიერჰოლდი საბჭოთა მთავრობის მეთაურს ვ. მოლოტოვს განცხადებაში წერდა: გამოძიებელმა ჩემზე, 65 წლის ავადმყოფ მოხუცზე, ძალადობის გამოყენება დაიწყო.

ერთხელ, 1937 წელს, მსოფლიოს ექსჩემპიონმა ჭადრაკში ზემოთმოხსენებულმა ემანუილ ლასკერმა უთხრა ცოლს:

ძვირფასო, უკვე ძალიან მოხუცები ვართ, მალე 70 წელი შეგისრულდება. როგორი საჩუქარი გიძლენა?

ამას ამბობდა 69 წლის ლასკერი, რომელმაც წინა წელს ნოტინგემის (ინგლისი) ძლიერ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში, რომელშიც იმ დროის თითქმის ყველა წამყვანი მოჭადრაკე (ალიოხინი, კაპაბლანკა, ბოტვინიკი, ფაინი, ფლორი, რეშევსკი და სხვ.) მეშვიდე-მერვე ადგილები გაინაწილა ს. ფლორთან ერთად და გაასწრო ბოგოლიუბოვს, ვიდმარს, ტარტაკოვერს.

როგორ მივუსადაგოთ ყოველივე ეს ზემოთ ნათქვამი ორ ცხოვრებისეულ ფაქტს, როცა ამერიკაში 86 წლის (!) მძღოლმა ავარია მოახდინა, ხოლო 92 წლის ფრანგმა მონაწილეობა მიიღო შეჯიბრებაში კიბის 1565 საფეხურის დაძლევაში და ფინიშთან მივიდა.

საკითხავია, ისინიც მისათვლელნი არიან? რაღაც ეშლებათ, ან დედამიწამ მოუჩქარა მზის გარშემო ბრუნვას, რის შედეგადაც წლები აშკარად სწრაფად გარბის?!

და ბოლოს, აი, რას ამბობს ნობელის პრემიის ლაურეატი, კოლუმბიელი მწერალი გაბრიელ გარსია მარკესი წიგნში „ჩემი მოწყვნილი მეძაეების განხსენებისას“, როგორც თვითონ წერს, 80 წლის ასაკში (!):

“ასაკი ის კი არ არის, რამდენი წლისა ხარ, არამედ ის, ამ წლებს როგორ გრძნობ“.

ჭეშმარიტად!!!

„საქართველოს რესპუბლიკა“,  
2008 წლის მაისი

# საბრძოლო - ფეხბურთი, ჭადრაკი...

## ბაშთურაქი - ხიდუვ ერთი „ჩვენებური“ გერმანულ ფეხბურთში

რამდენიმე დღის წინათ დიდი ინტერესით წავიკითხე შუშანა ფუტკარაძის ფუნდამენტური ნაშრომი „ჩვენებურების ქართული“, რომელშიც არაერთხელ არის ნახსენები ბაშთურაქების გვარი. ბურსის ვილაიეთის ქართველების ქალაქ ინეგოლასა და მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ბაშთურაქებს, თურმე, კარგად ახსოვთ თავიანთი ძირძველი გვარი ვახტანგიძე.

ამ სტრიქონების წაკითხვისას უნებურად გამახსენდა ბუნდესლიგის შარშანდელი ჩემპიონის „შტუტგარტის“ სასტარტო შემადგენლობის წევრი ილდიარაი ბაშთურაქი. მგონი, იგი გერმანიაშია დაბადებული. მაგრამ მშობლები წარმოშობით თურქეთიდან არიან. მაშ, ისინიც ვახტანგიძეები ყოფილან?!..

საიდან წარმოიშვა გვარი ბაშთურაქი?

ამასთან დაკავშირებით, ჩემი მოკრძალებული ვერსია მინდა შემოგთავაზოთ: კლარჯეთის მდინარე ჭოროხის მრავალ შენაკადს შორისაა მურღულის წყალი, რომელსაც ბაშქოის ღელე ერთვის. იგი სოფელ ბაშქოში ჩამოედინება. ბაშთურაქების გვარის საწყისი, სავარაუდოდ, ამ სოფლის დასახელებაში უნდა ვეძიოთ.

მთავარი მაინც ის არის, რომ ბაშთურაქები ძირძველი ქართული წარმოშობის ვახტანგიძეები ყოფილან.

„საქართველოს რესპუბლიკა“,  
2008 წლის მარტი

## სადაურია და ვისი „ჯილავისა“ აშაური?

იტალიის ჩემპიონატი.

კუნძულ სიცილიის გუნდ „პალერმოში“ გამოჩნდა ბრაზილიელი ბასკი (ჩემი აზრით), გვარად აშაური. წარმატებული ფორვარდი, რომლითაც სახელგანთქმული „მილანია“ დაინტერესებული. მე-13 ტურის შემდეგ აშაური ჩემპიონატის ბომბარდირთა ამაღლა-შია.

რის საფუძველზე ვასკვნიტ აშაურის ბასკობას?

ბასკი მეცნიერის დოქტორ მანუელ დე არანეგის მოწმობით „მრავალი ქართული გვარი ზუსტი ასლია ბასკურისა“. მისივე მოსაზრებით ბასკებში არის მრავალრიცხოვანი გვარები, რომელთა დაბოლოებაა „ური“: ხუბულური, ინაური, ოჩიაური, წიკლაური და სხვა.

აშაურიც ამათ „ჯილავს“ მიეკუთვნება. თვით ბრაზილია სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს შორის მეორე ადგილზეა ბასკი მოსახლეობის რიცხვით (არგენტინის შემდეგ) 30 ათასი კაცი.

*P.S. 2008 წლის საფეხბურთო სეზონში აშაური ტურიინის „იუვენტუსშია“*

„საქართველოს რესპუბლიკა“,  
2006 წლის დეკემბერი

## ქართული ჯადრახი განსაცდელშია

თხუთმეტი-ოცი წლის წინათ ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთ დღეში ვიხილავდი ქართულ ჯადრაკს. ვერ წარმოვიდგენდი იმიტომ, რომ იგი ამას არ იმსახურებს, თუნდაც იმიტომ, რომ საქარ-

თველო საჭადრაკო კულტურის უძველესი ისტორიის ქვეყანაა; რომ ჩვენთან გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ ღარად ჭადრაკიც სამზითოთ განძი გახლდათ; ქართველი მოჭადრაკე ანდრია დადიანი ევროპამ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში გაიცნო...

ისტორიული ექსკურსი, ალბათ, შორს წაგვიყვანს და ამიტომაც, დღევანდელ სატკივარზე მოგახსენებთ.

ნოსტალგიად ნუ ჩამითვლით, მაგრამ საბჭოთა პერიოდში რეგულარულად ეწყობოდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირები, მემორიალები, გუნდური შეხვედრები, კონკურსები საჭადრაკო კომპოზიციამი. ხშირად ტარდებოდა საკავშირო თუ მსოფლიო მასშტაბის საჭადრაკო ღონისძიებები. „ქართული ჭადრაკის მატჩანეში“, ცნობილი საჭადრაკო ჟურნალისტი თენგიზ გიორგაძე წერს: „საქართველოში ჭადრაკის პოპულარობას მუდამ უწყობდა ხელს საჭადრაკო ლიტერატურის გამოცემა, ჟურნალ-გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიის ყურადღება, სპეციალური საჭადრაკო ბიულეტენების ბეჭდვა-გავრცელება“. დღეს კი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან საერთოდ გაქრა ჭადრაკი. ერთადერთი გამონაკლისია ჟურნალი „თბილისელები“, რომლის ყოველ ნომერში ქვეყნდება შ. სუხიტაშვილის ორსვლიანი საჭადრაკო ამოცანები. გაზეთებში „ლელოსა“ და „საქართველოს რესპუბლიკაში“ ორკვირიანი პერიოდულობით გამოიცემოდა საჭადრაკო ჩანართი, „მერანი“ და „ლაზიერი“. სამწუხაროდ, ეს ტრადიცია მივიწყებულია. გაზეთებში ვერ ნახავთ საჭადრაკო პარტიას ან დაბოლოებას, საჭადრაკო კომპოზიციის ნიმუშებს. სწორედ აქედან იწყება ჭადრაკის პოპულარიზაცია, ხოლო მოჭადრაკეთათვის სტიმულირება. აბა, გავიხსენოთ ბოლო წლებში დანერგილი ტრადიცია: მატჩზე ფეხბურთელები ბავშვებთან ხელიხელჩაკიდებულნი გამოდიან. წვრილმანია? სრულიადაც არა სპორტში წვრილმანი არ არსებობს, ყველაფერს თავისი ფუნქცია აქვს.

რამდენი ხანია, საქართველოში არ ჩატარებულა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, მემორიალური შეჯიბრება ან გუნდური



მატჩები. ჭადრაკის სასახლის დარბაზი ივსება არა ჭადრაკის მოყვარულებით, არამედ პოლიტიკურ პარტიათა ღონისძიებებზე შეკრებილი აქტივისტებით. და ეს ხდება საქართველოში, რომლის შეილები 29 წლის განმავლობაში იხსნენ საჭადრაკო სამყაროს სადღეოდოლო ტახტზე (ნონა გაფრინდაშვილი 16 წელი, მაია ჩიბურდანიძე 13 წელი).

დაიკარგა ქვეყნის ჩემპიონატებში უცხოელთა მოწვევის სანაქებო ტრადიცია. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეს პრაქტიკა დაინერგა 1939 წელს, როცა საქართველოს პირველობაზე ლენინგრადელი ა. ილინ-ჟენეკსკი მონაწილეობდა. მომდევნო წლებში საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის წევრი ბაქოელი ვ. მაკაგონოვი, ლიტველი ვ. მიკენასი, ერევნელი პ. კასპარიანი, მოსკოველი ე. ზაგორიანსკი, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ესტონელი პ. კერესი, რიგელი მ. ტალი და სხვები. ყოველივე ეს ხომ ჩვენი მოჭადრაკეების დაოსტატებას უწყობდა ხელს და ქომაგებსაც იზიდავდა.

ჭადრაკის ფედერაციის მესვეურები, ალბათ, გვეტყვიან, სახელმწიფო ფინანსურად არ გვეხმარებაო. ამ საქმეში დიდი ჩახედული არ გახლავართ, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ ბიზნესმენების რიცხვი განუზომლად იზრდება ქვეყანაში და სწორედ მათთან მუშაობა და ურთიერთობაა საჭირო.

საგრძნობლად შემცირდა ქართულ ენაზე გამოცემული საჭადრაკო ლიტერატურა. ჩვენდა სამარცხვინოდ, ვერ მოგვარდა ელემენტარული რამ: ჭადრაკის სასახლეში გამოიყოს ოთახი თუ არა, კუთხე მაინც, სადაც გაიყიდება საჭადრაკო ლიტერატურა.

ჭადრაკისადმი უგულისყურო დამოკიდებულებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ვერც ერთ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებაში თვალსაჩინო შედეგებს ვერ ვაღწევთ როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის. 2008 წლის 10 იანვრისთვის მსოფლიოს ოცეულში კაცებს შორის არც ერთი, ხოლო ქალთა შორის მხოლოდ ერთი (მაია ჩიბურდანიძე მე-13 ადგილზე) წარმომადგენელი გვყავდა. ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი ვაჟთა

შორის ბ. ჯობავას აქვს, რომელიც 74-ეა. ეს მაშინ, როცა ჩვენს მეზობელთაგან აზერბაიჯანს ვაუთა წარმომადგენელთაგან ორი (მე-6 და მე-12 ადგილებზე), სომხეთს ერთი (მე-10), ხოლო ქალებში სომხეთს ერთი (მე-15 ადგილზე), რომ არაფერი ვთქვათ რუსეთსა და უკრაინაზე.

იენისის მიწურულს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა გაიმართება. იმედია, ახლადარჩეული ხელმძღვანელობა დღევანდელ საჭადრაკო მეურნეობას რადიკალურად შეცვლის.

„საქართველოს რესპუბლიკა“,  
2008 წლის მაისი

## ქართული ფეხბურთის ერთი ღირსეული დღე

ამას წინათ, სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილი იყო 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე უკრაინის ნაკრებთან საქართველოს ნაკრების მატჩისაკენ. როგორც ფეხბურთის მოყვარულებს ახსოვთ, იგი ფრედ 1:1 დამთავრდა.

მაშინ პრესა აღნიშნავდა, რომ ამ გუნდების ურთიერთშეხვედრათა ანგარიშები უკრაინის მხარის დიდ უპირატესობაზე მიუთითებდა: რვა შეხვედრიდან (ბოლონდელის ჩათვლით) სამი ფრე და ხუთი გამარჯვება.

გულის მოსაოხებლად, არ შემძლია მკითხველს არ შეეახსენო ქართული ფეხბურთის ერთი ღირსეული დღე. მხედველობაში მაქვს 1956 წლის 12 აგვისტო საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ნახევარფინალური მატჩი სწორედ ჩვენს დღევანდელ დაუძლეველ მეტოქესთან უკრაინის ნაკრებთან.

მაშინ უკრაინის ნაკრები დაკომპლექტებული იყო კიევის

„დინამოს“ და სტალინოს „მასტიორის“ გუნდების ბაზაზე, ხოლო საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდა თბილისის „დინამო“.

საქართველომ მატჩის დასაწყისიდანვე შეუტია. მარჯვენა გარემარბი ბორის ხასაია გაიჭრა ფლანგზე, ბურთი ჩააწოდა წინ წამოწეულ ნახევარმცველს ალექსანდრე კოტრიკაძეს, მან ზუსტად გადასცა იგი ზაურ კალოევს, რომელმაც გახსნა ანგარიში.

უკრაინელებმა ხუთ წუთში ანგარიში გაათანაბრეს: იური ვი-ნოვმა შორიდან დაარტყა კარში და ვლადიმერ მარლანიამ, რომელსაც თავისივე ფეხბურთელები ეფარებოდნენ, დროზე ვერ შენიშნა ბურთის ტრაექტორია.

ათი წუთი დასჭირდა საქართველოს ნაკრებს წინ გასასვლელად - პარტნიორების შესანიშნავი კომბინაცია ისევ ზაურ კალოევმა გოლით დააგვირგვინა.

საქართველოს ნაკრებში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ნიაზ ძიაპშიპა, ალექსანდრე კოტრიკაძე, ბორის ხასაია, ავთანდილ ჭკუასელი, ზაურ კალოევი.

მატჩის დამთავრებამდე მცირე დრო იყო დარჩენილი, როცა წინ გაჭრილმა კონსტანტინე გაგნიძემ ბურთი ავთანდილ ჭკუასელს მიაწოდა, რომელმაც უკრაინელთა მეკარე მოატყუა და შესამედ შეარხია მეტოქის კარის ბაჯე.

ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა და ფინალში მხოლოდ დამაბული ბრძოლის შემდეგ დამარცხდა მოსკოვის ნაკრებთან 1:2.

ნახევარფინალურ მატჩში გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ:

უკრაინის ნაკრები: მაკაროვი, ეროზინი, გოლუბევი, პოპოვიჩი; ვოინოვი, დუმანსკი; გრამატიკოპულო, ტერენტიევი, კანევსკი, კომანი, ფომინი (კორშუნოვი).

საქართველოს ნაკრები: მარლანია, ელოშვილი, ძიაპშიპა, ზოჭოლავა; კოტრიკაძე, ლოღობერიძე; ხასაია, გაგნიძე, ზაზროევი, კალოევი, ჭკუასელი.

საინტერესოა აღინიშნოს რომ სპარტაკიადის მსვლელობაში

სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულეს ბ. ხასაიამ, გ. ხოჭოლაყამ და შ. იამანიძემ, ამასთან, ბ. ხასაია საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში 1956 წლის შედეგების მიხედვით შეყვანილი იყო მეორე ნომრად (მარჯვენა გარემარბებში), ხოლო ა. ლოლობერიძე და ვ. ელოშვილი მესამე ნომრად.

„საქართველოს რესპუბლიკა“,  
2007 წლის ოქტომბერი

## მე ჩი ასე ვფიქრობ

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ამა წლის მაისის მეცხრამეტე ნომერში გამოქვეყნდა საუბარი ქართული ფეხბურთის, როგორც გაზეთი უწოდებს „კოცხალ მატთანესთან დემიკო ლოლაძესთან, რომელმაც საყურადღებო ფურცლებით შეავსო ქართული ფეხბურთის ისტორია.

გაზეთის ამ ნომერში ბევრ სხვა საინტერესო საკითხთან ერთად ბატონმა დემიკომ დაასახელა თბილისის „დინამოს“ ისტორიაში, მისი აზრით, გამორჩეული ფეხბურთელები.

მეკარეებში უდიდეს მეკარედ დაასახელა ეოვა მარლანია, მერე კი სერგო კოტრიკაძე და ოთარ გაბელია.

მეც დიდი ხანია (1936 წლიდან) მოყვები ქართულ ფეხბურთს და თავს ნებას მივცემ ერთი კორექტივი შევიტანო დემიკოსეულ ვარიანტში. ყველა გულშემატკივარს აქვს, ცხადია, უფლება თავისი შეხედულება გამოთქვას სპორტის ამა თუ იმ სათაყვანო სახეობის ყოველ წამოჭრილ საკითხზე. მეც ამ უფლებით ვისარგებლებ და ხმამაღლა ვიტყვი: ქართულ ფეხბურთში მეკარეებს შორის ლიდერის თუ არა უარეს შემთხვევაში ერთ-ერთი ლიდერის როლში ჩვენთან, დაბა სურამში დაბადებული და გაზრდილი ალექსანდრე (შურა) დოროხოვი წარმომიდგენია. იგი იყო ნოვატორი მეკარე, რომელმაც საბჭოთა მეკარეებში პირველმა დაიწყო თამაში

საჯარიმო მოედანზე, რასაც გასაგები მიზეზით ასაკით მასზე ბევრად უმცროსს ლევ იაშინს მიაწერდნენ. დოროხოვი ხიბლავდა სწრაფი რეაქციით და ბურთის ჩინებული მიღებით. ქართული ფეხბურთის პატრიარქმა ა. ჟორდანიამ გულისტკივილით გამო-



სურ. №59

ა. დოროხოვი თამაშში ბასკეტის ნაკრებთან, 1937 წ.

თქვა, რომ დოროხოვისნაირ მეკარეს იშვიათად ნახავს კაციო.  
(სურ. №59)

არაფერი მაქვს სადავო მ. ხურცილავას და ა. ჩივაძის კანდი-

დატურების მიმართ, მხოლოდ ერთი დამატებით: აქ სამეკლემს, უფიქრობ, უპრიანია შევიყვანოთ ომამდელი თბილისის „დინამოს“ ცენტრალური ნახევარმცველი ბათუმელი 182 სმ სიმაღლის, სახელგანთქმული მოსკოველი მცველის ფ. სელისის მიმსგავსებით „ქართულ სელისად“ წოდებული ბორის ფროლოვი, რომელიც



სურ. №60

ბორის ფროლოვი

ორჯერ იყო დასახელებული მეორე ნომრად საუკეთესო ფეხბურთელების „33“-ში, 1939 და 1941 წლებში. (სურ. №60).

საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატებში თბილისის „დინამო“ არაერთხელ ყოფილა სანემპიონო ზღურბლთან. მაგრამ, სამწუხაროდ, ან არ უძარბებდა და თითონ კარგადა შანსს (როგორც ეს მოხდა 1936 წლის შემოდგომაზე, როცა გადაულებელ თავსხმა წეიმაში თბილისში მოულოდნელი მარცხი იწვნია (ბოლოსწინა მატჩში) საშუალო სიძლიერის ლენინგრადის „კრასნაია ზარიასთან“ 2:3. არადა გამარჯვების შემთხვევაში თითქმის ჩემპიონები ვიყავით), ან გვაკარგვი-

ნებდნენ (როგორც ეს მოხდა. მაგალითად 1953 წელს მოგებული მატჩი გადაგვათამაშებინეს მოსკოვის „ტორპედოსთან“).

და აი, 1964 წლის 18 ნოემბერს ტაშკენტში დაინიშნა გადათამაშება თბილისის „დინამოსა“ (რატომღაც, ახლა მოდაში შემოვიდა გაუგებარ-გაუმართლებელი გამოთქმა „დინამო“ თბილისი) და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის.

ეს მართლაც ისტორიული მატჩია, როცა თბილისის „დინამო“ ბოლოსდაბოლოს გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ამ გამარჯვებაში ყველა ფეხბურთელმა (არას ვაძობ გუნდის უფროს მწვრთნელზე გ. კაჩალინზე) ღირსეული მონაწილეობა მიიღო, მაგრამ განსაკუთრებულია იღია დათუნაშვილის წვლილი. გავიხსენოთ: იმ დროს, როცა თამაშის დამთავრებას 17-18 წუთიღა უკლდა

და „დინამო“ აგებდა მინიმალური ანგარიშით (0:1), მან პირდაპირ კუთხურიდან გაიტანა გოლი და ანგარიში გაათანაბრა. ეს რომ შემოსხვევისი გოლი არ იყო, ჩემი აზრით, იქედანაც ჩანს, რომ ი.



დათუნაშვილს ტაშკენტამდე, სულ მცირე, ორი გოლი ჰქონდა გატანილი კუთხურიდან: ერთი ლანჩხუთის „კოლმეურნეში“ გამოსვლის წლებში, მეორე თბილისში იმავე 1964 წელს ბაქოს „ნეფტიანიკთან“ ტაშკენტის მატჩშიც რამდენჯერმე მოაწოდა კუთხური და ყოველთვის მოსკოველები რის ვაივაგლახით ასერხებდნენ ბურთის მოგერიებას. (სურ. №61).

სურ. №61

ი. დათუნაშვილი (მარჯვნივ)

იმას, რომ დათუნაშვილმა ორი გოლი გაიტანა, მესხმა და მეტრეველმა თითო. ვფიქრობ, სწორედ აქ ვცოდავთ, რადგან, როგორც ფეხბურთის დიდი გულშემატყვივარი და მცოდნე, მწერალი გ. ფანჯიკიძე წერდა „ტაშკენტში დათუნაშვილი ნამდვილი მატჩის გმირი იყო“, ჩვენ კი იმ ისტორიულ მატჩში მხოლოდ გატანილი გოლებით ვიხსენიებთ დათუნაშვილს.

საერთოდ, ისიც უნდა ვთქვა: ამდენი ხანია (წლები არ მაკლია) მსოფლიოს, ევროპის და აფრიკის ჩემპიონატებსა და სხვადასხვა

როცა კი ამ მატჩზეა პრესაში ლაპარაკი, ძირითადად, მოიხსენიებენ

რანგის ტურნირებს ვადევნებ თვალყურს, მაგრამ სახიფათო კუთხურის ჩამომწოდებლები თუ მით უფრო კუთხურიდან გოლე-ბის გამტანი ფეხბურთელები არ მინახავს.

დაბოლოს, კიდევ ერთი: არ შეიძლება უარყოფითი ანგარიში (0:1, 1:2 და ა.შ.) გუნდის სასარგებლოდ იყოს. როცა ვწერთ, მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია მართებული ასე დაწერა.

წერილი დაიწერა გაზეთ  
„საქართველოს რესპუბლიკისთვის“

## 380ნუბ, გვიშველა!

რამდენიმე დღის წინათ გაზეთ „სარბიელში“ გამოქვეყნდა ეროვნული ჩემპიონატის განვლილ ტურებში გამორჩეული 18 ფეხბურთელის სია (დინამოელი გიორგი მერებაშვილის დამატებით), ვინც ექტორ რაულ კუპერმა ეროვნული ნაკრების კანდიდატებად მიიჩნია. რასაც წინამორბედმა მწვრთნელმა კლაუს ტომპიოლერმა წლების განმავლობაში, როგორც იტყვიან, თავი ვერ დაადგა, არგენტინელმა სპეციალისტმა ორიოდე თვეში განახორციელა.

თუმცა კანდიდატთა ნაკრებს (ვიმეორებ, გიორგი მერებაშვილის დამატებით) ნუმერაცია არ აქვს, მაგრამ, ჩემი აზრით, საესებით ლოგიკურია იგი მეორე ნაკრებად მივიჩნიოთ.

ახლა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ნაკრები საქმეში ვნახოთ, რათა შემადგენლობის დახვეწა შეეძლოთ. ალბათ, უპრიანი იქნება საშინაო შეხვედრებით დავიწყოთ, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს უპირველესად და განსაკუთრებით, მეკარეთა დეფიციტი აქვს. ხომ არ მოგვეწყო მინიტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა ეროვნული ჩემპიონატის ლიგების 3-4 ნაკრები გუნდი. ბაზად ავიღოთ კუპერის მიერ შერჩეული მეკარეები გიორგი ლომია, როინ კვასხვაძე, გრი-



გოლ ბედიაშვილი და დავუმატოთ გიორგი ლორია. აქედან ლომია გაგვეთვალისწინებინა იმ ნაკრებში, რომლის კანდიდატები თვით ექტორ რაულ კუპერმა შეარჩია. უმაღლესი ლიგის გუნდებიდან დაგვეკომპლექტებინა ორი ნაკრები, ერთის მექარედ გაგვეთვალისწინებინა კვასხვაძე, მეორისა ბედიაშვილი. რაც შეეხება ლორიას, იგი დაგვეყენებინა პირველი ლიგის ნაკრები გუნდის კარის დარაჯად.

ამრიგად, მინიტურნირში (რიმელიც მოეწყობა ე.წ. ქულობრივი სისტემით ყველა ყველასთან) ერთდროულად გაისინჯებოდა ოთხივე მექარე ნაკრების დონეზე, თან შეირჩეოდა მინდვრის საუკეთესო ფეხბურთელებიც მეორე ნაკრების შემადგენლობის დასახეწად.

ლიგების ნაკრები გუნდები დაკომპლექტდეს შესაბამისი გუნდების მწვრთნელთა რეკომენდაციებისა და ფეხბურთის სხვა სპეციალისტთა წინადადებების გათვალისწინებით. მთელი ეს საშუალო უნდა ჩატარდეს ფეხბურთის ფედერაციის პერსონალური პასუხისმგებლობით, რისთვისაც დღემდე ასეთი საჭირო და ერთობ სასარგებლო ღონისძიების მოსაწყობად ქართული ფეხბურთის შტაბს თავი არ შეუწუხებია.

მინიტურნირისათვის ეროვნული ჩემპიონატის გათამაშებაში, სურვილის შემთხვევაში, ფანჯარა გამოიძებნება. ასეთი მატჩ-ტურნირის პერიოდულად მოწყობა უნდა იქნას გათვალისწინებული, რაც ტრადიციული გახდება და ორმხრივად იქნება სასარგებლო

ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებისათვის იგი სტიმულად გადაიქცევა, მეორე მხრივ დაგვეხმარება პერსპექტიული ფეხბურთელების შერჩევაში როგორც ეროვნული, ასევე ახალგაზრდული ნაკრები გუნდებისთვის.

რაც შეეხება მაყურებელს, არ მგონია ასეთ მინიტურნირს მოაკლდეს.

„საქართველოს რესპუბლიკა“,  
2008 წლის ოქტომბერი

# უცნაური რობერტ (ბობი) ფიშერის არანაღალე უცნაური საჭადრაკო ბრიალა ფორაზე მინიშნებით



გაზეთი „ასავალ-დასავალი“ უკვე იუწყებოდა იმის შესახებ, რომ ისლანდიაში, 64 წლის ასაკში აღესრულა გენიალური ამერიკელი მოჭადრაკე, მსოფლიოს მეთერთმეტე ჩემპიონი ჭადრაკში რობერტ (ბობი) ფიშერი.

მასალა, რომლის შეთავაზებას მკითხველისთვის ვაპირებ, ძირითადად, მზად მქონდა 25 წლის წინათ, იგი ასახავს მსოფლიოს პირველობაზე ჩატარებულ ორთაბრძოლას ბ. სპასკი-

სა და რ. ფიშერს შორის, რომელიც მოეწყო 1972 წელს, ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში. ველოდებოდი საჭადრაკო ასპარეზზე ფიშერის მორიგ გამოსვლას, თუმცა უშედეგოდ: ჭეშმარიტად გენიალური, მაგრამ ასევე ჭეშმარიტად არაორდინალური ბობი ჭადრაკის საერთაშორისო ორგანიზაცია ფიდეს გაუნაწყენდა და პრაქტიკულ მოღვაწეობას განუდგა. განუდგა არა დროებით, არამედ სამუდამოდ, რითაც დიდი ტკივილი მიაყენა ყველას საჭადრაკო სამყაროს, ამ უძველესი თამაშის მილიონობით მოყვარულსა და გულშემატკივარს.

წინამდებარე ტრიადაში მოთხრობილია 1972 წლის მსო-

სურ. №62

რობერტ ფიშერი

ფლიოს პირველობაზე მატჩის სიმ კაზუსზე, მაგრამ სანამ მათზე შევჩერდებოდე გავიხსენოთ ამერიკელი დილოსტატის მანამდელი ახირებები, რომელთა გამო 18 წლის ასაკში უარი განაცხადა აშშ წამყვან მოჭადრაკე ს. რეშევსკისთან 1961 წელს გამართული მატჩის გაგრძელებაზე, როცა ანგარიში იყო 5,5:5,5. ბუნებრივია, მატჩში მას დამარცხება ჩაეთვალა.

ექვსი წლის შემდეგ დემონსტრაციულად მიატოვა ნახევრამდე არმისულ ტუნისის ქალაქ სუსში მიმდინარე 23 კაციანი საზონათშორისო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, თუმცა მან გათამაშებულ ათ ტურში მოასწრო „ემსხვერპლა“ შეიღი მონაწილე, მათ შორის ამერიკის რვაგზის ჩემპიონი ს. რეშევსკი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ლ. შტენი, თავიანთი ქვეყნების წამყვანი მოჭადრაკეები ამერიკელი რ. ბირნი, უნგრელი ლ. ბარცაი და სხვები, ათიდან 8,5 ქულით სათავეში ედგა შეჯიბრებას. ტურნირის მიტოვების მიზეზი? ორგანიზაციულ ხასიათის საკითხებში მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობა ტურნირში მონაწილეობისათვის ფინანსური საზღაური, ტურნირის რეგლამენტი, დამატებითი გამოსასვლელი დღეები, დარბაზის განათება, ტელევიზიასთან ურთიერთობა.

ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ფიშერი მხოლოდ ახირებული იყო. მისი სახით საჭადრაკო სამყარომ ჭეშმარიტად გენიალური მოჭადრაკე დაკარგა (ეს ტრიადის მესამე საფეხურის მე-13 პარტიის მაგალითზედაც კარგად ჩანს!) მოსწრებულად დაახსნიათა იგი მსოფლიო ჩემპიონმა ტ.პეტროსიანმა: „მისი გაკვირვება შეუძლებელია. როგორც კი ხელთ იგდებს მცირე უპირატესობას, იგი იწყებს თამაშს როგორც მანქანა“


მსოფლიო ჩემპიონობაზე მატჩისკენ მიმავალ გზაზე რ. ფიშერმა სასწაულები ჩაიდინა: 3,5 ქულის უპირატესობით გაიმარჯვა კუნძულ მალიორკაზე ჩატარებულ საზონათშორისო საერთაშორისო ტურნირში, გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა პრეტენდენტები მ. ტაიმანოვი და ბ. ლარსენი (ორივენი ანგარიშით 6:0), ფინალურ მატჩში ტ. პეტროსიანი 6,5:2,5. დადგა მთავარი მატჩის რიგი მსოფლიო ჩემპიონთან ბ. სპასკისთან შეხვედრისა.

მატი რეკიავიკში 1972 წლის 2 ივლისს უნდა დაწყებულყო, მაგრამ რ. ფიშერი არა და არ ჩანდა. თურქე მას დიდი პრეტენზია ჰქონდა მატჩის საპრიზო ფონდთან დაკავშირებით, ამიტომაც რეკიავიკში ჩასვლისაგან თავს იკავებდა. მხოლოდ მას შემდეგ რაც ინგლისელმა ბანკირმა სლეიტერმა გაიღო დამატებითი თანხა ფონდისათვის, ფიშერმა წასვლა გადაწყვიტა. ეს მხოლოდ 4 ივლისს მოხდა. ცხადია, ამის გამო იგი ვერ დაესწრო 1 ივლისისათვის დანიშნულ მატჩის საზეიმო გახსნას.

უშუალოდ მატჩი ფიშერმა შვიდი წუთის დაგვიანებით დაიწყო, რადგან პირველივე პარტიაზე დაგვიანებით მივიდა.

ენდშპილის სტატორ, სრულიად საყაიმო პოზიციაში ფიშერი აკეთებს დაუდევარ სვლას კუთი (29...g

## ), - წერს ედმარ მედნიის



თავის არაორდინალურ წიგნში „როგორ ამარჯვებდნენ ბობი ფიშერს“ (დიაგრამა №1)

არა, ეს არ იყო დაუდევრობა, ეს იყო ცინიზმი, გამოხატული ტრიადის პირველი საფეხურით. აბა შესთავაზეთ ეს პოზიცია ნებისმიერ დამწყებ მოჭადრაკეს და დარწმუნდებით, რომ 10-დან ცხრა არ აიყვანს პაიკს h2 უჯრაზე, ფიშერმა

კი აიყვანა. მერედა ვისთან? მსოფლიო ჩემპიონთან. ამიტომაც წერდა კომენტარებში დილოსტატი ნ. კროგიუსი: „ამ სვლამ გაოცება გამოიწვია არა მარტო მაყურებელთა დარბაზში, არამედ კომენტატორებს შორის. ნუთუ, ფიშერი ვერ ხედავს, რომ კუხაფანგშია“

30.გ3 h5 31. მუე2 h4 32. მუი3. მუე7? 33.მუგ2 hg 34.fg  
 კგ3 35. მუxგ3 მუდ6 36.თ4! მუდ5 37.კა3 მუე4 38.კG5 ა6 39.ბ6  
 f5. 40 მუh4! f4 41.cf მუx!4 42.მუh5 მუი5 43.კე3 მუე4 44.კ12  
 მუი5 45.კ14 e5 46.კგ5 e4 47.კე3 მუი6 34მუი4 და ა.შ. 56-ე  
 სულაზე ფიშერი დამარცხებას შეუურიგდა.

ანგარიში ბ. სპასკიმ წაიყვანა 1:0.

მეორე პარტიაზე რ. ფიშერი არ გამოცხადდა სატელევიზიო  
 კამერების ხმაური მოიმიზეზა.

ფიშერისა და მისი გუნდის აპელაციები, ცხადია, დაუკმაყოფი-  
 ლებელი დატოვეს.

ანგარიში გახდა 2:0 მსოფლიოს ჩემპიონის სასარგებლოდ.


ეს უკვე ტრიალის მეორე საფეხური და პრეტენდენტის მიერ  
 გაღებული ფორაა.

შეცამეტე პარტიის წინ ანგარიში უკვე იყო 7:5 პრეტენდენტ-  
 ის სასარგებლოდ.

ამ პარტიაში ფიშერმა (შაეები) 50-ე სულაზე კუ შეწირა და  
 მეფე ლაზიერის ფრთაზე გადაიყვანა. შემდგომ ეტლი ფათის  
 მდგომარეობაში თავად ჩააგდო (ეს უკვე ტრიალის მესამე საფეხუ-  
 რი) და პაიკებით  
 გააჩალა ბრძოლა სპა-  
 სკის ეტლის წინააღ-  
 მდეგ, რაც წარმატებით  
 დააგვირგვინა.

(დიაგრამა №2)

ჭადრაკის ცნობილი  
 ისტორიკოსი და პოპუ-  
 ლიზატორი ისააკ ლინ-  
 დერი ესთეტიკის ხედ-  
 ვით ასეთ შეფასებას აძ-  
 ლევს დაფაზე გამოსა-  
 ხულ პოზიციას: „უაღ-  
 რესად უჩვეულო სურა-



თია როგორც ძალთა თანაფადრობის მხრივ, ისე მათი განლაგების ნახტის თვალსაზრისით“

63.ეძ1! ხ3 64. მეც3 ხ1ლ 65.ეხ1 ხ1 მეძ5 66.მეხ2 14 67.ეძ1 მეე4 68.ეძ1 მეძ3 69.ეძ1? გადამწყვეტი შეცლომა ცაიტნოტში. სწორი იყო 69.ეც3! 69...მეე2! 70.ეძ1 13 71.კან5 ეხგ7 72.ეხც4 ეძ7 73.ეე4 მექ1 74.ეძ4 12 თეთრები დანებდნენ.

რობერტ ფიშერმა საბოლოოდ მატიჩი მოიგო ანგარიშით 12,5:8,5 და მსოფლიოს რიგით მეთერთმეტე ჩემპიონი გახდა.

წერილი დაიწერა გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის“



სწრ. №63  
კარო ფილმიდან  
„სტალინი Live“

## სკორბი იმასაც იბაცებდა

საყოველთაოდ ცნობილია, იოსებ სტალინი ყოველდღიურად რა გრანდიოზულ გონებრივ თუ ფიზიკურ სამუშაოს ასრულებდა. პირადი მცველის ა. რიბინის ცნობით, ბელადი, ჩვეულებრივ, დილის 3-4 საათამდე მუშაობდა. ამის მიუხედავად, მუდამ პოულობდა „ფანჯარას“ განტვირთვისთვის. განსაკუთრებით ქალაქბანას (Иркутск) და ბილიარდის

თამაში უყვარდა, ხანდახან საჭადრაკო მაგიდასაც მიუჯდებოდა ხოლმე. ყოველივე ეს ახლობელთა მოგონებებსა და პირადი დაცვის წევრთა ჩანაწერებშია ასახული.

30-იან წლებში კიროვი ხშირად სტუმრობდა სტალინის კუნცევოში, დღისით ისინი ქალაქბანას, საღამოობით კი ბილიარდს თამაშობდნენ.

რიბინის გადმოცემით, საინტერესო შემთხვევას წასწრებია მარშალი კონევი კრემლის საბილიარდოში, როცა ბელადი მარშალ უჯკოვს ხვდებოდა. სტალინის ბურთულა ლუზის პირთან გაჩხერილა.

გაითვალისწინეთ, ვისთან გაქვთ საქმე, ამხანაგო ჟუკოვ, ხუმრობით უთქვამს კონეცს.

სტალინს შეუწყვეტინებია.

არ გინდა კარნახი, ამხანაგო კონეც. ჯობია, მან თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი.

ბელადს საერთო სიცილში დაუტოვებია საბილიარდო.

ამ ეპიზოდზე მოგვითხრობს ლევან ჩიქვანაია თავის უაღრესად საინტერესო წიგნში „სტალინი ანფასში“.

თადარიკის პოლკოვნიკი ნ. კირილინი გვიამბობს, რომ სტალინი აგარაკზე ქალაქბანას ეთამშემბოდა სამზარეულოს მუშა სარკოვსკის და დაცვის თანამშრომლებს ალტმულერსა და პოპერანცევს. საღამოობით ბილიარდით ერთობოდა კიროვთან ან კომენდანტ ეფიმიოვთან, პოლიტბიუროს წევრებიდან უდანიეიც უწევდა მეტოქეობას.

მიხეილ ბოტვინიკი წერს, რომ 1948 წლის მსოფლიო მატჩ-ტურნირთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო მიღებაზე ამერიკის დელეგაციამ ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. რომანოვს იოსებ სტალინისათვის საჩუქრად გადასცა ნატიფი ნამუშევარი ჩიბუხი, რომელზეც დამაგრებული იყო საბჭოთა ბელადისა და რუხველტის მინიატიურული ხის სტატუები ჭადრაკის თამაშისას.

ეტყობა. ამერიკაშიც იცოდნენ, რომ სტალინი ჭადრაკისადმი მთლად გულგრილი არ იყო.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ხელთ ჩამივარდა მოგონება, რომელშიაც მოთხრობილი იყო ჭადრაკზე. სამწუხაროდ, მოგონება გამებნა, მაგრამ მასში მოთხრობილი ამბავი მეხსიერებას შემორჩა.

ერთ საღამოს სტალინს დაურეკავს აგარაკის სამორიგეოში და უთხოვია, მასთან გამოეგზავნათ დაცვის თანამშრომელი, რომელიც ჭადრაკს კარგად თამაშობდა. ისიც მოსულა და თამაშიც დაუწყიათ. როცა თანამშრომელს რამდენიმე პარტია წაუგია, სტალინს უკითხავს იგი განგებ ხომ არ აკებდა. პარტნიორს დაურწმუნებია სტალინი, რომ ბელადი ღირსეულად იმარჯვებდა. საჭადრაკო ბატალიები მხოლოდ ამის შემდეგ გაგრძელებულა.

„საქართველოს რესპუბლიკა“.

*P.S.* 2008 წლის ივნისში მოსკოვის ერთ-ერთ ტელეარხზე, შემდეგ კი ჩვენთან აჩვენებდნენ ბ. კაზაკოვის, დ. კუზმინისა და კვიჟინაძის მრავალსერიან ფილმს „სტალინი Live“ ფილმის ერთ კადრში აჩვენებენ ი. სტალინს, რომელიც თავის თავს ჭადრაკს ეთამაშება.

2006 წელს გამოვეცი „ჭადრაკი და... ცოტა სხვაც“. მასში კატეგორიულადაა ნათქვამი, რომ „სტალინი ჭადრაკს არ თამაშობდა“.

უზუსტობა შედეგია იმისა, რომ მანამდე ცნობილი იყო ჭადრაკისადმი ი. სტალინის მხოლოდ ნეგატიური დამოკიდებულების შესახებ (ამერიკელთა საჩუქრის მიხედვით პოზიტიური დასკვნა უმართებულო იქნებოდა).

რაც შეეხება კინოფილმის შესაბამის კადრს, ჭადრაკით ი. სტალინის ეპიზოდური, უფრო პრაქტიკული თამაშით გატაცების ფონზე ნაკლებ დამაჯერებელია მდგომარეობა - „თავის თავს ეთამაშება“.



# «კეთილთვისებიანი» წიგნები

მეტი ყურადღება და სიზუსტე, აოლავაბო

დღის სინათლეზე კარგა ხანია გამოჩნდა ახალი ჟურნალები „თბილისელები“, „გზა“, „სარკე“, „რეიტინგი“ და სხვ. მათი უმრავლესობა გაცერებული კია საინტერესო მასალებით, მაგრამ ხანდახან წააწყდებით უყურადღებობის, უზუსტობის და უპასუხისმგებლობის „საინტერესო“ ფაქტებს.

ჟურნალ „გზის“ მეშვიდე ნომერში გამოქვეყნდა ფერეიდანში ფრიად საინტერესო მოგზაურობის შთაბეჭდილებები. სამწუხაროა, რომ დასაწყისშივე დაშვებულია უზუსტობა დოკუმენტური ფილმის „შორია გურჯისტანში“ ავტორობა მიწერილი აქვს რევაზ თაბუკაშვილს, არადა ეს უნიკალური ლენტი მეორე დიდმა შემოქმედმა გურამ პატარაიამ გადაიღო (წერალის ავტორი გიორგი ალავერდაშვილი).

ორჯერ დავუკავშირდით ჟურნალის რედაქციას და ვთხოვეთ შეცდომის გასწორება, მაგრამ... თქვენც არ მომიკვდეთ!

ჩემი აზრით, უფრო შორს წავიდა ჟურნალი „თბილისელები“ (№16-2006 წ.) და ამ ნომერში გამოქვეყნებული წერილის ავტორმა ვლადიმერ კარანაძემ „ვეფხისტყაოსნის“ 1416-ე სტროფის რუსული თარგმანი სტალინის მიაკუთვნა. ავტორს, ცხადია, მოჰყავს სტალინის მიერ „თარგმნილი“ სტროფი:

*„აკლა ერთმანეთს მიუგეს სიტყვები არ პირ-შეკახები,  
დასკენეს იგი თათობრი, ტარას განაზრახები;  
ვაიყვეს კაცი ას-ასი, ყველაი გმორთა სახები,  
ცხენებსა შესხდეს, აიღეს მთ მათი ჩაძლახები“.*

ამ სტროფის რუსული თარგმანის მოყვანა საჭირო არ არის, რადგან იგი არა სტალინს, არამედ შ. ნუცუბიძეს ეკუთვნის, ხოლო

რომელი ტაეპი თარგმნა იოსებ სტალინმა, დიდი ხანია ცნობილია:

*„ანა ზღაღ ცხენი გაქუსლეს, მათრაზმან შექმნა წრიალი,  
რა ნახეს, კარნი გააზენეს, ქალაქით ვაზდა ზრიალი,  
სამთავე საშენით მოჰმართეს, თავსა მით უკვეს რიალი,  
იკრეს ნობსა და დაბდაძსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი“.*

(1414-ე სტროფი).

დათო ტურაშვილი თავისი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად ჩვენს ქვეყანაში უკვე ცნობილი მწერალია. მისი შემოქმედების განხილვას არ ვაპირებ, მაგრამ ჟურნალ „თბილისელების“ 2006 წლის მე-15 ნომერში დაბეჭდილ ინტერვიუში „დათო ტურაშვილი ქართველებისა და ესპანელების ნათესაობას იკვლევს“ ჟურნალისტის შეკითხვას: „ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ქართველებისა და ბასკების ნათესაობის შესახებ“, ინტერვიუერი პასუხობს:

„ეს იმიტომ, რომ სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდში მხოლოდ ბასკებზე იყო აქცენტი გადატანილი, რადგან რუსები ეხმარებოდნენ ბასკებს ფრანკოს წინააღმდეგ და იდეოლოგიის გასამართლებლად მხოლოდ ბასკებზე ლაპარაკობდნენ, თორემ სინამდვილეში, ბასკებიც და იბერიული წარმოშობის სხვა ესპანელებიც - კატალონიელები, ანდალუზიელებიც, ვალენსიელები და სხვები, ჩვენი ნათესავები არიან“.

ამ პასუხში რამდენიმე სერიოზული უზუსტობაა.

დავიწყოთ იმით, რომ საბჭოთა კავშირი (და არა რუსეთი) ეხმარებოდა არა გამორჩეულად ბასკებს, არამედ მთლიანად ესპანეთის რესპუბლიკურ რეჟიმს, მაშინ, როცა ფრანკოელ მემამბოხეებს გერმანიისა და იტალიის ფაშიზმი. შემდეგ, მცდარია თეზისი იმის შესახებ, რომ „რადგან რუსები ეხმარებოდნენ ბასკებს, ამიტომაც ლაპარაკობდნენ მხოლოდ ბასკების და ქართველების ნათესაობაზე“.

არა და არა, ბატონო დავით!

ჯერ ერთი, როგორც აკად. შოთა ძიძიგური წერს, ოცი საუ-

კუნეა კაცობრიობის ისტორიაში ტრიალებს აზრი პირინეის ნახევარკუნძულის მკვიდრთა (მათ შორის დასკთა, გ.ძ.) და ქართველთა ლინგვისტურ-ეთნიკური მიმართების თაობაზე.

მეათე საუკუნის სახელგანთქმულ მწიგნობარს იოანე მთაწმინდელს ექსპედიცია მოუწყვია ესპანეთში გასამგზავრებლად, რათა მოენახულებინა ქართველთა ნათესავნი „არამცირედნი“.

რაც შეეხება ბასკებთან მიმართებას, მრავალთაგან გავიხსენებ მხოლოდ ერთს: აკად. ნ. მარმა სამეცნიერო მივლინებით კარგა ხანი დაჰყო საფრანგეთის ბასკებში და 1927 წელს კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის V ტომში გამოაქვეყნა ცნობილი ნაშრომი „პირინეის გურიიდან...“

ასე რომ, ზედმეტი შეგონების გარეშე დავამთავრებ: მეტი ყურადღება და პასუხისმგებლობა, ჩემო ახალგაზრდა კოლეგებო!

„საქართველოს რესპუბლიკა“,  
2006 წლის ივნისი

## ჯორჯი აი არა, მინისტრი!

ამ ბოლო ხანს ჩემს მოკრძალებულ ჟურნალისტურ საქმიანობაში უნებურად მომეძალა „რეპლიკები“, რაც მხოლოდ ერთი აუცილებლობით არის ნაკარნახევი: მკითხველს მუდამ მხოლოდ ზუსტად მიუთითოთ ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის შესახებ.

დაზუსტება ეხება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მიმდინარე წლის 26 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას „კიდევ ერთხელ აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ“.

ავტორი წერს:

„გავიხსენოთ მეორე მსოფლიო ომის ცნობილი ამბავი, როდესაც საბჭოთა კავშირის პირველმა პირმა ყოველგვარი სახელმწიფო პროტოკოლის მოთხოვნების დარღვევით, რკინიგზის სადგურში გააცილა რანგით მასზე რამდენჯერმე დაბალი მოხე-

ლე, იაპონიის ელჩი. გაცილება საქმისათვის იყო საჭირო“.

აქ ყველაფერი ზუსტია, გარდა ერთისა: ი. სტალინმა, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარესა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მოლოტოვთან ერთად იაროსლავლის ვაგზალზე 1941 წლის 13 აპრილს გააცილა იაპონიის არა ელჩი, არამედ საგარეო საქმეთა მინისტრი იოსუკე მაცუოკა.

„საქართველოს რესპუბლიკა“,  
2006 წლის სექტემბერი

## მისამოდ განმარტება საჯირო გახდება?

„საქართველოს რესპუბლიკის“ 2006 წლის 26-ე ნომერში ერთმა პატივცემულმა პოლიტოლოგმა ი. სტალინს იაპონიის ელჩი გააცილებინა რკინიგზის სადგურში, სხვა პატივცემული პოლიტოლოგი უფრო შორს წავიდა წლეულს, 10 სექტემბრის ნომერში (“რატომ არ გააცილა აეროპორტში საქართველოს პრეზიდენტმა საფრანგეთის პრეზიდენტი“) ი. სტალინს არა მარტო იაპონიის პრემიერი გააცილებინა რკინიგზის სადგურზე, არამედ ეს ფაქტი ახსნა იმით, რომ პრემიერი დაითანხმა მეორე ფრონტი არ გაეხსნა.

პირველი უზუსტობა გავასწორეთ იმავე 2006 წელს, ახლანდელ უზუსტობასთან დაკავშირებით განვუმარტავთ მკითხველს, რომ არავითარ მეორე ფრონტზე საუბარი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან გაცილება, რაც უდავოდ საყურადღებო ფაქტია, მოხდა 1941 წლის 13 აპრილს, ე.ი. 2 თვითა და 9 დღით ადრე, ვიდრე ფაშისტური გერმანია საბჭოთა კავშირს თავს დაესხმებოდა.

რაც შეეხება სტუმარს, იაპონიიდან, იგი გახლდათ არა პრემიერი, არამედ საგარეო საქმეთა მინისტრი იოსუკე მაცუოკა.

მეხსიერების აღსადგენად დამატებით განვმარტავთ, რომ

მაღალი სტუმარი იაპონიიდან ჩამოსული იყო საბჭოთა ხელმძღვანელობასთან მოსალაპარაკებლად საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის ნეიტრალიტეტის შესახებ პაქტის დადებისათვის. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა მხრიდან – ი. სტალინი, სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მოლოტოვი, იაპონიის მხრიდან ელჩი მოსკოვში ი. ტატეკავა.

პაქტს ხელი მოაწერეს ვ. მოლოტოვმა და ი. მაცუოკამ.

იაროსლავლის რკინიგზის სადგურზე იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი მაცუოკა გააცილეს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ ს. ლოზივსკიმ, სამინისტროს პასუხისმგებელმა მუშაკებმა, აგრეთვე გერმანიის, იტალიის და უნგრეთის ელჩებმა ფ. შულენბურგმა, ა. როსომ, ჟ. კრიშტოფმა.

მატარებლის გასვლის წინ რკინიგზის სადგურზე მოვიდნენ ი.ბ. სტალინი და ვ.მ. მოლოტოვი, რომლებიც გამოემშვიდობნენ ი. მაცუოკას.

უნდა გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ ისტორიას შემორჩენილ ი. სტალინის ამ დიპლომატიურ ნაბიჯთან დაკავშირებით შესამედ განმარტება არ დაგვჭირება.

„საქართველოს რესპუბლიკა“,  
2008 წლის სექტემბერი

## რატომ მიფუჩივდა თბილისისა და ბილბაოს დაძმობილების ხელშეკრულება?

ჰიპოთეზა ქართველებისა და ბასკების ნათესაობაზე საუკუნეებიდან მოდის, მას შემდეგ ამ თემაზე ბევრი გამოკვლევა დაიწერა, ბასკეთშიც, საქართველოშიც.

1989 წელს საინტერესო (და ალბათ სასარგებლო) ღონისძიებას ჩაეყარა საფუძველი გაფორმდა თბილისისა და ბილბაოს (ესპანეთის ბასკების პროვინციის მთავარი ქალაქი) დაძმობილების

ხელშეკრულება. მას ხელი მოაწერეს თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ირაკლი ანდრიაძემ და ბილბაოს მერმა გორორდომ.

გაზეთ „თბილისის“ 1989 წლის 23 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა პედაგოგ შ. ბიწაძის წერილი, რომელშიც ავტორი შეახსენებდა ვისაც ჯერ არს იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების თანახმად თბილისში ბასკური მუზეუმი უნდა შექმნილიყო. იქვე მინიშნებული იყო ქართულ-ბასკურ ურთიერთობათა ცნობილი მკვლევრის ბასკი პროფესორის შაბიერ კინტანას თხოვნა, საქართველოს ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში პატარა კუთხე დათმობოდა ბასკეთს, რისთვისაც მან რამდენიმე ექსპონატიც კი დატოვა, თურმე, საქართველოში.

მაგრამ ყოველივე ეს მიფუჩჩადა...

შესაძლოა, ნაწილობრივ ყოველივე ეს სსრ კავშირის დანგრევიდან იყოს გამოწვეული, აირია მონასტერი, რამდენჯერ შეიცვალა ქვეყნის, ქალაქის გამგებლობა.

ახლა ხომ მეტნაკლებად, დაწყნარებული ვართ?

მაშ, მივხედოთ ზოგიერთ მივიწყებულ საქმეს!

„საქართველოს რესპუბლიკა“,  
2007 წლის ივნისი

## უნდა აღდგეს!

საკმატო წოდებების მინიჭების სისტემის აღდგენის საკითხი რამდენიმე წელია პერიოდულად ჩნდება პრესის ფურცლებზე. საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამენ სხვადასხვა დარგისა და რანგის მოღვაწენი, რომლებიც ერთხმად იწონებენ წინადადებას, საკმატო წოდებების მინიჭების პრაქტიკის აღდგენაზე. ამ საკითხზე დადებითი პოზიცია წარმოაჩინა ქვეყნის პრეზიდენტმაც, ამ სამიო-

დე წლის წინ 2000 წლის 3 ივლისის რადიონტერვიუში. სამწუხაროდ, საკითხი ჯერაც გადაუწყვეტელია. პირდაპირ ვიტყვი მორიგი უპრეცედენტო ფაქტია, პრეზიდენტმა ბრძანა: რატომ არ შეიძლება აღინიშნოს ყველა დარგში წარმატებული, დაულალავი მშრომელის ღვაწლი, მათ შორის, ბიზნესმენებისაც... უპრიანია შეიქმნას კომისია, რომელიც მოიფიქრებსო წახალისების ფორმებს სათანადოდ დააფასებს, მორალურად გაამხნეებს მათ, ვინც უჩუქრად, უხმაუროდ, რეკლამისა და „პოლიტიკური გნისის“ გარეშე ემსახურება სამშობლოს...

გასაგებად, ნათლად და ამომწურავად არის ნათქვამი. მისი პრაქტიკული ხორცშესხმა (კომისიის შექმნა) ვილაცას ან ვილაცეებს ხომ ეხებოდა? რატომ არ გაანძრის ხელი?

ამ საქციელს, საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას გურიაში თავუხლარობას (თავაშვებულობას, თავაგდებულობას) ეძახიან!

ახლანხან, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 3-9 ოქტომბრის ნომერში კვლავ უბრუნდება ამ საკითხს მწერალი, კრიტიკოსი და ჟურნალისტი ჯუმბერ თითმერია, რომელიც ამჯერად, სუფელიორის როლსაც ითავსებს, კიდევ ერთხელ მოაგონებს (ცხადია, სათანადო არგუმენტების მოშველიებით) ვისაც ეს ეხება, საპატიო წოდებების მინიჭების პრაქტიკის აღდგენის აუცილებლობაზე.

მეც თქვენს გვერდით მიგულეთ, ბატონო ჯუმბერ!

მხოლოდ ერთს დავძენ: თუ ღმერთმა ქნა და შეიქმნა კომისია, რომელიც სხვა დოკუმენტაციასთან ერთად დებულებასაც შეიმუშავებს, ვინძლო არ გაიზიაროს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდების მისანიჭებლად მაინცდამაინც რედაქციაში სამსახური, რადგან თუთაშხიას თქმისა არ იყოს (მცირეოდენი პერიფრაზ-ჩამატებებით), ჯერ სიტყვია (პრესაში თანამშრომლობა) საქმე და მერე საქმეა (რედაქციაში სამსახური) საქმე.

„ლიტერატურული საქართველო“,  
2003 წლის ოქტომბერი

## ყარაბაღში ნაომარი გენერლის ძეგლს ჩვენთან რა ესაქმება???

ამ რამდენიმე ხნის წინათ მეხის დაცემასავით დაიგრგვინა ცნობამ: ჩვენთან, საქართველოში, ძირძველ მესხეთ-ჯავახეთის მიწაზე, ასევე ძირძველ ქართულ ქალაქ ახალქალაქში, იქ სადაც ამ ჩვიდმეტე წლის წინ ჩაგდებულ ნიშის ადგილზე უნდა აღმართულიყო 9 აპრილს დაღუპულთა ძეგლი-მემორიალი, „ჯავახქებს“ მოუსურვებიათ ყარაბაღის ომის მონაწილე სომეხ გენერალ დალიბანდიანის ძეგლის დადგმა.

„საქართველოს რესპუბლიკის“ აწ 27 სექტემბრის ამ შემადრწუნებელ ინფორმაციას „ასავალ-დასავალის“ გამოძახილი და ბოლოს ისევ „საქართველოს რესპუბლიკაში“ პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ერთობ მწარე წერილი მოჰყვა.

ჭეშმარიტად, მეორედ მოსვლაა!

საქმე გვაქვს უმადურობის თავხედურ დემონსტრაციასთან ავადმოსაგონარმა პასკევიჩმა თურქეთის მიწაწყლიდან არზრუმელი სომხობა ჯავახეთის ზეგანზე შემოჰყარა და დაასახლა იქ, საიდანაც მანამდე ოსმალეთში გაასახლეს მაჰმადიანი ქართველობა. საქართველომ თავის მიწა-წყალზე თავშეფარებულ სომხობას კარიც გაუხსნა და გულიც.

უზომო მადლიერების სანაცვლოდ რა მივიღეთ?

ყველაფერს გვედავებიან: გვედავებიან დამწერლობას, გვედავებიან ეკლესიებს, გენიალურ შოთას და მის „ვეფხისტყაოსანს“ შემოგვედავენ, გვედავებიან „სულიკოს“ და მისი ტექსტის ავტორს აკაკი წერეთელს, გვედავებიან ანსამბლ „რუსთავს“, „ჩაკრულოს“ და „რაჭულ მრავალჟამიერს“ (აგერ მეხუთე თვე გადის, რაც ეს „უნიკალური აღმოჩენა“ გახდა ცნობილი, ანსამბლს ადვოკატიც აყვანილი ჰყავს „ჩაწერის“ წარმომავლობის დასადგენად, მაგრამ დღემდე საშველი არ დაადგა!), ძირძველ მიწებს გვედავებიან, წარსულს გვედავებიან...



ისე ხომ არ არის, „ბავშვსა ჰკითხეს რათა ტირიო გამიღის და ვტირიო“.

მართლაცდა, „ავადმყოფური ისტორიზმი“, სჭირთ, როგორც ერთმა გენიალურმა პიროვნებამ დაუსვა ღიაგნოზი!!!

ყოველივე ამას ახლა თვითნებობაც მიუმატეს. ჩვენ რა, სამცხე-ჯავახეთის მიწა იჯარით გვაქვს ალებული?

პირველ ინფორმაციაზე, ხელისუფლების ორგანოების რეაგირებას მოველოდი - მხარეს გუბერნატორი ჰყავს, ქვეყანას მთავრობა ჰყავს, ხელისუფლება ჰყავს...

სამცხე-ჯავახეთის მიწა როდის აქეთ არ არის საქართველო??? 9 აპრილის მსხვერპლთა ძეგლი-მემორიალის ადგილზე ყარაბაღში ნაომარი გენერლის ძეგლის დადგმას აპირებენო? მერე-და, აზერბაიჯანთან საქართველოს ურთიერთობა? ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს.

ვიდრე სულ გვიან არ არის, ქვეყნის პატრონმა ხმა უნდა გაიღოს, დაუყოვნებლივ იღონოს ამ თავხედობის აღსაკვეთად!

წერილი დაიწერა გაზეთ  
„საქართველოს რესპუბლიკისათვის“

# აღნიშნული გამოცემებიდან\*

## ბალავრჩით! ანუ ზოგი რამ „ციური ურჩხულის“ შესახებ

უკანასკნელ ხანებში მასმედია ინტენსიურად აღაპარაკდა მოსალოდნელ გლობალურ კატასტროფაზე, რასაც, შესაძლოა, ერთ-ერთი კონტინენტის განადგურება მოჰყვეს. ზოგიერთი აღნიშნავდა „ციური ურჩხულის“ დედამიწასთან შეჯახებას, ზოგიც (რატომღაც მეტეოროიტებში აერიათ) დედამიწაზე მის ჩამოვარდნას.

რა არის ეს „ციური ურჩხული“?

ასტეროიდი ანუ პლანეტა (ცთომილი), იგივე პლანეტოიდაა, როგორც მას ასტრონომიის ქართული სკოლის ფუძემდებელი ეგენი ხარაძე მოიხსენიებს. „ასტეროიდის“ განმარტებას წავაწყდი მეცნიერების ცნობილ პოპულიზატორთან იაკობ პერელმანთან, რომელსაც „სახალისო მეცნიერების დოქტორი“ შეარქვეს, მე სიამოვნებით ვუწოდებდი „სახალისო ლიტერატურის კლასიკოსს“, რომლის თქმით „ასტეროიდი“ ნიშნავს „ვარსკვლავთმსგავსს“.

პირველი ასტეროიდი მე-19 საუკუნის 1 იანვარს აღმოაჩინა იტალიელმა ასტრონომმა პიაციმი - შენიშნა რა მნათი ციური სხეული, რომელიც ვარსკვლავებზე სწრაფად გადაადგილდებოდა. და იცით რომელი? მაინცდამაინც ყველაზე დიდი - „ცერერად“ წოდებული, რომლის განივკვეთი 770 კილომეტრია. „ცერერა“ ასტეროიდებს შორის ყველაზე დიდია, მაგრამ მთვარესთან შედარებით იმდენად მცირე, რამდენადაც მთვარე დედამიწასთან შედარებით. მაშინ ასტეროიდებს უწყინარ ქვებად მიიჩნევდნენ, მოგვიანებით საპირისპირო დამტკიცდა.

\* შევსებული ვარიანტები

სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ასტეროიდთა მასობრივი აღმოჩენა მეცხრამეტე საუკუნის კუთვნილებაა. პროფესორ კ. ბაევის აზრით, ასტეროიდთა მიკვლევას ხელი შეუწყო მეცნიერთა ვარაუდმა - თითქოსდა მარსისა და იუპიტერის ორბიტებს „შეუვსებელი“ სივრცე აშორებდა და შეუძლებელი იყო, ამ სივრცეში უცნობი პლანეტა (ცთომილი) არ ყოფილიყო.

ვარაუდი გამართლდა, ახლადაღმოჩენილ მცირე პლანეტათა რიცხვი თანდათან გაიზარდა. 1940 წლამდე ასტრონომთა დაკვირვების არეში მოექცა 1500-მდე ასტეროიდი. მათ შორის ზემოხსენებული „ცერერა“ და 490 კმ დიამეტრის „პალადა“. პერელმანის ცნობით, ასკილომეტრიანი განივკვეთის მქონე ასტეროიდთა რიცხვი შვიდ ათეულს აჭარბებს, მაგრამ ისეთები, რომელთა დიამეტრი ორ-სამ კმ-ს ძლივს აღწევს, უამრავი ყოფილა და პერელმანი „პაწაწინებს“ უწოდებს. მათი საერთო მასა დედამიწის მასის მეათასედს შეადგენს. აკად. ევგენი ხარაძე 1987 წელს შენიშნავდა, რომ იმ დროისთვის რეგისტრირებული და შესწავლილი იყო 3000-ზე მეტი მცირე ცთომილ (პლანეტა) ანუ ასტეროიდი, რომელთა ორბიტები მოქცეულია მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ რამდენიმე წელია, აგორდა პანიკა, შიშისმომგვრელი ტალღა, კოსმოსურ ლოდინი 1950 DA შესაძლოა, დედამიწას შეასკდეს 2880 წელს, გავიდა ამ „მონსტრის“ აღმოჩენიდან თითქმის ნახევარი საუკუნე და პიზის უნივერსიტეტის ასტრონომთა მიერ აღმოჩენილ კილომეტრნახევრიანი დიამეტრის ასტეროიდ 1999 ANJD-თან დაკავშირებით დადგინდა, რომ იგი წელიწადის განმავლობაში, ორჯერ გადაკვეთს დედამიწის ორბიტას

2027 წელს დედამიწის სიახლოვეს ჩაიჭროლებს, ხოლო 2039 წლის აგვისტოში იმდენად ახლოს, რომ ალაპარაკდნენ შეჯახების მოსალოდნელ საფრთხეზე, მაგრამ ძალზე მცირე შანსით.

მასმედიას რა დაამშვიდებს და აი, კვლავ გაჩნდა ინფორმაცია: „ასტეროიდი 2002 №1-7 (რომლის დიამეტრი ორი კილომეტრია), შესაძლოა, დედამიწას შეეჯახოს 2019 წლის 1 თებერ-

ვალს“ (ამ ასტეროიდს „კაცობრიობისთვის“ დღემდე ცნობილ კოსმოსურ ობიექტთა შორის ყველაზე სახიფათო უწოდეს).

გამოხდა ხანი და მოგვიანლოვდა მოსალოდნელი კატასტროფის დღე- 2014 წლის 21 მარტი. აქაც, ისევე, როგორც ერთ-ერთი გაზეთის პუბლიკაციაში, ვფიქრობ, დაშვებულია ტერმინოლოგიური შეცდომა ნათქვამია არა „შეჯახოს“, არამედ „დაეცეს“. რაკი ასტეროიდები ანუ „მცირე პლანეტები“ (ცთომილები) მოძრაობენ მზის გარშემო ორბიტაზე, რომელთაგან ზოგი გადაკვეთს დედამიწის მოძრაობის ორბიტას, შესაძლებელია ვარაუდი „შეჯახებაზე“ და არა „ჩამოვარდნა-დაცემაზე“, მაგრამ საბედნიეროდ, ეს არ არის მთავარი. ბევრად მნიშვნელოვანია ამ საშინელი კატასტროფის უმცირესი ალბათობა. ასე მაგალითად, მეცნიერებმა არა მხოლოდ აღმოაჩინეს ასტეროიდი (მხედველობაში მაქვს 1950 DA ციური სხეული), არამედ გამოიანგარიშეს კიდევ დედამიწასთან მისი შეჯახების ალბათობა. „ბი-ბი-სის“ სამეცნიერო მიმომხილველის, დოქტორ დევიდ უაიტჰაუსის აზრით, ეს ალბათობა სამასიდან ერთია. კიდევ უფრო მცირეა ალბათობა 2014 წლის 21 მარტისათვის ნაწინასწარმეტყველები შეჯახებისა დაახლოებით ერთი შანსი 909 ათასიდან. უფრო მეტიც, შეჯახების ალბათობა, შესაძლოა, თურმე, კიდევ უფრო შემცირდეს.

2006 წელს საინფორმაციო საშუალებებში გავრცელდა ცნობა, რომ ასტრონომებმა გამოთვალეს 800 მეტრი დიამეტრის ასტეროიდის ფრენის ტრაექტორია. ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შესაძლოა ასტეროიდი დედამიწას დაეჯახოს... 2008 წლის 21 ივნისს. ეს იქნებოდა სიცოცხლისათვის სრული კატასტროფა, მაგრამ გვამშვიდებდნენ იმით, რომ მათი გათვლები პირობითია და „ციური ურჩხულის“ გადაადგილების ტრაექტორიამ კორექტივი განიცადოს, საბედნიეროდ ახლა ოქტომბერია და ასეც მოხდა.

შეჯახების რა მოგახსენოთ, მაგრამ ორბიტების გადაკვეთის ან დაახლოების ფაქტები დადგენილია. ვიდრე მაგალითებს მოვიტანდეთ, გავიხსენოთ: როცა ასტრონომები ე.წ. „ახლო მანძილის ტერმინით“ საუბრობენ, გულისხმობენ არა მეტრებს, არამედ რამ-

დენიშე ასეულ ათასობით კილომეტრს. აი, რამდენიშე მაგალითი: 1989 წელს ასტეროიდმა 1989FC, რომლის დიამეტრი 800 მეტრია, დედამიწას „ჩაუქროლა“ 720 ათასი კილომეტრით, „ჩაუქროლა“, რადგან დედამიწა ორბიტის მოცემულ წერტილში სულ რაღაც ექვსი საათის წინ იყო.

„წერილმანებზე“ რომ არ შევაჩერო ყურადღება, კიდევ ერთი ფაქტი: 1994 წელს ორმა ასტეროიდმა დედამიწას ჩაუარა 160 ათას კილომეტრზე. შედარებისათვის დედამიწასა და მთვარეს შორის მანძილი 384 ათასი კმ-ია.

საინტერესოა ერთი ასპექტიც: როცა მოსალოდნელ კატასტროფაზე საუბრობდნენ, ყველას ამშვიდებდნენ - შესაშფოთებელი არაფერია, სპეციალისტები ამბობენ, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება, როგორ შეცვალონ ასტეროიდის მოძრაობის ტრაექტორია და აიცილონ დარტყმა. სხვა ინფორმაციაში გამოითქვა რწმენა იმისა, რომ ადამიანი შეძლებს ასტეროიდის ორბიტის შეცვლას - კოსმოსური სხეულების მოძრაობაზე გავლენის რომელიმე მეთოდის გამოყენებით.

ვიღრე, ყოველივე ამას, შეძლებისდაგვარად, შუქს მოვფენდეთ, პასუხი გავცეთ კითხვას: მაინც რა არის ასტეროიდი?

კომეტებისაგან განსხვავებით, რომლებიც გაყინული აირებით წარმოიქმნება, ასტეროიდები, ისევე, როგორც მეტეორიტები, ძირითადად წარმოადგენენ ქვისებრ ნივთიერებებს.

არსებობს ჰიპოთეზა, რომ ასტეროიდები (როგორც მეტეორიტები) წარმოიქმნენ მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის მოძრავ რომელიღაც დიდი პლანეტის (უთომილის) გასკდომა-დაშლის შედეგად. ამავე ჰიპოთეზას იზიარებს ე. ხარაძე. სხვა ავტორთა მოსაზრებაც ასტეროიდთა რაობაზე ასეთია: ასტეროიდთა უმრავლესობა წარმოადგენს ნატეხ-ნამსხვრევების გროვას (სხვადასხვა ფორმის ნატეხი). მაგალითად, ასტეროიდ „ეროსს“ ძელაკის (УЛЛИНЕННЫЙ ДРУСОК) ფორმა აქვს. სხვათა შორის, იმასაც ფიქრობენ, რომ ზოგიერთ პლანეტის თანამგზავრი (მზის სისტემაში, საერთოდ, 52 თანამგზავრია ცნობილი) წარმოქმნილია ასტე-

როილისაგან. ასტეროიდთა უმრავლესობა წარმოადგენს კლდოვან ლოდებს. ზოგიერთი ასტრონომი მეტაფორულად ასტეროიდს მფრინავ მთასაც უწოდებს. (სურ. 64, 65)

ჯერჯერობით, მეცნიერთათვის ცნობილია ასტეროიდის სამი სახეობა;

მთლიანი ლოდი

ერთმანეთთან შეერთებული ორი ლოდი



სურ. №64



სურ. №65

ე.წ. რიყის ქვების გროვა, სადაც თავისივე მიზიდულობით არიან შეკავშირებული.

ტელეარხ „შუხუე“ გადმოცემული მასალების მიხედვით, მონოლითური ასტეროიდები არც ისე საშიშია, ბევრად უფრო სახიფათოა „ქვების გროვასთან“ შეხვედრა. ისინი დაფრინავენ დედამიწასთან ახლოს. მათ შეეჯახებას მონოლითურ ასტეროიდთან შეუძლია ეს მონოლითიც „ქვიშის გროვად“ აქციოს. საერთოდ, მეცნიერები თვლიან, რომ დედამიწის სიახლოვეს 1000-მდე ასტეროიდი ტრიალებს. რომელთა დამეტრი ნახევარ მილზე მეტია. ეს ე.წ. „დედამიწის ასტეროიდებია“, რომელთაგან მომდინარეობს ძირითადი საფრთხე.

დავუბრუნდეთ საკითხს: როგორ დაიცვას ადამიანი თავი დედამიწასთან ასტეროიდის მოსალოდნელი შეეჯახებისგან, რასაც კატასტროფა მოყვება?

არის რეალური ვარიანტი, ასტეროიდის ტრაექტორიის შესაცვლელად ბირთვული იარაღის გამოყენებისა, მაგრამ არის სხვაც. უფრო „უმტკივნეულო“

ამ შემთხვევაში მეცნიერები აქცენტს აკეთებენ ასტეროიდის მოძრაობის ორბიტის შეცვლაზე, მექანიკური გზით.

ეს იდეა ეკუთვნის ამერიკულ კომპანია „სპეის უორკ ენჯინერინგის“ ინჟინრებს და გულისხმობს კოსმოსური რობოტების მასობრივ გამოყენებას. კერძოდ, კოსმობოტების არმია მიემუხრება ასტეროიდისაკენ, ჯდება მასზე და ეკვრის მას. (უკვე შექმნილია აპარატი ასტეროიდზე დაჯდომისთვის პირველად ეს რთული მისია აპარატ NEAR-ით განხორციელდა ეროსის სახელით ცნობილ ასტეროიდზე). შემდეგ, რობოტებზე მოთავსებული ბირთვული რეაქტორებისა და იონური ძრავების მეშვეობით რობოტები ერთობლივი ძალისხმევით ახერხებენ ასტეროიდის მოძრაობის კურსის შეცვლას.

მართალია, მეცნიერები დღეისათვის ყველაზე პერსპექტიულად მიიჩნევენ ასტეროიდების ბირთვული იარაღით განადგურებას, ერთსულლოვანი აღიარებით „სპეის უორკის“ მიერ შემოთავაზებულ რობოტების იდეაც იმსახურებს ყურადღებას.

არის კიდევ სხვა ვარიანტიც, რომელიც „ასტეროიდის ბუქსირის“ სახელით არის ცნობილი. ამ წინადადების ავტორია ყოფილი ასტრონავტი ამერიკელი რასტი ხვაიხარტი, რომელიც „აპოლონ-9“-ის პროექტში მონაწილეობდა მთვარის კაფსულის პილოტის სახით და რომელმაც 47 წუთი გაატარა ღია კოსმოსში.

უფრო კონკრეტულად: უნდა ავაგოთ კოსმოსური ხომალდი „ასტეროიდის ბუქსირი“, რომელიც მიფრინდება ასტეროიდთან, ჩაეჭიდება მას და ნელ-ნელა შეუცვლის ორბიტას, ფრთხილად შეუცვლის მოძრაობის კურსს, მაგრამ ჯერჯერობით იდეას თეორიის სახე აქვს.

ასევე არიზონაში კიდევ ერთი იდეა გაჩნდა, რომლის ავტორია ჯეი მელოში, მეცნიერი ტუქსონის უნივერსიტეტიდან.

ასე რომ, იდეები არის, საქმე განხორციელებაზეა.

ერთი დეტალიც აღნიშვნას იმსახურებს: მეცნიერთა ნაწილმა (ლევნი და სხვ.) ასტეროიდებში (კომეტებთან ერთად) ზოგადსაკაცობრიო დანიშნულების სარგებელიც დაინახა. ამ თეორიის მიხედვით ისინი ცვივოდნენ დედამიწაზე 3,8 მილიარდი წლის წინ და თან ჩამოჰქონდათ წყალი და ნახშირბადის მოლეკულები, რამაც ბიძგი მისცეს სიცოცხლის განვითარებას ჩვენს პლანეტაზე.

ეს ისე, სხვათაშორის.

როგორც ვნახეთ, ჯერჯერობით დაუზუსტებელია, როდის მოვლის დედამიწას ასტეროიდთან შეჯახების საფრთხე. სახელდება 2880, 2014, 2018, 2027, 2039 წლები, საფრთხე, თუნდაც, მცირე, მაგრამ მაინც არსებობს, თუმცა მეცნიერებისა და ტექნიკის უნდა გვეიმედებოდეს.

ამგვარად, საფრთხის წინაშე არაერთგზის ვიდექით. მაგრამ დღემდე უვნებლად მოვედით.

გადავრჩით!!!

## ჰინ არის ნაპოლეონის ჰირადი მცვალი რუსტამი ანუ თბილისელი რუსტამის ისტორია

საფრანგეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ნაპოლეონმა გადაწყვიტა პარიზს დაბრუნებულყო. მას სურდა ორი მამლუქი თან წაეყვანა. ალ-ბაქრის მამლუქები შერჩეული ჰყავდა, ბატონმა ელიასმა ისინი მიჰგვარა გენერალს, მაგრამ ერთმა მათგანმა ტირილი მორთო. ბონაპარტე გაუწყრა ელიასს. მტირალი მამლუქები არ მინდა, უკან წაიყვანეთო. მაშინ ბატონმა ელიასმა გენერალს მიმართა: „შეიხს მისწერეთ, მომცეს ის მამლუქი, რომელიც თან დაჰყვება, იგი კარგი მსახურია, ქართველია“





სურ. №66

რუსტამის პორტრეტი, რომლის  
ავტორობას მიაწერენ გროს

საფრანგეთის პირადი მცველი რუსტამი სომხად არის გამოცხადებული.

არც გამკვირვებია, რადგან ჩვენი მეზობელი ერის „სწავლულები“, აუ, რამდენი ხანია თითქმის ყოველივე ქართულის (მაინც-დამაინც!) მითვისებას ლამობენ. ჩემი შთაბეჭდილებით ორი რამ რჩება მათგან ხელშეუხებელი: რელიგია და კრიმანჭული. თუმცა შთაბეჭდილება მთლად ზუსტი არ აღმოჩნდა: ამას წინათ გავეცანნი ფრანგი მკვლევრის რემონ ჟანენის „საქართველოს“, 1924 წელს პარიზში გამოქვეყნებულ კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკლოპედიიდან ჩვენი მეზობლების ეს მორიგი აბსურდული მტკიცება ასეთია IV საუკუნეში კაბადოკიელ წმინდა ნინოს კი არ განუსრულებია სიმონ კანანკლის და ანდრია პირველწოდებულის საქმე და მოუქცევია საქართველო ქრისტეს რჯულზე, არა-

მართლაც, 18 წლის მამლუქი არაბულ ბედაურთან ერთად, ადგილობრივმა შეიხმა ეკვიპტეში ლაშქრობისას ქაიროში მყოფ საფრანგეთის მომავალ იმპერატორს საჩუქრად მიჰგვარა. ნაპოლეონს მოსწონებია ჭაბუკი მამლუქი, მალე იგი პირად მცველად გაუხდია...

...გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში სამსახურებრივი მივლინებით ერევანში ყოფნისას წამაკითხეს რესპუბლიკურ რუსულ გაზეთ „კომუნისტის“ 1985 წლის ივლისის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული ვ. მიქაელიანის და ვ. პოლოსიანის წერილი „ნაპოლეონის მამლუქი“ მასში

მედ. საქართველო, თურმე სომხებმა მოაქციეს ქრისტიანულ სარწმუნოებაზე.

აქვე არ შემიძლია განმეორებით არ გადმოგვცეთ (მხოლოდ, ამჯერად, უფრო დაწვრილებით) აკად. ნიკო ბერძენიშვილის მოგონება (“სტუმრად სტალინთან”, „საქ. რესპ.“ №187, 2003 წლის მარტი) იმის თაობაზე, რომ ი. სტალინს არ მოსწონდა სომხების ტრაბახი ისტორიაში. ამასთან დაკავშირებით სტალინს გენიალური კვალიფიკაცია მიუცია ყოველივესთვის, „ავადმყოფური ისტორიზმი“ სჭირთო...

ზემოთ ერენის რუსული გაზეთი „კომუნისტი“ ვახსენეთ.

მაინც რა ეწერა მიქაელიანისა და პოლოსიანის სტატიაში?

- ნაპოლეონ ბონაპარტს ეგვიპტიდან საფრანგეთს მიეჩქარებოდა, მასთან ერთად საფრანგეთს მიემგზავრებოდა მისი მცველი, 19 წლის (?) რუსტამი. რუსტამი ამაყობდა სომეხი ერისადმი თავისი კუთვნილებით. პირად მოგონებებში, რომელიც ოთხჯერ გამოიცა (რაც მისი წარმატების დასტურია) რუსტამი წერს: „სახლში შემოვიდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ჩემთან ერთად მყოფი ორი მანდილოსნისთვის რაღაც უნდა ეცნობებინა. დიდხანს მიყურებდა და მკითხა, ვლასპარაკობ თუ არა სომხურად. ვუპასუხე, დიახ მეთქი და რომ თვითონაც სომეხი ვარ“.

წერილის ავტორები შემდეგ აღნიშნავენ, რომ რუსტამი დაიბადა 1780 წელს ტფილისში, ყარაბახელი სომეხი კომერსანტის ოჯახში. ბავშვობაში იგი მშობლებს მოპარეს, ერთი პატრონიდან მეორეს გადასცემდნენ და ბოლოს, 1795 წელს კონსტანტინეპოლში აღმოჩნდა, ხოლო ნახევარი წლის შემდეგ ეგვიპტელ მამლუქებს მიჰყიდეს.

ტილზიტში (ახლანდელი კალინინგრადის ოლქის ქ. სოვეტსკი) იმპერატორების სადილთან დაკავშირებით ამ პუბლიკაციის ავტორები წერენ: „რუსტამი თავის პატრონს ემსახურებოდა. ნაპოლეონი ალექსანდრეს (რუსეთის იმპერატორი, - გ.მ.) მიუბრუნდა და ხუმრობით შენიშნა, რომ რუსტამი რუსეთის მეფის ქვეშევრდომიაო. ალექსანდრეს გაკვირვებულ შეძახილზე ნაპოლეონმა განმარტა, რომ

რუსტამი წარმოშობით ტფილისიდან არის და ამრიგად, იგი რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომად შეიძლება ჩაითვალოსო“.

დამეთანხმებით აქ საუბარი რუსტამის სადაურობაზე, ხოლო ეროვნულ კუთვნილებაზე არაფერია ნათქვამი.

რატომ?

ამ კითხვაზე პასუხს მივიღებთ გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ 1967 წლის II აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ თბილისელი მხატვრის, ლიტერატორის და ჭადრაკის ისტორიის მკვლევრის მ. ვადაბოლსკის სტატიას. მასში რუსტამის ხელნაწერი მოგონებების (დღიურების) მინაარსია გადმოცემული. ეს სწორედ ის მოგონებებია, რომელთა ირგვლივ ზემოთ გვაქვს საუბარი და რომელიც საფრანგეთში გამოუცია პოლ კოტენს ფრედერიკ მასონის წინასიტყვაობით.

მოვიტან ამონაწერს შემუარებიდან (დღიურებიდან):

„წარმოშობით თბილისელი ქართველი ვარ, ვაჭრის როსტომ სონამაშვილის შვილი (ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში გამოქვეყნებულ სტატიაში პროფ. გ. ჟორდანის იგი როსტომ რაზმაძის გვარსახელით ჰყავს მოხსენიებული, - გ.მ.), დედაჩემი (ვარია) თბილისელია. ჩემს მშობლებს ორი ქალიშვილი და ოთხი ვაჟი ჰყავდა, რომელთაგან უფროსი იქ ვიყავი“.

წერილის დასასრულს, მ. ვადაბოლსკი აღნიშნავს, რომ შემუარებში (დღიურებში) განსაკუთრებით დაწვრილებით არის აღწერილი იმპერატორების შეხვედრა ტილზიტში. მხედველობაშია საფრანგეთისა და რუსეთის იმპერატორების ნაპოლეონის და ალექსანდრე პირველის შეხვედრა 1807 წელს ზავთან დაკავშირებით. სხვათა შორის, იმპერატორების შეხვედრის ეპიზოდს სათანადო ადგილი აქვს დათმობილი აკად. ე. ტარლეს „ნაპოლეონში“:

„ალექსანდრე რომ არ გადასულიყო ფრანგების მიერ დაპყრობილ ნემანის ნაპირზე, ხოლო ნაპოლეონი ნემანის იმ ნაპირზე, რომელიც რუსებს ეჭირათ, - შუა მდინარეში ააგეს ტივი ორი საუცხოო პავილიონით, ფრანგების სანაპიროზე ჩამწკრივდა ნაპოლეონის მთელი გვარდია, რუსების სანაპიროზე ალექსანდრეს მცი-

რერიცხოვანი ამაღლა... როდესაც იმპერატორები ტივზე გადავიდნენ, ნაპოლეონი გადაეხვია ალექსანდრეს და ისინი შევიდნენ პავილიონში, სადაც დაუყოვნებლივ დაიწყო მათი საუბარი, რომელიც თითქმის ორი საათი გაგრძელდა“.

გავაგრძელოთ რუსტამის მემუარებზე საუბარი მ. ვადბოლსკის სტატიიდან:

„მეორე დღეს იმპერატორი ალექსანდრე, პრუსიის მეფე, დედოფალი და დიდი თავადი კონსტანტინე ნაპოლეონთან სადილობდნენ. მე ნაპოლეონის გვერდით ვიყავი. ალექსანდრე და დედოფალი ხშირად მიყურებდნენ და ერთმანეთს რაღაცას გადაულაპარაკებდნენ ხოლმე, ნაპოლეონმა უთხრა ალექსანდრეს:

ხელმწიფევე, რუსტამი ხომ თქვენი ხელქვეითი იყო?  
როგორ?

- ის ხომ ქართველია, საქართველო კი თქვენი იმპერიის ნაწილია“.  
იმპერატორების საუბრის ამ ეპიზოდს (ცხადია, გასაგები მიზეზით) გვერდი აქვს ავლილი ერეენის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ მიქაელიან-პოლოსიანის სტატიამ.

რუსტამი რომ ნაპოლეონის ამაღლის განუყრელი წევრი იყო, ამას ადასტურებს თვითონვე: მოწმის სტატუსით სასამართლოში გამოძახებულმა რუსტამმა სასამართლოს თავმჯდომარის ერთ-ერთ კითხვაზე, სადაც არ უნდა ყოფილიყო იმპერატორი, იწვეით თუ არა თქვენ საკუთრივ მის აპარტამენტში? მან უპასუხა:

ღიას ბატონო, საკუთრივ შიგნით ან კარის ზღურბლზე.

ეს კითხვა-პასუხი, როგორც წერს მ. ხუხუნი, გადმოცემულია „მე-19 საუკუნის განთქმული სისხლის სამართლის საქმეების“ კრებულში.

აღნიშნულის დასტურად კიდევ ერთ ცნობას წავაწყდი აკად. ე. ტარლეს „ტალიერანში“: „1812 წლის 5 დეკემბერს (ახ. სტილით), საღამოს 10 საათზე, ნაპოლეონი კოლენკურთან (გენერალი, გ.მ.), პოლონელ ოფიცერ ვონსოვიჩთან, მამლუქ რუსტანთან და ორ პიკერთან ერთად ჩაჯდა მარხილში, დაბა სმორგონში და დაიწყო თავისი შორეული მოგზაურობა“.

და კიდევ ერთი სტატიის შესახებ, რომელიც გაზეთ „თბილისის“ 1986 წლის 12 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა პროფ. ი. ტაბაღუას მოკლე განმარტებით.

„რუსტამის მოუსვენარი ახალგაზრდობა ანუ როგორ გახდა იგი ნაპოლეონის მამლუქი“ ასე ჰქვია ამ პუბლიკაციას, რომლის ავტორია ფრანგი ისტორიკოსი მორის დერიბერე. ეს სტატია გაზეთს პროფესორმა ი. ტაბაღუამ შესთავაზა და განმარტა, რომ ფრანგი ისტორიკოსი დაინტერესებული ყოფილა ეგვიპტესაფრანგეთის ურთიერთობით, კერძოდ, ეგვიპტეში ქართველ მამლუქთა მოღვაწეობის საკითხებით. ერთ-ერთ სტატიაში („ქართველები იმპერიის მამლუქთა კორპუსში“) მ. დერიბერე, თურმე, რუსტამსაც ეხება და წერს: „ჩვენთვის ცნობილია, როგორ წამოიყვანა ეგვიპტედან ნაპოლეონმა ჭაბუკი ქართველი რუსტამი (რუსტანი, ბ. გვეგმიძის ცნობით, ეს სახელი მას ნაპოლეონმა შეარქვა, ისტორიაში შევიდა რუსტამის სახელით, - გ.მ.) და შემდეგ (1801 წელს) როგორ შექმნა მამლუქთა კორპუსი“, ე.ი. ფრანგი ისტორიკოსი თვლის, რომ რუსტამი ქართველია.

რაც შეეხება რუსტამის დღიურებს (მოგონებებს) მ. დერიბერე აღნიშნავს, რომ ჟურნალმა „რევიუ რეტროსპექტივმა“ 1883 წლის იანვარ-ივნისის ნომერში გამოაქვეყნა რუსტამის მემუარები „იმპერატორის მამლუქის მემუარები. ბატონ რ.რუსტამის პირადი ცხოვრება 1814 წლამდე“ დერიბერე შენიშნავს, რომ მემუარების დასაწყისი რუსტამის ხელითაა დაწერილი, შემდეგ კი ზოგიერთი ნაწილი, ალბათ, ნაკარნახევია. მემუარების ავტორი თავის თავზე მესამე პირით ლაპარაკობს.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს შ. კურდღელაშვილს საეჭვოდ არ მიაჩნია რუსტამის ქართველობა, „ამჟამად ისიც კარგად არის ცნობილი, - წერს იგი ამ ოცდაათი წლის წინათ ჟურნალ „დროშაში“ გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში „მამლუქობა და საქართველო“, - რომ ნაპოლეონის მიერ ეგვიპტედან საფრანგეთში წაყვანილი მამლუქი, სახელად რუსტამი შემდგომში ნაპოლეონის ერთგული თანამებრძოლი, ტომით ქართველი და წარმოშობით თბილისელი იყო“.

დ. ჯანელიძის ცნობით ქართველად იხსენიებს რუსტამს ფრანგი პიერ ლარუსის ცნობილი „დიდი მსოფლიო ენციკლოპედია“, რომელიც პარიზშია გამოცემული 1931 წელს. ამასვე ადასტურებს თვით ნაპოლეონი 25 ტომად გამოცემულ მემუარებში: „მე გარშემორტყმული ვარ ფრანგებით, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ინტერესების გამო გვეხმარებიან. ეს კაცი კი, ქართველი, შორეული საქართველოდან, გულწრფელად არის ჩემზე მონდობილი და



სურ. №67

გოტეროს სურათის ფრაგმენტი მარცხნივ დაჭრილი ნაპოლეონი, მარჯვნივ რუსტამი. სურათი გამოქვეყნდა „კომუნისტში“, ერევანი, 1985 წ.

სანაცვლოდ არაფერს ითხოვს“ რუსტამმა თავისი ერთგულებით დაიმსახურა ის, რომ ნაპოლეონმა თავისი სიცოცხლის დაცვა მიანდო და მასაც, ქართველ მამულე რუსტამს სიკვდილისგან ბევრჯერ უხსნია თავისი სახელგანთქმული პატრონი. (სურ. 67)

1803 წლის 14 ივლისს რუსტამს პირველთა შორის მიენიჭა საპატიო ლეგიონის ორდენი, რომელიც თვით ნაპოლეონმა გადასცა. ყოველივე ეს ტილოზე ასახა დიდმა ფრანგმა მხატვარმა დებრემ, ამ ნამუშევრის რეპროდუქციას აქვე ვთავაზობთ მკითხველს: მარცხნივ დგას ტრადიციულ აღმოსავლურ ტანსაცმელში გამოწყობილი რუსტამი, მარჯვნივ ნაპოლეონი. ეს სურათი გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნდა 1998 წელს. (სურ. 58)

სულ ახლახან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ინტერნეტში ([en.wikipedia.org/wiki/Roustan-](http://en.wikipedia.org/wiki/Roustan)

Raza) არსებობს ინგლისურენოვანი საიტები რუსტამის ორი ფოტოსურათით, რომელთაგან ერთია რუსტამის პორტრეტი (სურ. 66), რომლის ავტორობას მიაწერენ ფრანგ გროს და მეორე რუსტამი წარწერით „რუსტამ რაზა მამლუქის ტრადიციულ უნიფორმაში“ (სურ. 69) იბეჭდება პირველად).



სურ. №68

ამავე საიტზეა ძირითადი ტექსტი: „რუსტამ რაზა (როსტომ რაზმაძე) ყოველთვის ცნობილი იყო რუსტანად ან რუსტამად. იყო ცნობილი მამლუქი, ნაპოლეონ ბონაპარტეს პირადი მცველი. რუსტამი დაიბადა საქართველოში, თბილისში მეტსახელი „რაზა“, წარმოქმნილი ქართული გვარიდან „რაზმაძე“ რუსტამი წერს, რომ მის მახსოვრობაში დაიბადა თბილისში და მისი მამა იყო ვაჭარი (კომერსანტი). რამდენიმე წყაროში (უფრო მეტად სომეხი ავტორების წყაროებში) რუსტამ რაზა შეკლდებით არის მიჩნეული სომხად (აქვე შევნიშნავთ, რომ როსტომ რაზას ქართველობას აღასტურებს, გარდა ქართველი ავტორებისა, მიხეილ ვაძბოლსკი, ფრანგები პოლ კოტენი, მორის დერიბერე, პიერ ლარუსი, თვით ნაპოლეონი (თავის მემუარებში, გ.მ.) რუსტამი მოიტაცეს როცა იყო ბავშვი და გაიყიდა მონად კაიროში. ახალგაზრდა მონას ავტორიტეტული გავლენა მიანიჭა გენერალმა ნაპოლეონ ბონაპარტემ, რუსტამი 1792 წლიდან 1814 წლამდე მსახურობდა პირად მცველად ნაპოლეონთან“

გადიოდა წლები, თანდათან იმსხვრეოდა



სურ. №69

რუსტამ რაზა მამლუქის ტრადიციულ ფორმაში

ნაპოლეონის უძლეველობის მითი, რუსტამიც თანდათან ჩრდილში მოექცა, პარიზიდან განდევნილი რუსტამი ერთხანს პროვინციაში ცხოვრობდა.

ერთხელ კიდეც გამოჩნდა საჯაროდ იგი საფრანგეთის წარჩინებულთა საზოგადოებაში, 1840 წელს ნაპოლეონის დაკრძალვის დღეს, როცა უკანასკნელი ვალი მოიხადა პატრონის წინაშე.

ხუთი წლის შემდეგ, 1845 წლის 7 დეკემბერს 62 წლის ასაკში (სომხური ვერსიით 65 წლის ასაკში) თავად რუსტამი აღესრულა და დაკრძალეს პარიზიდან ორმოცდაათი კილომეტრის დაშორებით მდებარე პატარა ქალაქ დურდანში, ღირსეული მეუღლის, იმპერატრიცა ჟოზეფინას პირადი მსახურის (კომერდინერის) დუვალის ქალიშვილის გვერდით.



საქართველოს მიღმა საქართველო

ნოვოივანოვკა	.9
პლასტუნკა	.17
საინგილო	.21
აფრიკელი ანუ უარგლელ-უჯღელი ქართველები	.32
ფერეიდანი	.39
ლაზეთი	.60
ტაო-კლარჯეთი და შაქშეთი	.70
ავღანელი გურჯები	.80

ჰიპოთეზების სამყაროში

გუჯარები ინდოელი ქართველები?	.85
ჩვენ და ბასკები	.95

ისევ ჩემი ჟურნალისტური საზარეულო

რა უნდა ვისწავლოთ ინგილოებისა და ფერეიდნელებისგან	.113
დროულად მივხედოთ დემოგრაფიას, სანამ არ გაენახვერებულვართ	.116
ლიტერატურის სიყვარული რაა, ახლა სპორტს არ იკითხავთ?!	.119
გახსენება იცნობდეთ: კულტურის ოზურგეთელი მოღვაწენი	.122
ასაკი ნუ შეგაშინებთ	.126
ბაშთურქი კიდევ ერთი “ჩვენებური” გერმანულ ფეხბურთში	.130

სადაურია და ვისი "ჯილაგისა" ამაური?	.131
ქართული ჭადრაკი განსაცდელშია	.131
ქართული ფეხბურთის ერთი ღირსეული დღე	.134
მე კი ასე ვფიქრობ	.136
გვონებ, გეუშეველა!	.140
უცნაური რობერტ (ბობი) ფიშერის არანაკლებ უცნაური საჭადრაკო ტრიადა ფორაზე მინიშნებით	.142
სპორტი იმასაც იტაცებდა	.146
მეტი ყურადღება და სიზუსტე, კოლეგებო!	.149
ელჩი კი არა, მინისტრი!	.151
მესამედ განმარტება საჭირო გახდება?	.152
რატომ მიფუჩნდა თბილისისა და ბილბაოს დამშობილების ხელშეკრულება?	.153
უნდა აღდგეს!	.154
ყარაბაღში ნაომარი გენერლის ძეგლს ჩვენთან რა ესაქმება???	.156
გადაერჩით! ანუ ზოგი რამ "ციური ურჩხულის" შესახებ	.158
ვინ არის ნაპოლეონის პირადი მკველი რუსტამი ანუ თბილისელი რუსტამის ისტორია	.164

წიგნში გამოყენებულია ნ. ოჯოლოვის, ი. ალექსეენკოს,  
რ. მხეიძის, თბილისელი ფოტოგრაფის კოზაჯის,  
მ. როსტომაშვილისა და ო. ბერეჩიყიძის ფოტოები